თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები

ნიკოლოზ ჯანელიძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ კიკილაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკოლოზ ჯანელიძე _____ ხელმოწერა 24/07/2015.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემულია თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები, გამოკვლეული ერნესტ გელნერის ნაციონალიზმთან დაკავშირებული თეორიის ზოგიერთი დაშვების საფუძველზე. კერძოდ, ნაშრომში აღებულია გელნერის სამი თეორიული დაშვება: – ა) ნაციონალიზმის წარმოშობა, როგორც რეაქცია სახელმწიფო ნარატივზე, ბ) მისი წარმოშობა, იმ შემთხვევაში როდესაც სახელმწიფო (თავისი გამოვლინებებით) ზედმეტად არის წარმოდგენილი პოლიტიკურ სივრცეში და არა როცა მისი არსებობა ეჭვქვეშ დგას, გ) ნაციონალიზმის წარმოშობა უნივერსალურად მაღალი კულტურის ეპოქაში. ამ უკანასკნელს პირველი ორი მათგანი ავსებს და ემთხვევა დროში. უფრო სწორად, უნივერსალური მაღალი კულტურის ეპოქაში მიმდინარეობდა/მიმდინარეობს დანარჩენი ორის გამოვლინებები. ზემოხსენებული დაშვებების შესაბამისად ჩამოვაყალიბეთ ორი პიპოთეზა, რომლებიც გამყარებულია თანამედროვე (90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე) და ნაწილობრივ წინა პერიოდის პრაქტიკული მაგალითებით.

ნაშრომი, მეთოდოლოგიური კუთხით, თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლას (Case-study) იყენებს. ნამუშევრის თეორიული დაშვებების გადამოწმება ხორციელდება ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებებზე დაკვირვების საფუძველზე, რომელიც მოიცავს დაახლოებით 25 წლის პერიოდს. შესაბამისად დეტალურად არის განხილული სამი ძირითადი ქეისი (ეთნიკური სეპარატიზმი, ამ უკანასკნელის ტრანსფორმაცია რელიგიური სეცესიის მოთხოვნაში (რელიგიურ იდენტობაში) და უახლესი პერიოდი (რამზან კადიროვის ნაციონალური პოლიტიკა). თუმცა სამივე მათგანი ასევე შეიცავს კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, რაც დამატებით ქეისებად არის განხილული.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე პერიოდში ჩეჩნური

ნაციონალიზმი ვლინდება ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით:

- ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბება-განვითარება გამოხატული სეპარატიზმით. საუბარია ჩეჩნეთ-რუსეთის ორ ომზე;
- ზემოხსენებულის ტრანსფორმაცია დიდ რელიგიურ იდენტობაში _ რელიგიური ნიშნით სეცესიაში/სეპარატიზმში. საუბარია კავკასიის საემიროს ვირტუალური სახელმწიფოს შექმნაზე, რომელმაც მოიცვა მთელი რეგიონის მასშტაბი და სადაც წამყვან როლს ეთნიკურად ჩეჩნები ასრულებდნენ;
- კადიროვის მიერ ჩეჩნური კულტურული იდენტობის შექმნის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ მისი პოლიტიკა ასევე გაჯერებულია რელიგიური ფაქტორებითაც, რაც განპირობებულია პოლიტიკური მოტივებით და მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ პროცესებში მთავარ როლს ასრულებს/ასრულებდა, როგორც მოქმედი/ყოფილი ხელისუფლება, ასევე წინააღმდეგობის (იატაქვეშეთის) ძალები. ამასთანავე გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: პირველ ეტაპზე ჩეჩნურ ნაციონალიზმს პედალირებდა ძირითადად წინააღმდეგობის ძალები (იატაკქვეშეთი/არ-აღიარებული ხელისუფლებები. საუბარია წინააღმდეგობის ფრონტზე, დუდაევისა და მასხადოვის ხელისუფლებებზე), ხოლო ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის შემდეგ აქტიურობდნენ როგორც ეს უკანასკნელნი, ასევე ადგილობრივი ხელისუფლება (ანუ მოსკოვის მიერ ოფიციალურად აღიარებული და მხარდაჭერილი ახმად და რამზან კადიროვების მმართველობები და წინააღმდეგობის ძალები, რომლებიც ამჯერად კონცენტრირებული იყვნენ ახალი მიზნისთვის ბრძოლაზე).

ძირითადი საძიებო სიტყვები: ***ჩრდილოეთ კავკასია, ნაციონალიზმი, რადიკალური ისლამი, ჩეჩნეთი.***

Abstract

The following work presents characteristics and peculiarities of the contemporary Chechen nationalism researched on the basis of some assumptions of Ernest Gellner's theory connected to nationalism. Specifically, the work covers Gellner's three theoretical assumptions – rise of nationalism, as a reaction on state narrative, its rise when the state is overrepresented and not when it does not exist at all or its existence is under question, and rise of nationalism in the era of universal high culture. The first two complement and coincide in time with the latter. More precisely, manifestations of the other two were/are taking place in the universal high culture era. In accordance with the above mentioned assumptions two hypotheses were formed, which are supported with practical examples from the modern (since the beginning of 90's till now) and partly with the previous period.

From methodological point of view the work can be considered as a qualitative research and uses case-study as a methodological approach. Verification of the theoretical assumptions in the work is carried out through observation on manifestations of Chechen nationalism, which covers approximately 25 years period. Therefore, the work analyzes in detail three main cases of manifestation of nationalism (ethnic separatism, its transformation into demand of religious secession (into religious identity) and the latest period (Ramzan Kadyrov's national policy)). However, all three cases also include issues that are important for the research, which are discussed as additional cases.

The research has found, that in the modern period Chechen nationalism reveals itself in several directions simultaneously.

- Particularly, formation of ethnic identity (expressed with separatism. Talk is about Chechen-Russian war),

- Its transformation into a large religious identity (religious-based secession/separatism. This implies establishment of a virtual state of the Caucasus Emirate across the whole region, where ethnic Chechens played the leading role).
- Kadyrov's attempt to form Chechen cultural identity (establishing the so-called Chechen identity, although his policy is saturated with religious factors, the latter is stipulated by political motives, which will be discussed below).

The research also shows, that the leading role in the above-mentioned processes is/was played by the current/former authorities as well as the resistance (underground) forces. In addition, one important detail should be taken into consideration: at the first stage Chechen nationalism was promoted mainly by the resistance forces (underground/non-recognized authorities. The talk is about resistance front and Dudayev's and Maskhadov's authorities) and after the second Chechen-Russian war by the local authorities as well (Akhmad and Ramzan Kadyrovs' governances officially recognized and backed by Moscow and resistance forces, which this time focused on fighting for a new goal).

Key Words*: North Caucasus, Nationalism, Radical islam, Chechnya.*

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის შექმნა-მომზადება წარმოუდგენელი იქნებოდა ჩემი უფროსი კოლეგებისა და მეგობრების სრული მხარდაჭერის გარეშე. მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს, არაერთი სწორი და კრიტიკული რჩევისათვის სხვადასხვა ეტაპზე.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩრდილოეთ კავკასიური ენების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტს, ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორ ვლადიმერ კიკილაშვილს. მისმა შეფასებებმა და რჩევებმა მნიშვნელოვნი დახმარება გამიწია კვლევის ყველა ეტაპზე.

ასევე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ გიგი თევზაძეს, რომელმაც საკუთარი პროფესიონალური რჩევებით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ნაშრომის მომზადებაში. მისი გამოცდილების გაზიარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნამუშევრის როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ ნაწილში.

პროფესიული რჩევებისთვის, მადლობა ასევე მინდა გადავუხადო პროფესორ გია ნოდიას, ნაციონალიზმისა და გლობალიზაციის თეორიების მკვლევარ პროფესორ ზურა დავითაშვილს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ დავით აფრასიძეს, საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს, პროფესორებს პაატა ბუხრაშვილს, ემზარ ჯგერენაიასა და მიხეილ გოგატიშვილს.

სარჩევი

სარჩევი IV

შესავალი 11

1.1 თემის მიზანი, აქტუალობა, საკვლევი კითხვა და წინასწარი თეორიული ჰიპოთეზები 11

ნაციონალიზმის თეორიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 22

თავი 1

ნაციონალიზმის არსისა და გაგების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 22

თავი 2

ნაციონალიზმის წარმოშობა 32

თავი 3

ნაციონალიზმი როგორც ,,დიდი იდენტობა'' 35

თავი 4

ნაციონალიზმი სხვადასხვა თეორიების მიხედვით 38

თავი 5

5.1. ნაციონალიზმი ერნესტ გელნერის თეორიის მიხედვით 41

5.2 გელნერის თეორიის კრიტიკა 49

5.3 ზოგი რამ ერნესტ გელნერის შესახებ 52

მეთოდოლოგია 55

შედეგები

თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებები 57

თავი 1

ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა (ზოგადი მიმოხილვა) 57

თავი 2

2.1. ეთნიკური სეპარატიზმი 90-იან წლებში 60

2.1.1. ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობები 60

2.1.2. ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომი 65

2.1.3. ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომი 70

თავი 3

ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინების (ეთნიკური სეპარატიზმი) **ტრანსფორმაცია დიდ რელიგიურ იდენტობაში** (რელიგიური ნიშნით სეპარატიზმში) 73

3.1. შესავალი 73

3.2.1. რადიკალური ისლამი 75

3.2.1.1. რადიკალური ისლამის მიმდევართა კლასიფიცირება 80

3.2.1.2.რადიკალური ისლამის სწრაფი ტემპით გავრცელების მიზეზები ჩეჩნეთში 85

3.2.1.3.რადიკალ ისლამისტთა დემოგრაფიული მდგომარეობა ჩეჩნეთსა და ზოგადად რეგიონში 89

3.3.1. კავკასიის საემირო 91

3.3.1.1. წინააღმდეგობის ძალების ამჟამინდელი მდგომარეობა რეგიონში (ზოგადი ვითარება) 99

3.3.1.2. რადიკალ ისლამისტთა რიგების შევსება მოქალაქეთა ჩართვა-ჩათრევით და სამხედრო კამპანიის ტაქტიკის ცვლილება დროში 102

თავი 4

კადიროვის ნაციონალური და რელიგიური პოლიტიკა 107

4.1.1. შესავალი 107

4.1.2. კადიროვის პოლიტიკა ჩეჩნური კულტურული იდენტობის შექმნა/გასაძლიერებლად 111

4.1.3. კადიროვის რელიგიური პოლიტიკა 124

თავი 5

ჩეჩნური წინააღმდეგობების ისტორიის მოკლე მიმოხილვა და მისი შედარება თანამედროვე პერიოდთან 131

შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია 135

დასკვნები 142

რეკომენდაციები 144

ბიბლიოგრაფია 146

ინტერვიუები 159

დანართები

დანართი 1 159

დანართი 2 160

დანართი 3 161

დანართი 4 162

შესავალი

1.1 თემის მიზანი, აქტუალობა, საკვლევი კითხვა და წინასწარი თეორიული ჰიპოთეზები

რა განაპირობებდა ჩეჩნურ ნაციონალიზმს თანამედროვე პერიოდში? რა არის ის ფაქტორები რის გამოც მოსკოვს უდიდესი მატერიალური, ადამიანური, სამხედრო და ა.შ. რესურსი ეხარჯებოდა და ეხარჯება იმისათვის, რომ აღნიშნული პროცესი მისთვის მისაღებ კალაპოტში მოაქციოს? ზოგადად, ჩეჩნური ნაციონალიზმის კვლევა საკმაოდ სპეციფიკურ მიდგომებს მოითხოვს, რადგან ხასიათდება ბევრი თავისებურებით, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ჩეჩნური ნაციონალიზმის საკითხის განხილვა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა რუსეთ-ჩეჩნეთის ომების შემდეგ, როგორც რუსულ, ასევე დასავლურ საექსპერტო და ანალიტიკურ წრეებში.

<u>ნაშრომის მიზანია</u> ზემოთ აღნიშნული საკითხის განხილვაში/კვლევაში გარკვეული წვლილი შეიტანოს. კერძოდ, გამოიკვლიოს რა ფორმით ვლინდებოდა ჩეჩნური ნაციონალიზმი თანამედროვე პერიოდში.

კვლევის თეორიული მიზანია, გადაამოწმოს ერნესტ გელნერის თეორია (საუბარია როგორც უნივერსალური მაღალი კულტურის შესახებ დაშვებაზე, ასევე მის თეორიაში აღნიშნულ სხვა საყურადღებო მოცემულობებზე) ნაციონალიზმის შესახებ თანამედროვე ჩეჩნეთში განვითარებული მოვლენების შესწავლის საფუძველზე. თუმცა გარკვეულწილად გათვალისწინებულია წინა პერიოდის ჩეჩნური აქტიობები აღნიშნული მიმართულებით (მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არ წარმოადგენდა ნაციონალური გამოვლინებების კლასიკურ მაგალითს).

ერნესტ გელნერის თეორიის არჩევა განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა

ფაქტორმა:

პირველი – გელნერის თეორია ერებსა და ნაციონალიზმზე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიაა აღნიშნული საკითხის კვლევის დისციპლინაში. ამასთანავე, ვინაიდან თეორიის შემოწმების მთავარ მეთოდად შემთხვევების (მოვლენების) შესწავლის მიდგომას ვირჩევთ, მაღალი ალბათობით, გელნერის ნაციონალიზმის თეორია ერთ-ერთი საუკეთესოა იმისთვის, რომ იგი მოვარგოთ ჩეჩნურ ნაციონალიზმთან დაკავშირებულ გამოვლინებებს. ამას გარდა, ეს უკანასკნელი, კარგად ემთხვევა დროში გელნერისეულ ე.წ. უნივერსალური კულტურის ეპოქას (თუმცა რიგ შემთხვევებში მისი ,,მორგება'' ჩეჩნური ნაციონალიზმის თანამედროვე გამოვლინებებზე იმსახურებს კრიტიკას, რადგან თავად ჩეჩნური ნაციონალიზმი ბოლო 25 წლის განმავლობაში არ წარმოადგენს ნაციონალიზმის კლასიკურ მაგალითს, რადგან იგი გაჯერებულია სხვადასხვა დამატებითი ფაქტორებით, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი).

მეორე - კვლევის დაწყებამდე ჩეჩნეთისა და ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაში ნაციონალიზმთან დაკავშირებული გამოვლინებების შესახებ არსებულ მასალებში (განსაკუთრებით ქართულენოვან ლიტერატურაში), ტერმინი ,,ნაციონალიზმი'' ძალიან ხშირად (თუმცა არა ყოველთვის) გამოიყენებოდა ჩეჩენთა სამხედრო აქტივობების კონტექსტში. რეალურად კი ჩეჩნური ნაციონალიზმი გაცილებით მოცულობითი საკითხია ვიდრე მხოლოდ ომი სეპარატისტული გამოვლინებებით. სწორედ ამ ფაქტმა მიბიძგა იმისკენ, რომ მეწარმოებინა კვლევა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით. გარდა ამისა, მსურდა შექმნილიყო ქართულენოვანი ნაშრომი, რომელშიც გელნერისეული თეორიის გამოყენებით აღწერილ-დადასტურებული იქნებოდა ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები და თავისებურებები თანამედროვე პერიოდში.

როგორც აღინიშნა, კვლევის <u>ემპირიული მიზანია</u> იმ მოვლენათა ანალიზი, რომელიც, ერთი მხრივ ამყარებს ნაშრომში აღნიშნულ თეორიულ დაშვებებს, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა კარგ საშუალებას ბოლო რამდენიმე წლის ჩეჩნური ნაციონალიზმის

გამოვლინებების ერთიანი სურათი შეიქმნას და შეფასდეს.

<u>კვლევის ობიექტი არის</u> ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნები, თავისებურებები და გამოვლინებები 90-იანი წლებიდან დღემდე.

<u>კვლევის საგანს</u> წარმოადგენს იმ ცვლილებების ანალიზი, რითაც ხასიათდება ჩეჩნური ნაციონალიზმი ბოლო 25 წლის მანძილზე მოსკოვის პოლიტიკის კვალდაკვალ.

ასევე მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რამაც განაპირობა კვლევის საგნად ჩეჩნური რეალობის (ჩეჩნურ ნაციონალიზმთან დაკავშირებული საკითხებისა და მათი ცვლილებების) არჩევა:

1) ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა ტერიტორიულად ესაზღვრება საქართველოს, შესაბამისად, მასში მიმდინარე პროცესებს ხშირად პირდაპირი და ირიბი გავლენა ჰქონდა საქართველოზე და იქ არსებული მდგომარეობის მეცნიერული ახსნა მეტად საინტერესოა და ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი იქნება სხვადასხვა დაინტერესებული წრისათვის[1].

2) ჩეჩნური თემატიკის განხილვა და მასზე მუშაობა ასევე საინტერესოა თეორიულ კონტექსტშიც. საუბარია შემდეგზე: ა) ჩეჩნური ნაციონალიზმი წარმოადგენს XX საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი სერიოზული გეოპოლიტიკური პროცესის (საბჭოთა კავშირის დაშლა) შედეგად წარმოშობილ ფენომენს. ბ) იგი ნათელი მაგალითია ნაციონალიზმის ტრანსფორმაციისა რელიგიურ იდენტობაში. გ) ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესები შეიძლება დანახულ იყოს ერთი იმპერიის ცენტრისა და

[1] ჩეჩნეთის რესპუბლიკა (დედაქალაქია გროზნო) მდებარეობს მდინარეების თერგისა და სუნჟის მიმდებარე ტერიტორიებზე. აღმოსავლეთით მას დაღესტანი ესაზღვრება, ჩრდილოეთით სტავროპოლის მხარე, სამხრეთის საზღვარი საქართველოსთან გადის, ხოლო მის დასავლეთით ინგუშეთი და ჩრდილოეთ ოსეთია. ჩეჩნეთი იყოფა 15 მუნიციპალურ რაიონად. მთავარი ქალაქებია (რაიონული ცენტრები): ურუს-მარტანი, აჩხოი-მარტანი, გუდერმესი, შალი, არღუნი, კურჩალოი, ავტური. ჩეჩნეთი შედგება ნათესაურ-გვაროვნული გაერთიანებებისგან, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ რესპუბლიკის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

პერიფერიის ურთიერთობების კონტექსტში. დ) იგი ასევე საინტერესოა რელიგიის ორი ფრთის დაპირისპირების კონტექსტში. ე) წარმოადგენს კონფლიქტოლოგიის დაინტერესების საკითხს ეთნიკური სეპარატიზმის გამოვლინებების შედეგად წარმოშობილ ომებზე, ძალადობაზე და ა.შ.

3) ჩეჩნურ ეთნიკურ იდენტობას (გამოიხატა ეთნიკური სეპარატიზმით ბრძოლაში) და მის ტრანსფორმაციას რელიგიურ იდენტობაში (მიმდინარეობდა რელიგიური სეცესიის მოთხოვნაში) მსოფლიო მასშტაბით ჰქონდა და აქვს გამოხმაურება, რადგან იქ არსებულ ვითარებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს რუსეთის, როგორც შიდა ასევე საგარეო პოლიტიკისთვის. მკვლევართა ნაწილის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩნეთში ამჟამად შედარებით სიმშვიდეა, იგი საკმაოდ მყიფეა (რაც არაერთხელ დადასტურდა ბოლო წლების განმავლობაში) და გამორიცხული არ არის, ნაციონალიზმის ახალი აგრესიული ტალღის აგორება, თუმცა გაურკვეველი პერიოდის შემდეგ. ხოლო იმისთვის, რომ მოვლენები ამგვარი სცენარით არ განვითარდეს საექსპერტო წრეებს აქვთ სხვადასხვა მოსაზრებები. მაგალითად ექსპერტი ს.მარკედონოვის აზრით, უკვე დიდი ხანია დროა იმისთვის, რომ მოსკოვი დაბრუნდეს რეგიონში (მათ შორის ჩეჩნეთშიც) არა ბიზნესმენთა და ერთგული ,,აგენტების'' დახმარებით, არამედ სამართლიანი არბიტრის როლში უსაფრთხოების გარანტად, რათა პროცესები მისთვის მისაღებ კალაპოტში ჩასვას.[2]

4) თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიისა და ამ შემთხვევაში ჩეჩნეთის შესახებ საქართველოს მეცნიერულ წრეებში კვლევები, ამ ეტაპზე, არცთუ აქტიურად მიმდინარეობს და საჭიროა ახალი იმპულსების გაჩენა. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც რეგიონში მიმდინარეობს ნაკლებად პროგნოზირებადი პროცესები,

[2] Маркедонов Сергей. Приватизированная республика: как Рамзан Кадыров заменил государство - России пора возвращаться на Кавказ не с помощью доверенных «агентов» и бизнесменов, а в роли справедливого арбитра и гаранта безопасности. პორტალი ,,Forbs'', http://m.forbes.ru/article.php?id=237166 (10.05.2013).

რომელთა საქართველოზე გავლენის ალბათობა, ბუნებრივია, არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პერიოდის შემდეგაც, არსებობდა რამდენიმე ჟურნალი, მათ შორის 2000-იანი წლების პერიოდშიც, სადაც ჩრდილოკავკასიის შესახებ ქვეყნდებოდა მეტად საინტერესო პუბლიკაციები (თუმცა ნაკლებად პოლიტიკური კვლევის ხასიათის)[3]. აღსანიშნავია, რომ 2015 გამოიცა ვალერი მოდებაძის წიგნი ,,ჩეჩენი ერის ბრძოლა თავისუფლებისთვის'', რომელიც წარმოადგენს ერთგვარ სტიმულს კიდევ უფრო აქტიურად მოხდეს ჩრდილოეთ კავკასიის გამოკვლევა.

5) ნაციონალიზმი არა მარტო XX, არამედ XXI საუკუნის ერთ-ერთი გამოწვევაა, შესაბამისად მოკრძალებული, თუმცა შედარებით ახალი ცოდნის არსებობა ჩეჩნეთის მაგალითზე ქართული რეალობისთვის, სავარაუდოდ შედეგიანი იქნება.

მსოფლიოს თანამედროვე მეცნიერებაში ჩეჩნურ ფენომენთან (იქნება ეს ნაციონალიზმის გამოვლინებები, რადიკალური ისლამის მხარდაჭერა, მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ.) დაკავშირებული საკითხების შესწავლას დიდი ადგილი უკავია (საუბარია ეთნიკური ჩეჩნების აქტივობებზე როგორც რუსეთის ფედერაციასა და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში, ასევე თავად რესპუბლიკაში არსებულ ზოგად ვითარებაზე). არაერთი საერთაშორისო და რუსული კვლევითი ცენტრი წლების განმავლობაში სწავლობს მას და აქვეყნებს შესაბამის დასკვნებს იქ არსებულ მდგომარეობაზე (მაგალითად, ორგანიზაცია SAFERWORLD-ის მიერ 2012 წელს ჩატარდა კვლევა რეგიონში არსებული პრობლემატიკის შესახებ)[4] მათ შორის დემოკრატიის დონის, ადამიანის უფლებების (ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია), პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნოლოგიურ, არქეოლოგიურ, კულტურულ და სხვა საკითხებზე.

კვლევის ობიექტის, ანუ ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებების, <u>აქტუალურობა</u> პირობითად უნდა დავყოთ ორ ნაწილად:

1) რატომ არის აქტუალური ის მსოფლიო საზოგადოებისთვის?
2) რატომ არის აქტუალური ის საქართველოსთვის?

---

[3] Кикилашвили владимер. ''Роль и статус Женшины на кавказе'', Кавказкий вестник №6, 2002.

[4] SAFERWORLD. North Caucasus: Views from within, People's perspectives on peace and security. March 2012. (05.09.2014).

მსოფლიო საზოგადოების ინტერესის არეალში ჩეჩნეთი, როგორც რუსეთის იმპერიის მოსაზღვრე ტერიტორია (და მოგვიანებით მისი ნაწილი) განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის გზაშესაყარიდან მოექცა[5]. რაც ობიექტურად განპირობებული იყო მისი (სამხრეთ კავკასიასთან ერთად) გეოპოლიტიკური მდებარეობით. ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ იგი ესაზღვრებოდა მზარდ, აგრესიულ და უდიდესი რესურსების მქონე იმპერიას. საუბარია თანამედროვე რუსეთზე. მას შემდეგ რაც რუსეთმა სამხედრო ძალით დაიწყო ჩეჩნეთის (და ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიის) დაპყრობა, იმ დრინდელ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ყურადღება კიდევ უფრო მეტად მიიქცია[6]. მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ხელისუფლებებისთვის იკვეთებოდა (ჩნდებოდა სავარაუდო კონტურები) მეფის რუსეთის მომავალი საგარეო პოლიტიკა. კიდევ უფრო გაძლიერდა მისიონერთა, დიპლომატთა და მოგზაურთა ვიზიტები კავკასიის ქედის ორივე მხარეს, რათა დაზუსტებულად შეესწავლათ რეგიონი. ამის უამრავი მაგალითები გვაქვს. მაგალითად, ოლივერ უორდროპის მოგზაურობა და საქმიანობა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში[7]. დასავლეთის სახელმწიფოების ინტერესი კავკასიის მიმართ დასტურდება დიდი ბრიტანეთის არქივებში შემონახული ცნობებით, მათ შორის საქართველოზე და ჩრდილოკავკასიაზეც[8]. თანამედროვე პერიოდში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის შიდა პოლიტიკის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა (კორუფციასთან, კრიმინალურ ვითარებასა და სხვ. ერთად) იყო ჩეჩნეთში არსებული ვითარება, გროზნოს სეპარატისტული მისწრაფებები, მოგვიანებით – ორი ომი და ა.შ. შესაბამისად, მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური სუბიექტის შიდა პოლიტიკა

---

5 "არაერთი ევროპელი მოგზაური და დიპლომატი თავისანთ ჩანაწერებში ჩრდილოეთ კავკასიას აღწერდნენ, ახასიათებდნენ და იკვლევდნენ სხვადასხვაგვარ კონტექსტში.

6 საყურადღებოა, რომ აქ საუბარია არამარტო დასავლეთის ქვეყნებზე, არამედ პირველ რიგში იმდროინდელ ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებზე, რომელთათვისაც რეგიონი არც მანამდე იყო უცხო.

7 კობახიძე ბექა. ოლივერ უორდროპი ყველაზე "ქართველი" ბრიტანელი. *გაზეთი კვირისპალიტრა.* 17.05.2013.

8 Катамадзе В. *Грузия в британских архивах и редких публикациях XIX-XX веков.* Лондон.

Издательство Eurasia Popular Research, 2005.

ყოველთვის წარმოადგენს მისი პარტნიორებისა თუ მოწინააღმდეგების ინტერესის სფეროს (საუბარია არა მარტო სახელმწიფოთა, არამედ კვლევითი ცენტრების, ექსპერტების, აკადემიური პერსონალის დონეზე), რადგან, როგორც წესი, ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები გარკვეულწილად აისახება მის საგარეო პოლიტიკაზეც. ე.წ. ჩეჩნური საკითხის მიმართ ინტერესი მსოფლიოს საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებით გამოიხატა ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომის დროიდან, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, და არა ჩეჩნების მასობრივი დეპორტაციის დროს XX საუკუნის შუა პერიოდში[9].

საქართველოსთვის ჩეჩნეთში (და ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაში) არსებული ვითარების შესწავლას დიდი მნიშვენლობა აქვს როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე ჭრილში. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ რეგიონში მიმდინარე მოვლენები პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახდენს/ახდენდა საქართველოზე. მითუმეტეს თუ პროცესები იმგვარად წარიმართა, როგორც რუსული საექსპერტო წრის ნაწილი თვლის, საქართველოდან მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი მოვლენათა შემდგომ განვითარებას. კერძოდ, მოსკოვის კარნეგის ცენტრის წარმომადგენელი ა. მალაშენკო თვლის (რეგიონზე საუბრისას იყენებს ტერმინს ,,შიდა საზღვარგარეთი''), რომ რეგიონი გაუცხოებულია რუსეთის პოლიტიკური, სოციალური და ხშირ შემთხვევაში სამართლებრივი სივრციდანაც კი[10]. ეს უკანაკსნელი ასევე თვლის, რომ რუსეთი არამარტო ჩეჩნეთს, არამედ მთელ

---

[9] მიუხედავად ზემოთქმულისა თავად ჩეჩნური დიასპორის ერთი ნაწილი ცდილობს მიიქციოს მსოფლიო საზოგადოების ყურადღება და შეახსენოს ყველას საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებულ პოლიტიკა ინგუში და ჩეჩენი ხალხის მიმართ 1944 წელს. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის 27 თებერვალს 1944 წლის დეპორტაცია გაერომ ბრიუსელში, ჰააგის საერთაშორისო კონვენციის მიხედვით გენოციდად შეაფასა აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენს პოლიტიკური ვაჭრობის საგანს და მისი პოლიტიკური ფასი, მიუხედავად ერის საშინელი ტრაგედიის, დღეს მაღალი არ არის, რაც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად განპირობებული იმით, რომ დასავლეთს არ სურს ისედაც დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან კიდევ უფრო გაამწვავოს 70 წლის წინ ჩადენილი ქმედების გამო. თუმცა, ბუნებრივია, თავად ჩეჩნებისთვის აღნიშნული ფაქტი უდიდეს ტრაგედიას წარმოადგენს, შესაბამისად, მათი ნაწილი ცდილობს საკითხის აქტუალიზაციას საერთაშორისო კონფერენციების, დემონსტრაციებისა და ა.შ. ორგანიზებით.
ლაფაური მარიკა. 27.02.2014. ჩეჩნების დეპორტაციის 70 წლისთავი ბრიუსელში. ჟურნალი ლიბერალი. http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/117854/ 20.03.2015.

[10] Алексей Малашенко. Северный Кавказ: зарубежный субъект Российской Федерации? ისლამური სამყაროს ისაახლეების სააგენტო. http://www.islamnews.ru/news-99811.html (14.04.2014).

ჩრდილოეთ კავკასიას კარგავს და ამის მიზეზი მთელი რიგი მოვლენების ერთობლიობაა. მისი შეფასებით, ბოლო წლებში, მოსკოვის ყველაზე დიდი მონაპოვარი რეგიონში არის ჩეჩნური სეპარატიზმის ლოკალიზება, ხოლო სხვა რესპუბლიკებში (ისევე როგორც ჩეჩნეთში) იგი ვითარების სტაბილიზებას ახერხებს ,,ელიტების'' გამოკვებით, ანუ იხდის დიდ ფულს მათ ლოიალობაში, სანაცვლოდ კი მაქსიმალურად არ ერევა შიდა საკითხებში[11]. ზემოხსენებულიდან გამომდინარე რეგიონში მიმდინარე პროცესების თვალყურის დევნება და მეცნიერული კვლევები ცალსახად აუცილებელია. დ. სოკოლოვის თვლის, რომ რაც დრო გადის ჩეჩნეთის (ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკების) გასვლა რფ-ს პოლიტიკური და სოციალური სივრცის გარეთ (მათ შორის ინსტიტუციონალური კუთხით) კიდევ უფრო ნათლად იკვეთება.[12]

ზემოხსენებულის უტყუარობას ემატება კიდევ ერთი საფრთხე, რომელსაც ისლამური სახელმწიფო ჰქვია (IS). ეს უკანასკნელი აშშ-მ ებოლას ვირუსის გავრცელებასა და რფ-ს უკრაინულ პოლიტიკასთან ერთად, შეიყვანა უმთავრეს საფრთხეების ნუსხაში[13]. ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან საქართველოს მიმართ საფრთხე შესაძლოა გამოიხატოს შემდეგი მიმართულებებით:

ა) მაღალი ალბათობით, საქართველოს იმ მოქალაქეების რესოციალიზაცია, რომლებიც იბრძვიან სირიასა და ერაყში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გამორიცხულია, რაც სერიოზული პრობლემაა სახელმწიფოსთვის. რადგან, შესაძლოა კონცენტრირებულ იქნას ტერორისტული და სამხედრო გამოცდილების მქონე გარკვეული უკონტროლო ჯგუფები, რომელთა ქმედებების მოსალოდნელი შედეგები დამაიმედებელი ნამდვილად არ არის.

ბ) მათი საქართველოში შემოსვლა-გაჩერება დამატებით ბერკეტს გაუჩენს რუსეთს

---

[11] Малашенко Алексей. *Кавказ, который мы теряем.* Московский Центр Карнеги. Том 11, выпуск 3.

[12] Соколов Денис. Как-то все разбрелись. რუსეთის ექსპერტთა კლუბის პორტალი. http://expert.ru/2013/02/27/kak-to-vse-razbrelis/ (11.04.2014)

[13] Lee E. Carol, Solomon Jay. Obama Addresses Islamic State Threat in United Nations Speech. http://www.wsj.com/articles/obama-to-address-threats-from-islamic-state-ebola-at-united-nations-1411556402 (08.04.2015).

თბილისზე ზემოქმედებისთვის პანკისის ხეობისა და საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტების შედინების ბრალდებების კონტექსტში.

გ) იმ შემთხვევაში თუ IS-ს მებრძოლები საქართველოს გამოიყენებენ მხოლოდ ტრანზიტად რუსეთში გადასვლის მიზნით (ან თუ მოხვდებიან ჩრდილოკავკასიაში ალტერნატიული მარშუტებით საქართველოს გვერდის ავლით აზერბაიჯანის ან შუა აზიის მხრიდან) და დაიწყებენ ბრძოლას მოსკოვის წინააღმდეგ, რეგიონში კიდევ უფრო დამძიმდება მდგომარეობა, რაც გაზრდის საქართველოს ჩრდილოეთ და ჩრდილოაღმოსავლეთ საზღვრების მოწყვლადობის ალბათობას. მოსაზრების რეალურობას ამყარებს ის გარემოება, რომ ჩრდილოკავკასიაში მოქმედმა არაერთმა გავლენიანმე ბოევიკმა ალ-ბაღდადს ერთგულების ფიცი დადეს და IS-ში გაწევრიანება დაადასტურეს, რაზეც დეტალური საუბარი ქვემოთ გვექნება.

ყველა ზემოხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით გრძელვადიან (და/ან საშუალოვადიან) პერსპექტივაში რეგიონში განვითარებულ მოვლენებს (იქნება ეს ფედერაციიდან სეცესია ან სხვა პროცესი) მაღალი ალბათობით, ექნება გარკვეული გავლენა საქართველოზე.

თავისმხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაინტერესებულია ჩრდილოეთ კავკასია იყოს სტაბილური, უსაფრთხო, ეკონომიკურად განვითარებული რეგიონი, რომლის მოსახლეობას მიეცემა საშუალება მშვიდობიან გარემოში იცხოვროს. ეს განპირობებულია, როგორც ქართველი ხალხის სურვილით ნორმალიზებული ურთიერთობები ჰქონდეს მეზობელ ხალხებთან, ასევე უშუალოდ საქართველოს ეროვნული ინტერესებით, რაც საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც არის ასახული[14]. სტრატეგიის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს სურვილია ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, ვაჭრობის, ადამიანური ურთიერთობისა და სხვა ჰუმანიტარულ სფეროებში არსებული კავშირების გამყარება და გაღრმავება. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის თვალსაზრისით

[14] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. გაზეთი მაცნე. №661. 29.06.2012.

საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ერთ-ერთი თავის - "საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" - 1.2 ქვეთავის ("რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა") დებულებები[15].

წინამდებარე ნაშრომის ძირითად <u>საკვლევ კითხვას წარმოადგენს</u>: **რა სახით ვლინდებოდა თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმი ბოლო წლების განმავლობაში?[16]**

თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმი ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმით, თუმცა ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგზე:

ა) ჩეჩნური ნაციონალიზმი (გამოხატული ეთნიკური სეცესიის მოთხოვნაში[17]) 90-იან წლებში და მისი ტრანსფორმაცია დიდ რელიგიურ იდენტობაში (გამოხატული რელიგიური ნიშნით სეცესიაში მხოლოდ გაზრდილი გეოგრაფიით).

ბ) კადიროვის ნაციონალური პოლიტიკა. კერძოდ:

1) რამზან კადიროვის ნაციონალური პოლიტიკა ჩეჩნური კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება-გაძლიერების მიზნით;
2) რამზან კადიროვის რელიგიური პოლიტიკა. ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, იმსახურებს კრიტიკას, კერძოდ, ნაციონალიზმის გამოვლენისა და რელიგიური პოლიტიკის ერთად განხილვის კონტექსტში (რადგან როგორც წესი ნაციონალიზმი რელიგიურობა წინააღმდეგობრივი შინაარსის მატარებელი მცნებებია), თუმცა ნაშრომში დეტალურად არის გადმოცემული მათი ურთიერთქმედება, როგორც კადიროვის პოლიტიკის კომბინირებული

---

15 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx (24.06.2015)

16 ბოლო წლები მოიცავს ჩეჩნეთის უახლეს ისტორიას 90-იანებიდან დღემდე.

17 ნაშრომში არაერთხელ არის ხსნებული ტერმინი ეთნიკური სეპარატიზმი ეთნიკური ნიშნით სეცესიის მოთხოვნის კონტექსტში, რასაც მკვლევართა ნაწილი არ იზიარებს და თვლის, რომ ჩეჩნური აქტივობები 90-იან წლებში იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და არა ეთნიკური სეპარატიზმი. ინტერვიუ პროფესორ პ.ბუხრაშვილთან.

შემთხვევა, რომელიც მიმართულია ნაციონალური ერთობის ჩამოყალიბების, კულტურული იდენტობის ხაზგასმისა და, რაც ერთ-ერთი მთავარია კადიროვის პირადი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად. ანუ საუბარია ვითარებაზე, როდესაც კადიროვი რელიგიურ თემატიკას იყენებს პოლიტიკის კონტექსტში[18].

ერნესტ გელნერის ნაციონალიზმის თეორიის დაშვებების საფუძველზე ნაშრომის თეორიული პიპოთეზები/ვარაუდები შემდეგნაირად ყალიბდება:

H1. ფედერალური ცენტრის მიერ პერიფერიული ნაციონალიზმის (სეპარატისტული მისწრაფებები) სამხედრო ძალით დათრგუნვა და პრობლემის ლოკალიზება დივიდენდების გაცემის გარეშე იძლევა მისი გაძლიერების იმპულს და ვლინდება სხვა, არანაკლებ აგრესიული ფორმით.

H2. ფედერალური ცენტრისთვის მიუღებელი ნაციონალისტური განწყობების ჩახშობა/კონტროლი ყოფილი ნაციონალისტის/სეპარატისტის მხარდაჭერის ხელით ზრდის მისი დამოუკიდებელი თამაშის ალბათობას, რაც დროის გარკვეულ პერიოდში შესაძლოა გამოიხატოს ნაციონალიზმის ახალ, უფრო ძლიერ ტალღაში.

საყურადღებოა გელნერის კიდევ ერთი თეორიული დაშვება (რომელსაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ) განათლებული, ე.წ. უნივერსალურად მაღალი კულტურის ხანაში წარმოქმნილი ნაციონალური განწყობების შესახებ. ეს უკანასკნელი ჩვენს შემთხვევაში მოიცავს ორივე პიპოთეზას (უფრო სწორად, დროის

---

[18] ზემოხსენებული გამოვლინებების მიზეზი შესაძლოა იყოს ერის ტრამვა, ანუ ის ტკივილი, რომელიც მიადგა გარკვეული პერიოდის წინ და წლებისა თუ საუკუნეების განმავლობაში კოლექტიური მეხსიერებიდან არ იშლება. ეს უკანასკნელი შესაძლოა ქმნიდეს მტრის ხატს, რომლის გარშემოც ხდება საზოგადოების კონსლიდირება (ინტერვიუ პროფესორ ე.ჯგერენაიასთან).

ჩვენს შემთხვევაში შამილისა და შეიხ-მანსურის ბრძოლა დამპყრობელი მეფის რუსეთის წინააღმდეგ გარკვეულწილად იყო მტრის ხატის შექმნისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის განმაპირობებელი ჩეჩნური ელიტებისთვის (დუდაევისა და ნაწილობრივ კადიროვისთვის), ისევე როგორც საზოგადოების ნაწილისთვის, თუმცა მისი შინაარსიდან გამომდინარე ვერ იქნებოდა ნაციონალისტური აქტივობის იდეური საფუძველი, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

იმ პერიოდს, რომელზეც აღნიშნული პიპოთეზების შესაბამისად გვექნება საუბარი).

ნაციონალიზმის თეორიის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

თავი 1

ნაციონალიზმის არსისა და გაგების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ჩეჩნური ნაციონალიზმის შესახებ მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირველ ეტაპზე უკეთესია ნაციონალიზმთან დაკავშირებული თეორიული მასალების ზოგადი მიმოხილვა. წინამდებარე თავში ვისაუბრებთ როგორც ამ უკანასკნელზე, ასევე კვლევის ძირითადი თეორიის შესახებ (საუბარია ერნესტ გელნერის მიერ შექმნილ თეორიულ დაშვებებზე).

ტერმინი ,,ნაციონალიზმი'' მომდინარეობს სიტყვიდან ,,ნაცია'' (ლათ.*Nacia*), რაც ერს ნიშნავს, თუმცა თანამედროვე მეცნიერებებში ,,ნაციონალიზმის'' უნივერსალური განმარტება არ არსებობს. სხვადასხვა თეორია, სკოლა, მეცნიერი სხვადასხვაგვარად ხსნის აღნიშნულ სიტყვას.

სტანფორდის ფილოსოფიური ენციკლოპედიის მიხედვით მეცნიერთა დიდი ნაწილი ტერმინ ,,ნაციონალიზმს'' გამოიყენებს მაშინ, როდესაც სურთ აღნიშნონ/აღწერონ ორი ფენომენი. კერძოდ, პირველი – ის არის ეთნიკური ჯგუფის დამოკიდებულება/განცდა/გრძნობა, როდესაც ისინი ღელავენ საკუთარ ეროვნულ

იდენტობაზე. მეორე – ის არის ქმედება, როდესაც ეთნიკური ჯგუფის წევრები ცდილობენ მიაღწიონ პოლიტიკურ თვითგამორკვევას[19].

ვებსტერის ინტერნაციონალური ლექსიკონში მოცემულია ნაციონალიზმი 6 სხვადასხვა განმარტება[20]. ესენია:

1) ეროვნულობა - The state of being national; national attachment; nationality;
2) ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური შტრიხი - An idiom, trait, or character peculiar to any nation;
3) ეროვნული დამოუკიდებლობა, ეროვნულობის პრინციპები - National independence, the principles of the Nationalists;
4) ქვეყნისადმი ერთგულება, პატრიოტიზმი - A devotion to one's country, patriotism;
5) ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდაჭერის/დაცვის პოლიტიკა – The policy of advocating the independence of one's country;
6) ქვეყნის ინტერესების მხარდაჭერის/დაცვის პოლიტიკა განსაკუთრებულად მიუხედავად ერთი ქვეყნის ქმედებების შედეგებისა მეორეს მიმართ – The policy of advocating the interests of one's own country exclusively, regardless, of effects of a country's actions on other countries;

ზემოხსენებული განმარტებები დატვირთვითა და შინაარსობრივი წონით ერთმანეთისგან განსხვავებულია, ამასთან გარკვეულწილად ერთმანეთს ავსებს. აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი საინტერესოა, თუმცა ყველაზე მეტად ნაციონალიზმის შინაარსის უზოგადეს განმარტებას ემთხვევა მესამე და მეოთხე პუნქტები.

ნაციონალიზმის, როგორც თეორიის და პრაქტიკის მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ თეორიტიკოსებსა და მკვლევარებს შორის არ წყდება კამათი ამ ფენომენის ირგვლივ. მიუხედავად ამისა, მისი ცალსახად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ვერ ხდება. არიან მკველვარები, რომლებიც ნაციონალიზმს

---

19 Stanford Encyclopedia of Philosophy. ob. "Nationalism".

20 Webster-dictionary, ob. "Nationalism".

დადებით კონტექსტში განიხილავენ, ასევე არიან ისინი, რომლებიც მას ნეგატიურ და რეაქციულ ფენომენად მიიჩნევენ. ისტორიას თუ გადავხედავთ, ნაციონალიზმს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი როლიც შეუსრულებია. ის არის როგორც გამთიშველი ისე შემაკავებილი ძალა. ერთისმხრივ, ნაციონალიზმი შესაძლებლობას იძლევა წვრილი გაერთიანებების ნაცვლად დიდი პოლიტიკური ერთობები შეიქმნას, მეორეს მხრივ, იგი შლის ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს და ხელს უწყობს პოლიტიკურ ფრაგმენტაციას.

თანამედროვე პერიოდის მეცნიერები ს.მალეშევიჩი და ჯ.ჰოლი თავიანთ ნაშრომში (2013) ,,ნაციონალიზმი და ომი'' განიხილავენ ნაციონალიზმის დამოკიდებულებას მთელ რიგ საკითხებთან[21]. მათი შეფასებით:

- ნაციონალიზმი არის იმპერიალიზმის ნგრევის შედეგი;
- ნაციონალური იდენტობების ფორმირების/გაძლიერების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამარჯვებებსა და მარცხს;
- ნაციონალისტური გამოვლინებები ცალსახად დამოკიდებულია რომელ ისტორიულ პერიოდში, გეოგრაფიულ სივრცესა და პოლიტიკურ სივრცეში მიმდინარეობს პროცესები.
- ნაციონალური იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი გაცილებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ომების დროს, ვიდრე მშვიდობიანობის პერიოდში.
- ნაციონალიზმის წარმოშობა ომებს კიდევ უფრო სასტიკს და დაუნდობელს ხდის.

ასევე თანამედროვე პერიოდის მეცნიერი, პროფესორი აზარ გატი (თელავივის უნივერსიტეტი) თავის ნაშრომს (2012) ,,ერები. პოლიტიკური ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის გრძელი ისტორია და ღრმა ფესვები'' იწყებს იმის ძიებით, თუ რა წარმოშობს ნაციონალიზმს და რა არის მასში ისეთი რასაც უნარი აქვს საზოგადოებაში აღძრას ემოციურად ძლიერი გრძნობები. ავტორის აზრით,

---

21 Hall A. John, Malešević Siniša. *Nationalism and War*. Cambridge University Press, 2013.

მსოფლიო ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ ნაციონალიზმის არსებობა სახელმწიფოში არის უმაღლესი პოლიტიკური კატეგორია, რომლის განვითარების შემთხვევაში იქმნება ერი სახელმწიფოები. მისი აზრით ეს უკანასკნელნი ყოველთვის არსებობდნენ საუკუნეებიდან მოყოლებული, მხოლოდ განსხვავდებოდნენ მისი თანამედროვე გაგებისგან. გატი პოულობს ნაციონალიზმის ღრმა ფესვებს ადამიანის ბუნებაში და გვთავაზობს მისეულ ხედვას თუ, როგორ მიყვება კულტურის განვითარება ადამიანის ევოლუციას. ავტორის შეფასებით, ნაციონალიზმი კვებავდა სახელმწიფოებსა და იმპერიებს მათი გაჩენიდან დღევანდელობამდე. მისი აზრით ნაციონალიზმის არსებობა განაპირობებს ადამიანთა ალტრუისტულ/უანგარო დამოკიდებულებებს სხვადასხვა ტიპის სოლიდარობისა და იდენტობების ჩამოყალიბების მიმართ[22].

თანამედროვე პერიოდის პროფესორი ანდრია ლორენსი (ჩიკაგოს უნივერსიტეტის) საკუთარ წიგნში (2013) ,,იმპერიული მართვა და პოლიტიკური ნაციონალიზმი'' საუბრობს ნაციონალიზმის წარმოშობის თავისებურებებზე საფრანგეთის კოლონიების მაგალითზე. ნაშრომი საკმაოდ საინტერესოა და მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მასალებს. იგი იკვლევს რამ განაპირობა კოლონიებში შემავალი სუბიექტების ნაციონალური განწყობები და რატომ სურდათ მათ იმპერიის შემადგენლობიდან გასვლა. მისი შეფასებით, თანამედროვე ეპოქაში ნაციონალიზმი დაპირისპირებაშია კოლონიალიზმთან და მის წინააღმდეგ ბრძოლა გარდაუვალი პროცესია. მის ნაშრომში აღნიშნულია, რომ ნაციონალიზმი არ იყო ანტიკოლონიალიზმის ერთადერთი ფორმა, თუმცა იგი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ისტორიული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ნაციონალიზმის გამოვლინებები თავდაპირველად იწყება შედარებით ნაკლებად მტკივნეული მოთხოვნებით, რომელთა დაუკმაყოფილება იწვევს მის გაძლიერებას უფრო ღრმა პროცესებში. მაგალითად, XX საუკუნის პირველი ნახევარში საფრანგეთის კოლონიებში, პირველი ნაციონალური აქტივობები დაკავშირებული იყო ცენტრთან პოლიტიკურად

[22] Gat Azar, Yakobson Alexander. *Nations. The Long History and Deep Roots of Political Ethnicity and Nationalism*. Cambridge University Press. 2012.

თანაბარი უფლებების მოპოვებასთან, რომლის სრულად დაუკმაყოფილებლობამ გამოიწვია ნაციონალური (ეროვნული) დამოუკიდებლობის მოთხოვნის დეკლარირება. ლორენსი ააშკარავებს, რომ კოლონიების მმართველი ელიტები გადაეწყობოდნენ უფლებრივი/პოლიტიკური გათანაბრების მოთხოვნიდან დამოუკიდებლობების მოთხოვნაში, რასაც იმპერიის მმართველი ელიტა მკვეთრად უარყოფითად პასუხობდა. რისი შედეგებიც ლოგიკურია. თუმცა სიანტერესოა, რომ იქ სადაც რეფორმები და ინტეგრაცია იმპერიებმა დაუშვეს (ამ შემთხვევაში საფრანგეთმა) და ნაციონალური აქტივობები დამოუკიდებლობის მოთხოვნით მაინც გაგრძელდა, განაპირობა არა კოლონიზატორების მიდგომამ, არამედ ახლებული რეფორმებისა და ინტეგრაციის კრახმა[23].

ბრიტანელი პროფესორების დ.მაკრონისა და ფ.ბექჰოფერი თავიანთ ნაშრომში ,,ნაციონალური იდენტობის გაგება'', რომელიც 2015 წელს გამოიცა, საუბრობენ ნაციონალიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე. მათი შეფასებით:[24]

- თანამედროვე საზოგადოებების გარკვეული ნაწილისთვის ნაციონალიზმი აღარ წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საფიქრალს და ემოციის მატარებელს, მაგრამ ამგვარად მოაზროვნე ადამიანთა რიცხვი ჯერ კიდევ მცირეა, თუმცა რაოდენობა პროგრესირებადი;
- ეროვნულობა საკმაოდ განსხვავდება ნაციონალური იდენტობისგან და ხასიათდება მტკიცე ხასიათით;
- კონსტიტუციური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც ირიბად მაინც ეხება არადომინანტი ერის უფლებებს, თუნდაც ფორმალურს, იწვევს ნაციონალიზმს სერიოზულ ტალღას;

პროფესორ ჩაიმ განსის ნაშრომში (2004) ,,ნაციონალიზმის შეზღუდვები''

---

[23] Lawrence K. Adria. *Imperial Rule and the Politics of Nationalism Anti-Colonial Protest in the French Empire.* Cambridge University Press. 2013.

[24] McCrone David, Bechhofer Frank. *Understanding National Identity.* Cambridge University Press. 2015.

განხილულია კულტურული ნაციონალიზმის შეზღუდვები და გადმოცემულია ეს ლიბერალიზმის რაკურსიდან. განსი წარმოადგენს ნაციონალური იდეოლოგიის ნორმატიულ ტიპოლოგიას და განასხვავებს ერთმანეთისგან კულტურულ და სტატისტიკურ ნაციონალიზმს. მისი შეფასებით, სტატისტიკური ნაციონალიზმი, ეს არის სახელმწიფოს ინტერესი თავისი მოქალაქეების კულტურულ ჰომოგენურობაში. ხოლო კულტურული ნაციონალიზმი, ეს არის თავად ადამიანების/მოქალაქეების ინტერესი თავი მიაკუთვნონ თავიანთ კულტურებს (მიკუთვნადობის თეზისი) და მხარი დაუჭირონ მის გადაცემას თაობიდან თაობაზე (ისტორიული თეზისი). განსი ამტკიცებს, რომ თავისუფლება და იდენტურობა დაფუძნებული კულტურული ნაციონალიზმზზე, შეიძლება მხარდაჭერილ იქნას მხოლოდ მიკუთვნადობის თეზისით. იმ დროს როცა ისტორიული თეზისი შეიძლება გამართლებული იყოს ხალხის ინტერესით ჰქონდეთ გრძელვადიანი გამძლეობა მათ პიროვნულ და ჯგუფურ მცდელოებებზე და ამასთან შეინარჩუნონ პროცესი უწყვეტად. ნაციონალიზმის შეზღუდვები გამოცდის იმ მოთხოვნებს რომელიც წარმოქმნილია კულტურული ნაციონალიზმის სახელით, როგორიც არის თვით გამორკვევის სურვილი, ტერიტორიული პრეტენზიები წარმოქმნილი სხვადასხვა ეპოქებში და კულტურული პარტიკულარიზმის მოთხოვნა, როგორც კულტურული კოსმპოლიტიზმის საწინააღმდეგო მოცემულობა. საყურადღებოა, რომ ის მოთხოვნები, რომელიც ვერ უძლებს დროს და ემორჩილება ნაციონალიზმის შეზღუდვებს, ანუ უარს ამბობს ისტორიულ მოთხოვნებზე თვითგამორკვევის თუ სხვათა შესახებ, განწირულია კრახისთვის.[25].

ერიკ ჰობსბაუმი (Eric Hobsbawm) ნაციონალიზმთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებებს[26]:

1) იგი ნაციონალიზმს განიხილავს, როგორც იდეოლოგიას, როდესაც პოლიტიკური და ეთნიკური მოლოდინები/შეხედულებები ერთმანეთს

[25] Gans Chaim. *The Limits of Nationalism.* Cambridge University Press. 2004.

[26] ჰობსბაუმი ერიკ. *ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან. პროგრამა, მითი, რეალობა.* მთარგმ. ს.გაბისონია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცმელობა. 2012

ემთხვევა;

2) ზემოთქმულის კვლადაკვალ, მისი აზრით, ნაციონალიზმის ჩამოყალიბებისთვის ერი დროში უნდა განიცდიდეს მუდმივ განვითარებას, ცვლილებებს და მხოლოდ ამ პირობებში შეიქმნება მისი თანამედროვე ნაციონალური კონსტრუქცია;
3) იგი აცნობიერებს, ეთნოსის (ამ შემთხვევაში ერი-სახელმწიფოს) პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციული დანახარჯების საჭიროებას მის წარმოსაჩენად. ამის მაგალითად კი მოყავს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის არსებობა და მისი განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა;
4) მას სჯერა, რომ ნაციონალიზმი კონსტრუქტირებული ,,ზემოდან'', თუმცა იგი საჭიროებს შესწავლას ,,ქვემოდან'', ანუ იქედან საიდანაც იგი იკვებება და გააჩნია ძლიერი ფესვები;

აღსანიშნავია, ნაციონალიზმის განვითარების ერიკ ჰობსბაუმისეული დაყოფაც, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. პირველი პერიოდი, როდესაც ერის იდეა აღქმული იყო ფოლკლორულ და/ან კულტურულ ერთობად;
2. პერიოდი, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლებები ცდილობენ საზოგადოებაში აამაღლონ ცნობიერება და ეთნოსის მობილიზაცია მოახდინონ;
3. და ბოლოს ეტაპი, როდესაც ნაციონალისტური მოძრაობები მიაღწევენ მასათა მხარდაჭერას. თუმცა, აღსანიაშნავია, რომ ეს ეტაპი შესაძლოა დადგეს ახალი სახელმწიფოს შექმნისთანავე მყისეულად ან შექმნის წინა, უახლოეს პერიოდში;

მარქუეითის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორ ლოიელ ბარინგტონის (Lowell W. Barrington, Professor of Political Sciences, Marquette University) შეფასებით, ნაციონალიზმზე საუბრისას ხშირად ხდება სამი მნიშვნელოვანი

მოცემულობის აღრევა. ესენია: პატრიოტიზმი, ეთნიკური პოლიტიკა და ეთნიკური კონფლიქტი. ბარინგტონის აზრით, ზემოსხენებულიდან განსაკუთრებით ხაზგასამელია ის ფაქტი, რომ ყველაზე ხშირად გაიგივებულია ტერმინები პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი, რაც არასწორია. ასევე არასწორია, როდესაც ხდება გაიგივება ნაციონალიზმისა და ეთნიკური პოლიტიკის, რადგან ეთნიკური პოლიტიკა - ეთნიკური ჯგუფის (ანუ ერთი ეთნოსის) პოლიტიკური მობილიზაციაა. ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს საწინდარი გარკვეული ტიპის ნაციონალიზმის. პოლიტიკურად მობილიზირებულ ეთნიკურ ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს არაერთი მიზანი დაწყებული კულტურული და პოლიტიკური ავტონომიით და დამთავრებული რეგიონალური ენის სტატუსის უფლების მოპოვებით და ა.შ[27].

კარლტონ ჰეისი ნაშრომებში ნაციონალიზმი განხილულია შემდეგი თვალსაზრისით:

1. ნაციონალიზმი არის გრძნობა, განცდა, რომელსაც აქვს ძლიერ ემოციური დატვირთვა, დაახლოებით ისეთი როგორიც რელიგიას;
2. ნაციონალიზმი არის პროცესი, როდესაც ეთნოსები გარდაიქმნებიან პოლიტიკურ ერთეულებად ანუ ერ-სახელმწიფოებად;
3. ნაციონალიზმი არის პოლიტიკური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედება, როდესაც ხდება ისტორიული პროცესისა და პოლიტიკური თეორიის გაერთიანება;

თბილისის ინავე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ზურაბ დავითაშვილს ნაციონალიზმზე საუბრისას მოყვანილი აქვს მაგალითი საბჭორი ლიტერატურიდან[28]. კერძოდ, იმდროინდელ გამოცემებში, ნაციონალიზმი განმარტებულია, როგორც რეაქციული ბურჟუაზიური იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც ეროვნული შუღლის გაღვივებისა და სხვა ერების დაჩაგვრის ხარჯზე პრივილიგერიბულ მდგომარეობაში აყენებს გაბატონებულ ერს, მხარს უჭერს ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს, აცხადებს რა მას მთელი ერის

---

[27] Barrington W. Lowell. *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States*, The University of Michigan Press. 2006.

[28] დავითაშვილი ზურაბ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა სერია. ,,მეცნიერება''. 2003.

ინტერესებად''. დავითაშვილის შეფასებით (ეყრდნობა რა ზემოთ აღწერილ განმარტებას) ნაციონალიზმი საბჭოთა ლიტერატურის მიხედვით უაღრესად უარყოფითი, რეაქციული ფენომენია, რომელიც უამრავი ბოროტების წყაროდ შესაძლოა იქცეს. ამიტომ მისი გამოვლინება საწყის ეტაპზევე უნდა მოხდეს ნეიტრალიზებული.

ზემოხსენებული ავტორის სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია ნაციონალიზმის ახსნა ფსიქოლოგების შეფასებების მიხედვით. კერძოდ:
,,ფსიქოლოგების შეფასებით ნაციონალიზმი არ არის ლოგიკური და რაციონალური მოვლენა. მისი საფუძველი ქვეცნობიერ, ირაციონალურ სამყაროშია. ქვეცნობიერი შიში ცნობიერ სამყაროში უსაფრთხოების მიზნით სიმბოლოებს ქმნის. ერი ინდივიდისთვის დედის ან მამის სომბოლოა, რომელიც ან გიყვარს ან გძულს, იმის მიხედვით თუ როგორი გრძობა ჩამოგიყალიბდა მშობლების მიმართ ბავშვობაში. ზოგიერთი ფსიქოანალიტიკოსის აზრით ერის სოციალური შემადგენლობა მისი ინდივიდების მოტივაციების გამეორებაა, ინდივიდი კი მუდმივ დაპირისპირებაში სოციალურ სანქციებთან[29].

ნაციონალიზმის კიდევ ერთი თანამედროვე მკვლევარი ე.სმითი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ის შეიძლება ღნიშნავდეს[30]:

1. ნაციებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნების ერთიან პროცესს;
2. ნაციისადმი კუთვნილების გაცნობიერებასა და მასთან ერთად, ნაციის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისაკენ მიმართულ განწყობილებებსა და მისწრაფებებს;
3. ,,ნაციის'' ენასა და სიმბოლიზმს და მის როლს;
4. იდეოლოგიას, რომელიც მოიცავს ნაციათა და ნაციონალური ნების კულტურულ დოქტრინასა და აგრეთვე მინიშნებებს მათი რეალიზაციის

[29] Ibid.

[30] სმითი ე. *ნაციონალური იდენტობა.* მთარგმ. ლ.პატარიძე. გამომცემლობა ,,ლოგოს პრესი'', თბილისი 2008.

თაობაზე;

5. სოციალურსა და პოლიტიკურ მოძრაობას, მიმართულს ნაციის მიზნების აღსრულებისა და ნაციონალურინების რეალიზაციისაკენ;

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ქართულენოვან ლექსიკონ–ცნობარში ნაციონალიზმზზე აღნიშნულია, რომ იგი ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება - როგორც იდეოლოგია და როგორც გრძნობა. პირველი მნიშვნელობით იგი ემყარება ნაციის, ერის ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია ეროვნული თვითგამორკვევის იდეა, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს დამოუკიდებლობის, ირედენტიზმისა თუ სეცესიის გზით. მეორე მნიშვნელობით ნაციონალიზმი არის გრძნობა, რომლის მიხედვითაც ერი და ერი-სახელმწიფო არის უმაღლესი ღირებულება და მათდამი ლოიალობა დომინანტურია ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით. ე.ი. ეროვნული ინტერესები მაღლა უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ რელიგიურ თუ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე[31].

ადამიანის უფლებათა ქართულენოვან ლექსიკონში „ნაციონალიზმი“ განმარტებულია, როგორც პოლიტიკური პრინციპი, რომელიც პოლიტიკურისა და ნაციონალურის ერთ მთლიანობას ამტკიცებს. ეს პოლიტიკური იდეალია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრიობა თითოეული ერის პოლიტიკური ორგანიზაციის ოპტიმალური ფორმაა. ნაციონალიზმი განსხვავდება პოლიტიკური ან კულტურული ავტონომიის მოთხოვნისაგან. ნაციონალისტური პროგრამები ასიმილაციის (ხშირად ძალადობრივის) გზით ნაციონალური ერთგვაროვნებისაკენ მოუწოდებენ და ბევრ ქვეყანაში ნაციონალისტურ პოლიტიკას ეთნიკური არაერთგვაროვნების პირობებში უმცირესობებისათვის ზიანი მოაქვს. ეს უკანასკნელი მინიმუმ საკამათოა, რადგან თანამედროვე მსოფლიოში არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფოთა პოლიტიკური საზღვრები, ამასთანავე, ნებისმიერი ფორმით გარკვეული ეთნიკური ჯგუფებისთვის ნაციონალიზმის ეგიდით კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის

[31] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. იხ. ''ნაციონალიზმი''.

მიერ თავსმოხვეული პოლიტიკა არის სეპარატიზმის ხელშეწყობა და გათვლილია სხვა პოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ[32].

თავი 2

ნაციონალიზმის წარმოშობა

ნაციონალიზმის წარმოშობა უკავშირდება მე-18 საუკუნის მიწურულს საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის ომებს. სწორედ აქედან იღებს სათავეს ევროპის ხალხების მიერ საკუთარი თავის გაცნობიერება კულტურულ ერთობად.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში 1815–1871 წლების ევროპული ნაციონალიზმი გამაერთიანებელი ნაციონალიზმის სახელითაა ცნობილი, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში გაერთიანდა და ერთიან სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა გერმანია და იტალია. ვერ ვიტყვით, რომ ამ პერიოდში წარმოშობილი ყველა ნაციონალიზმი გამაერთიანებელი იყო, რადგან მთელი რიგი მოძრაობებისა არსებული იმპერიების დაშლისა და ნგრევისკენ იყო მიმართული. (მაგალითად ლათინურ ამერიკაში წარმოშობილი ნაციონალიზმი. ლათინური ამერიკის მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ესპანელ კოლონიზატორთა განდევნას ისახავდა მიზნად. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად 1810-1830 წლებში ლათინურ ამერიკაში მთელი რიგი ახალი სუვერენული

[32] ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. რედაქტორი: იხ. ''ნაციონალიზმი''.

სახელმწიფოები წარმოიქმნა).

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ნაციონალიზმის წარმოშობისა და მისი განვითარების თავისებურებები კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებზე და იმ გეოგრაფიულ სივრცეზეა დამოკიდებული, სადაც იგი მჟღავნდება. როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალიზმი წარმოიშვა მაშინ, როცა გაჩნდა მოთხოვნილება, რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე და ერთი კულტურის მქონე ხალხს ჰქონოდათ პოლიტიკური ერთობის სახე, ხოლო სუვერენი იქნებოდა თავად ხალხი და არა – მეფე. ლოზუნგი „გაუმარჯოს მეფეს“ შეიცვალა „გაუმარჯოს ერს“, ხოლო თუ ლუი XIV-ს შეეძლო ეთქვა „სახელმწიფო ეს მე ვარ“ – გამარჯვებულები მიიჩნევდნენ, რომ ფრანგი ერისთვის მეფე ზედმეტი იყო. საფრანგეთიდან ნაციონალიზმი სხვა ევროპულ ერებში გავრცელდა და ბევრგან ავტოკრატიული მმართველობა შეცვალა ხალხის მმართველობამ. ნაციონალიზმი გახდა მძლავრი პოლიტიკური ძალა და ალბათ, ყველაზე უფრო წარმატებული იდეოლოგია, რომელმაც ფაქტობრივად განასაზღვრა XIX-XX საუკუნეების მსოფლიო ისტორია.

ცივი ომის დასრულების შემდეგ კაცობრიობა საკუთარი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს დაპირისპირების დასრულების შემდეგ დაიწყო პერიოდი, რომელიც იაპონური წარმოშობის ამერიკელმა მკვლევარმა ფუკუიამამ „ისტორიის დასასრულად“ მონათლა. ფუკუიამა გულისხმობდა იმას, რომ კომუნიზმის კრახით და საბჭოთა კავშირის დაშლით ისტორიაში მოისპო უკანასკნელი დაპირისპირება და დადგა ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების საყოველთაოდ გავრცელების იდეა. ფუკუიამას აზრით, რაკი ისტორია მანამდე დაპირისპირებულთა ბრძოლა იყო, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისტორია დამთავრდა, რადგან დაპირისპირება აღარ არსებობს. ნაციონალიზმი წარსულს ბარდება და გზას უთმობს გლობალიზაციის პროცესს. 1990-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ ფუკუიამას მსჯელობა უტოპია იყო. ნაციონალიზმი არა თუ გაქრა და შემცირდა, არამედ ინტენსიურად და უფრო

აგრესიულად იჩენს ხოლმე თავს[33]. ამ უკანასკნელს ნათლად ადასტურებს ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებები 90-იანი წლებიდან დღემდე, რაც წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის მთავარ საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურობის ხაზგასმით ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი, როგორც მისი ისტორიული პრაქტიკიდან ჩანს, სხვადასხვა ეთნიკური კონფლიქტის საფუძველი გახდა, ამიტომ მრავალეთნიკური სახელმწიფოსათვის ეროვნული იდენტობის აღნიშნული ფორმა არასასურველია. ამგვარ შემთხვევებში გაცილებით პროდუქტიული სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება/ხელშეწყობა. მთავარ ამოცანას წარმოადგენს ისეთი ეროვნული იდენტობის ფორმირება, რომელიც საერთო იქნება სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა ჯგუფისათვის და ისეთი სახელმწიფოს შექმნა, სადაც აღნიშნული ჯგუფები თანაბარი სამართლებრივი უფლებებით იქნებიან უზრუნველყოფილნი. ჯეკ სნაიდერს (Jack Snyder) შემოაქვს ნაციონალური იდენტობის კიდევ ერთი ტიპი - რევოლუციური ნაციონალიზმის სახით[34]. ნაციონალიზმის რევოლუციური ფორმის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად საფრანგეთის რევოლუციური ნაციონალიზმი შეგვიძლია შევარჩიოთ (საფრანგეთი მე-18 საუკუნის ბოლოს). რევოლუციური ნაციონალიზმის მიხედვით, სახელმწიფოს მოქალაქეობა დაფუძნებულია საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებასა და პოლიტიკური ლოიალობის პრინციპებზე, გამორიცხავს, ეთნიკური მიკუთვნებულობის მიხედვით სამოქალაქო უფლებათა დიფერენციაციას. რევოლუციური ნაციონალიზმი ინდივიდუალურთან შედარებით კოლექტივისტურ ღირებულებაზე უფრო მეტ აქცენტს სვამს, რადგან სწორედ „კოლექტივისტური ერთობის“ (ინდივიდუალური იდენტობა ექვემდებარება კოლექტიურ იდენტობას და ყალიბდება ერთიანი კოლექტივისტური „ორგანიზმი“) მხარდაჭერა იცავს პოლიტიკური რევოლუციის გზით მოსულ რეჟიმს, რომელიც „ერის სახელით“ მართავს სახელმწიფოს და მტრად თვლის ყველას, ვისაც ცვლილების უკან დაბრუნება სურს.

---

[33] Ibid.

[34] Zedania Giga, The Rise of Religious Nationalism in Georgia”, Identity studies #3, [Ilia State University, 2011], 120-127

თავი 3

ნაციონალიზმი როგორც ,,დიდი იდენტობა'' [35].

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ გ.თევზაძეს შემოაქვს ტერმინი დიდ იდენტობა და მას განიხილავს, როგორც გარემომცველ სამყაროზე იდეებისა და წარმოდგენების სისტემას, რომლებსაც ადამიანების დიდი ჯგუფი, რომლის წევრების უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობს და არც არასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს, იზიარებს და აღიქვამს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოქმედებების უპირობო განმსაზღვრელად. როგორც წესი, ეს წარმოდგენები ქმნიან წარმოსახვით საზღვრებს, რომლის იქით მოხვედრილი ადამიანი აღიქმება როგორც უცხო. ეს წარმოსახვითი საზღვარი შეიძლება ემთხვეოდეს გეოგრაფიულს ან

[35] ქართულენოვან სამეცნიერო და აკადემიურ ლიტერატურაში ნაციონალიზმის განსაზღვრებისას ტერმინი ,,დიდი იდენტობა'' პირველად შემოიტანა პროფესორმა გიგი თევზაძემ. მიმდინარე თავში გადმოცემულია მოკლე მიმოხილვა თუ რა კავშირი აქვს ნაციონალიზმს ,,დიდ იდენტობასთან'', რაშიც გამოყენებულია ჟურნალ ,,სოლიდარობაში'' გამოქვეყნებული სტატია. თევზაძე გიგი. *“დიდი იდენტობა”.* სადისერტაციო ნაშრომისთვის კი მასალები აღებულია ვებგვერდიდან https://burusi.wordpress.com/2010/09/16/gigi-tevzadze-8/

პოლიტიკურს, შეიძლება – არა. მაგალითად, ნაციონალიზმი დიდი იდენტობის კლასიკური შემთხვევაა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანების დიდ ჯგუფებში კონკრეტული იდეებისა და წარმოდგენების კომპლექსის უცვლელი და უდანაკარგო გავრცელება/დანერგვასთან (თუმცა პოლიტიკური კატაკლიზმების გათვალისწინებით ჩეჩნეთის და/ან სხვა პატარა ტიპის და მცირერიცხოვანი საზოგადოებების მაგალითზე, პროცესი გაცილებით იწელებოდა დროში, ვიდრე იმ საზოგადოებებში, რომელთა საერთო სოციალურ-კულტურულ არელაში ყოფნის დიდი და შედარებით უდანაკარგო პერიოდი ჰქონდათ).

განსაკუთრებული ტემპით ზემოაღნიშნული პროცესის განვითარება დაიწყო მას შემდეგ, რაც წარმოიშვა უნიფიცირებული, ერთიანი განათლების სისტემა და მასმედია. ,,მხოლოდ მასმედიის და განათლების სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი იდეებისა და წარმოდგენების სისტემა ყოველი მოქალაქისთვის საერთო, ძვირფასი და შეუცვლელი გახადო. როგორ? თუკი მოახდენ ამ იდეების ტრანსლირებას სასკოლო სისტემით (ანუ, დაიწყებ ამ იდეების ჩანერგვას ადამიანების თავებში სკოლაში შესვლის მომენტიდან ანდა უფრო ადრეც) და შემდეგ – გაამყარებ გაზეთებით, რადიოთი და ტელევიზიით. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს რა კონკრეტული შინაარსის ტრანსლირება ხდება მასმედიის საშუალებით''.

პროფესორ გ.თევზაძის შეფასებით, განათლების ერთიანი სისტემითა და მასმედიის საშუალებით ნებისმიერი იდეათა სისტემის გავრცელებაა შესაძლებელი ქვეყნის მასშტაბით. ამასთან საუბარი არ არის მხოლოდ ისეთზე, რომლებიც ეროვნული სულის, ისტორიისა და სახელმწიფოს შესახებ საუბრობენ. ამის დასტურად მოყავს რადიკალური ისლამი, რომელიც დღესდღეობით მასმედიის საშუალებით გახდა/ხდება დიდი იდენტობა[36].

პროფესორი გ.თევზაძე „ევროპული“ დიდი იდენტობის ნაციონალიზმისაგან

[36] ავტორის ინტერვიუ გ.თევზაძესთან (25.03.2015).

განსხვავებით, აღმოსავლურ დიდ იდენტობაში ძირითადად რელიგიას მოიაზრებს, რამდენადაც ისლამი აღმოსავლეთის ქვეყნებში ,,მუშაობს'', როგორც ამ ქვეყნების ხალხთა მთავარი გამაერთიანებელი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ქვეყნებში არსებობს ნაციონალური, ქვეყნის მასშტაბის იდენტობის შექმნის მცდელობები, მაგრამ ჯერჯერობით მათ მთლიანად მოიცავს და იმორჩილებს დიდი რელიგიური იდენტობა.

დიდ იდენტობას მთავრობები ან დიდი გავლენის მქონე ადამიანთა ჯგუ32ფები ქმნიან და ავრცელებენ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მთავრობაში ან დიდი გავლენის მქონე ჯგუფებში განსაკუთრებულად ჭკვიანი ადამიანები შედიან, არამედ იმიტომ, რომ დიდი იდენტობის შესაქმნელად აუცილებელი ორივე სისტემა – განათლებისა და მასმედიის ინსტიტუციონალური ფორმები – მათ ხელშია.
იმდენად, რამდენადაც დიდი იდენტობის შემოღების შესაძლებლობები იზრდება, მომავალში კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ დიდი იდენტობა მხოლოდ ნაციონალური არ არის. ალბათ, კიდევ უფრო ცხადად გამოიკვეთება რეგიონული დიდი იდენტობების კონტურები, მაგრამ მომავალი ეს დიდი რეგიონული იდენტობა შეიძლება სულაც არ იყოს სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკვე გვაქვს დიდი რეგიონული იდენტობის მაგალითი ისლამის სახით და ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მას სიმშვიდე და სტაბილურობა მოაქვს. ხოლო ჩვენს გარშემო მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებამ სრულიად არასახარბიელო პროგნოზი შეიძლება გაგვაკეთებინოს: ჩვენს ახლო და არცთუ ისე ახლო გეოპოლიტიკურ სივრცეებში მართლმადიდებლობა ერთადერთი კონსტრუქტია, რომელიც რეგიონულ იდეოლოგიას და, შესაბამისად, რეგიონულ დიდ იდენტობად ქცევის შესაძლებლობას შეიცავს. მართლმადიდებლური რეგიონული დიდი იდენტობა კი სერიოზულ პოლიტიკურ და გეო-პოლიტიკურ ცვლილებებს გამოიწვევს.

ზემოხსენებული ცნება ნაციონალური იდენტობის შესახებ ნაშრომში გამოყენებულია არაერთხელ. ტერმინის საშუალებით მოხდა ჩეჩნური წინააღმდეგობის ფაზების

იდენტიფიცირება. კერძოდ:

პირველი ფაზა - ნაციონალური იდენტობისთვის ბრძოლა გამოხატული სეპარატისტული მისწრაფებებით;
მეორე ფაზა – ზემოხსენებულის ტრანფორმაცია რელიგიურ იდენტობაში გამოხატული რელიგიური ნიშნით სეცესიის მცდელობებში;
მესამე ფაზა - კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება გამოხატული მოქმედი ხელისუფლების სპეციფიკურ, ნაციონალურ-რელიგიური პოლიტიკის კომბინირებული ვარიანტით.

თავი 4

ნაციონალიზმი სხვადასხვა თეორიების მიხედვით

წინა თავებში აღწერილ იქნა მკვლევართა შეფასებები ტერმინ ,,ნაციონალიზმთან'' დაკავშირებით. კერძოდ, ვინ როგორ აღიქვამს და ხედავს აღნიშნულ მოცემულობას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ზოგი მოსაზრება საწინდარი გახდა ახალი თეორიული მიდგომის ჩამოყალიბებისთვის. სანამ გადავალთ ნაშრომის ძირითად თეორიულ დაშვებებზე, მიზანშეწონილია მიმოვიხილოთ, თანამედროვე მეცნიერებებში ნაციონალიზმის შესახებ არსებული ყველაზე კარგად ცნობილი თეორიები, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ავტორები მეტ-ნაკლებად მსგავსი შეხედულებების მიხედვით.

1. **პრემოდერნული თეორია** – ამ თეორიის მიხედვით ერები ყოველთვის არსებობდნენ. ამასთანავე, ერებად არსებობა კაცობრიობის ბუნებრივი მდგომარეობაა. აღნიშნული კონცეფციის მომხრეები ძირითადად ორთოდოქსი ისტორიკოსები არიან, რომლებიც საშინლად ეწინააღმდეგებიან ინტერდისციპლინურ დიალოგს. მათ აქვთ ისტორიის მყარი, ტრადიციული

გაგება, რომელიც გამიჯნულია სხვადასხვა მეცნიერებისგან და ძირითადად აღწერს ერის პოლიტიკურ ისტორიას[37].

2. **სოციოეკონომიკური მოდერნიზმი** – ტომ ნეირნის და მაიკლ ჰეტჩერის შექმნილი კონცეფცია. იგი გვთავაზობს ნაციონალიზმის ხედვას თანამედროვე ისტორიით, რომელიც შექმნა ახალმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ფაქტორებმა. ნაციონალიზმის გაჩენის მიზეზი კი იყო კაპიტალიზმი, რეგიონების თავისებურებები და რეგიონებს შორის განვითარების დისპროპორცია.[38]
3. **პოლიტიკური მოდერნიზმი** – ეს თეორია შემუშავებულია ჯონ ბრეილის, ენტონი ჰიდენსის და მაიკლ მანის მიერ. ისინი გვთავაზობენ, ნაციონალიზმს შევხედოთ, როგორც პოლიტიკურ პროექტს, რომელიც ახალი ერი-სახელმწიფოს ფორმირებას ან პირიქით, სახელმწიფოს დაყოფას ემსახურება.
4. **ნაციონალ-პოლიტიკური რევივალიზმი** – მიროსლავ ჰროხის შექმნილი ძალზე საინტერესო კონცეფცია, რომელიც გვთავაზობს ერი-სახელმწიფოს შექმნის ახალ თეორიას. ამ თეორიის მიხედვითაც, ჩაგრული მასების აჯანყებამ „ფეოდალიზების“ წინააღმდეგ გამოიწვია საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, საკუთარი კულტურით. რამდენადაც ფეოდალიზმის დროს არისტოკრატიული და დაბალი ფენების კულტურა განსხვავდებოდა, შესაბამისად, ერთი კულტურული და ფასეულობრივი ღირებულება არ არსებობდა, ამიტომ მხოლოდ ჩაგრული მასების აჯანყებას შეეძლო მასებსა და ელიტებს შორის კულტურული განსხვავებების ლიკვიდაცია, რის შედეგადაც იქმნებოდა ახალი ნაციონალური სახელმწიფო[39].
5. **იდეოლოგიზმი** – ელი კედურის თეორია, რომლის თანახმადაც ნაციონალიზმი სუფთა პოლიტიკური იდეოლოგიაა, მრავალეთნიკური იმპერიების დანგრევის შემდეგ წარმოშობილი[40].

---

[37] Gorski S. Philip. *The Mosaic Moment: An Early Modernist Critique of Modernist Theories of Nationalism.* Vol. 105, No. 5. The University of Chicago Press. 2000.

[38] Stephens Angharad Closs.*The persistence of Nationalism – from Imagined communities to to urban encounter.* Abingdon Un. press. 2015.

[39] Ibid.

[40] Kedourie Elie. *Nationalism*, 1960.

6. **კონსტრუქტივიზმი** (ეთნოსიმბოლიზმი) – ერიკ ჰობსბაუმისა და ენტონი სმითის შექმნილი კონცეფცია, რომლის მიხედვით ნაციონალიზმი თანამედროვე ისტორიული მოვლენაა, რომელსაც აქვს სოციალური, რელიგიური, კულტურული, მარკირების მახასიათებელი და ჩანს პოლიტიკურ, კულტურულ, იდეოლოგიურ და საერთაშორისო ურთიერთობებში.
7. **ინტელექტუალური კონსტრუქტივიზმი** – ბენედიქტ ანდერსონის მიერ შექმნილი თეორია, რომლის თანახმადაც, ერი სრულად შეგნებულად არის „წარმოსახული" ინტელექტუალი ნაციონალისტების მიერ. რომ არა ეს წარმოდგენა, ერიც არ იარსებებდა.
8. **ნაციონალიზმის ნარატიული თეორია** – ჯორჯ გრაბოვიჩის, ტარასა კოზნაკის, მაქსიმ ტარნავსკისა და ოლეგ ილიცკის კვლევა. ისინი ნაციონალიზმის წყაროს ლიტერატურულ ტექსტსა და ამ ლიტერატურული ტექსტის მიბაძვაში ხედავენ[41].
9. **პოსტკოლონიალიზმი (ორიენტალიზმი)** – ედვარდ საიდისა და მიროსლავ შკანდრის თეორია. ეს არის მოდერნიზმისა და კონსტრუქტივიზმის სინთეზური თეორია, რომელიც ნაციონალიზმს განიხილავს ცენტრისა და პერიფერიის ურთიერთობის ფორმად[42]. პროფესორ გ. თევზაძის შეფასებით, გელნერის თეორია ნაციონალიზმთან დაკავშირებით უნდა გაერთიანდეს კოლონიალიტური თეორიების რიგებში[43].

ლონდონის უნივერსიტეტის მკვლევარი ი. რ. ლობერა (Josep R.Llobera) გვთავაზობს ნაციონალიზმის შესახებ არსებული თეორიების შემდეგ ტიპოლოგიას:

1. პირველი/საწყისი და სოციობიოლოგიური თეორიები (Primordialist and Sociobilogical Theories);

---

[41] Bernsand Niklas, Törnquist Plewa Barbara, Narvselius Eleonora. *BEYOND TRANSITION? MEMORY AND IDENTITY NARRATIVES IN EASTERN AND CENTRAL EUROPE.* The Centre for European Studies at Lund University. 2015.

[42] Said Edward W. *Representing the Colonized: Anthropology's Interlocutors Critical Inquiry*, Vol. 15, No. 3 The University of Chicago Press. 1989.

[43] ავტორის ინტერვიუ გ. თევზაძესთან (24.04.2015).

2. ინსტრუმენტალური თეორიები (Instrumentalist Theories);
3. მოდერნიზაციის თეორიები (Modernization Theories);
4. ევოლუციური თეორიები (Evolutionary Theories);

ზემოთ აღწერილი თეორიები, ბუნებრივია, საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუმცა შემდეგ თავში განიხილება ერნესტ გელნერის ნაციონალიზმის თეორია, რომელიც წარმოადგენს ნაშრომის ძირითად თეორიულ დაშვებას.

თავი 5

5.1 ნაციონალიზმი ერნესტ გელნერის თეორიის მიხედვით

ნაციონალიზმის კვლევის თვალსაზრისით ფასდაუდებელი შრომა აქვს გაწეული ერნეტს გელნერს. მისი მიმდევრებისა თუ კრიტიკოსების შეფასებით, იგი XX საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი და დიდი მოაზროვნეა, რომლის შრომამ ,,**ერები და ნაციონალიზმი**" არაერთ კითხვას გასცა პასუხი და საფუძველი ჩაუყარა ახალ კვლევებს.

გელნერი ნაციონალიზმის განმარტებისას გვთავაზობს შემდეგ საკითხებს:

- მისი შეფასებით, ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის პოლიტიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური და ეროვნული ერთობა ურთიერთთანხვედრილი უნდა იყოს.[44]

---

[44] გელნერი ერნესტ. *ერები და ნაციონალიზმი.* თბილისი. გამომცემლობა «ნეკერი», 2003. გვ.3.

- ზემოხსენებული პრინციპით ნაციონალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც განწყობა. ანუ ,,ნაციონალისტური განწყობა არის ან ამ პრინციპის დარღვევით გამოწვეული ბრაზის, ან ამ პრინციპის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი კმაყოფილების გრძნობა. ნაციონალისტური მოძრაობა კი არის ის, რასაც განწყობის ეს ტიპი ბადებს''.[45]

- გლენერი ნაციონალიზმს, როგორც თეორიას, შემდეგნაირად განმარტავს: ,,იგი არის პოლიტიკური ლეგიტიმურობის თეორია, რომელიც მოითხოვს, რომ ეთნიკური საზღვრები პოლიტიკურს არ კვეთდნენ, თანაც ხაზს უსვამს იმას, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ეთნიკური საზღვრები (შემთხვევა, რომელიც ნაციონალიზმის პრინციპის ზოგადი ფორმულირებით უკვე თავისთავად გამორიცხულია) ძალაუფლების მფლობელებს დანარჩენებისგან არ უნდა გამოყოფდეს''.[46]
- გელნერის თეორიაში ასევე იკითხება ნაციონალიზმისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება – მიკერძოებულობა, ანუ საკუთარი თავისთვის ყველაფერში გამონაკლისის დაშვებისადმი მიდრეკილება. გელნერის შეფასებით, ეს უკანასკნელი ,,ძირითადი ადამიანური/საზოგადოებრივი სისუსტეა, რომლიდანაც ბევრი სხვა სისუსტეც გამომდინარეობს[47]. ეს სისუსტე ისევე იჭრება ნაციონალისტურ გრძნობაში, როგორც სხვებში და აღვივებს მას. გელნერის შეფასებით, ნაციონალისტები მათი ერების მიერ ჩადენილ არასწორ ქმედებებს ისევე ნათლად რომ აღიქვამდნენ, როგორც საკუთარი ერის მიმართ ჩადენილ ბოროტებებს, შესაძლებელია, ნაციონალისტური განწყობის პოლიტიკური ეფექტურობაც შესუსტებულიყო''.

აქვე უნდა აღინიშნოს გელნერის 1964 წელს გამოცემული ნაშრომში, რომელშიც მან წამოჭრა შემდეგი თეზისი: საზოგადოებრივი წესრიგი მხოლოდ მაშინ ითვლება ლეგიტიმურად, როდესაც ის პასუხობს ნაციონალიზმისა და დოვლათის

---

[45] Ibid;

[46] Ibid;

[47] საინტერესოა, რომ გელნერი საკუთარ ნაშრომში ,,ერები და ნაციონალიზმი'' მოსაზრებას მიკერძოებულობის, ანუ საკუთარი თავისთვის ყველაფერში გამონაკლისის დაშვებისადმი მიდრეკილების, შესახებ იღებს (რასაც თავადაც აღნიშნავს) ე.კანტის ნაშრომებიდან.

მოთხოვნებს. ,,ნაციონალიზმი უპირველესად პოლიტიკური პრინციპია, რომელიც პოლიტიკური და ეროვნული ერთეულების თანხმობასა და ჰარმონიაზე დგას. გელნერის აზრით, ნაციონალიზმმა სოციოლოგიურად განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვეობაში შეიძინა. ადრეულ პერიოდში მმართველებს არ ამოძრავებდათ მართულთა კულტურული ერთგვაროვნების თავს მოხვევის სურვილი. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში სამუშაო მექანიკური გახდა. იმისათვის რომ მართო მანქანა, საჭიროა, ისწავლო მისი მართვა. არსებობს არაპიროვნული, კონტექსტისგან თავისუფალი კომუნიკაციისა და კულტურული სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხის მოთხოვნილება. მეტიც, ინდუსტრიულ საზოგადოებას ამყარებს ის გარემოება, რომ საჭიროა მუდმივი ზრდა – დასაქმების ტიპები იცვლება და საჭიროა ახალი უნარების ათვისება. ზოგადი დასაქმების ტრენინგები წინ უსწრებს დასაქმების სპეციალიზებულ ტრენინგებს. ტერიტორიულ დონეზე კონკურენცია ჩნდება მიმდებარე აუზის ქვეყნების ასათვისებლად. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს რესურსების ფლობა და პროგრესი, სახელმწიფო და კულტურა უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. შესაბამისად, ნაციონალიზმი აუცილებლობაა''[48].

გელნერის ნაშრომში ,,ერები და ნაციონალიზმი'' ვკითხულობთ იმ თეორიულ დაშვებებს, რომლითაც შესაძლებელია აიხსნას ჩეჩნური ნაციონალიზმის ზოგიერთი გამოვლინება, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ საკითხს. საუბარია სამ ძირითად დაშვებაზე:

1. გელნერის თეორიის მიხედვით, დიდ იმპერიებში ,,ნაციონალიზმი წარმოიშობა პერიფერიაში, როგორც რეაქცია სახელმწიფო ნარატივზე. მისი გავლენით ნაციონალიზმი წარმოიშობა-ხოლმე ცენტრში, რასაც შემდგომში მოსდევს ძალაუფლების მატარებელი ცენტრის რეაქცია პერიფერიაში ნაციონალისტური განწყობების ლოკალიზების მიზნით'';

[48] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილება. ერნესტ გელნერი.

2. ,,ნაციონალისტური განწყობა, როგორც წესი, არ წარმოიშობა მაშინ, როდესაც სახელმწიფო საერთოდ არ არსებობს, ან, როდესაც მისი რეალობა ეჭვქვეშ დგას. ნაციონალისტური განწყობა, ჩვეულებრივ, მაშინ წარმოიშობა, როდესაც სახელმწიფო, ზედმეტად თვალშისაცემად არის წარმოდგენილი. ამასთანავე, უკმაყოფილებას სწორედ მისი საზღვრები და/ან ძალაუფლების განაწილება, ან სხვა შესაძლო გარემოებები იწვევდა''.

ცალკე უნდა შევეხოთ გელნერისეულ დაშვებას **უნივერსალური მაღალი კულტურის ხანის** შესახებ, სადაც ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:[49]

3. გელნერის მიხედვით ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლებია:

- წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება;
- ზოგადი ცოდნის მაღალი დონე;
- ,,საზოგადოების წევრების მიმართ არსებული მოთხოვნები. ანუ მათ მობილობა მოეთხოვებათ, ისინი მუდამ მზად უნდა იყვნენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად. ისინი საერთო/ზოგადი ელემენტარულ განათლებას უნდა ფლობდნენ, რომელიც მათ ახალი მოვალეობების შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების დაუფლების საშუალებას მისცემს. მუშაობისას მათ ბევრ უცნობ ადამიანთან კონტაქტის დამყარების უნარი მოეთხოვებათ. ეს კონტაქტები უნდა იყოს ზუსტი და არა კონტექსტზე დამყარებული. ამასთანავე, მათ უნდა შეძლონ არაპერსონალური, კონტექსტისაგან თავისუფალი წერილობითი გზავნილებით ურთიერთობა. შესაბამისად, ეს კომუნიკაციები ზოგადი, სტანდარტული ენობრივი საშუალებით უნდა სრულდებოდეს.
- სოციალური მიღწევების გარანტია – საგანმანათლებლო სისტემა – ფართოვდება და აუცილებელი ხდება, მაგრამ ამავე დროს ის «დაწერილი სიტყვის» ერთადერთ მონოპოლისტად აღარ გვევლინება. ამ სისტემის წევრები საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები არიან და პიროვნებათა ურთიერთჩანაცვლების მექანიზი

[49] გელნერი ერნესტ. *ერები და ნაციონალიზმი.* თბილისი. გამომცემლობა «ნეკერი», 2003. გვ.32-39.

საგანმანათლებლო სისტემასაც ისევე, შესაძლებელია უფრო მეტადაც, ეხება, როგორც საზოგადოების სხვა ნებისმიერ სეგმენტს. შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე დიდი მეცნიერის ან ცნობილი პედაგოგის შეცვლა გახდეს რთული, დანარჩენ შემთხვევაში კი ნებისმიერი საშუალო დონის პროფესორისა თუ სკოლის მასწავლებლის სხვა ნებისმიერით ჩანაცვლება ადვილადაა შესაძლებელი''.

გელნერის შეფასებით, დღეს ,,ადამიანთა უმრავლესობის შემოსავალი, სტატუსი, უშიშროება და თავმოყვარეობა მათსავე განათლებაზეა დამოკიდებული. იმ კულტურის საზღვრები, რომელშიც მათ განათლება მიიღეს, იმ სამყაროს საზღვრებს ემთხვევა, რომელშიც მათ საკუთარი თავის პროფესიული თუ მორალური თვალსაზრისით დაკმაყოფილება შეუძლია. ადამიანისთვის განათლება ყველაზე ძვირფასი ინვესტიციაა და იგი მას საბოლოოდ საკუთარ იდენტობას ანიჭებს. ამის შესახებ რა აზრიც არ უნდა ჰქონდეს თანამედროვე ადამიანს, იგი არის არა მეფის, მიწისა თუ რწმენის ერთგული, არამედ – კულტურის[50].

მხოლოდ ის ფაქტიც კი, რომ ინდუსტრიულ ადამიანს სკოლა, და არა ხალხური გზით გადაცემული კულტურა, ანიჭებს საზოგადოებისთვის აუცილებელი პიროვნების სტატუსს და აქედან გამომდინარე, საკუთარი თავის პატივისცემის უნარს, ეს ნიშნავს, რომ სკოლას სხვა ვერაფერი შესცვლის. დღესდღეობით თანამედროვე საზოგადოებაში ჯერ კიდევ ენიჭება მნიშვნელობა წარმომავლობას, სიმდიდრესა და გარკვეულ კავშირებს. ამასთანავე ასეთი მდგომარეობა მათი მფლობელებისათვის სიამაყის წყაროა, თუმცა ასეთი გზით მოპოვებულ პრივილეგიებს დღეს აფიშირებას აღარავინ უკეთებს და თანაც მისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პრივილეგიები და უსაქმურობა დღეს უფრო შენიღბულია და მათი აღმოჩენა მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვინც შეფარული უთანასწორობების აღმოჩენას სპეციალურ მიზნად დაისახავს[51].

---

[50] Ibid.

[51] Ibid.

წარსულში იმ დროის არისტოკრატული პრივილეგია საამაყოც კი იყო, მსგავსად იმ დროს შემორჩენილი აგრარული საზოგადოებისა ან საზოგადოებებისა, რომლებიც პრეინდუსტრიული ცხოვრების წესის შენარჩუნებას უწყობდნენ ხელს. საინტერესოა, რომ თვალშისაცემი ფლანგვის იდეა შრომისადმი განწყობილი საზოგადოების შრომაზე ორიენტირებული წევრის მიერ იქნა შემოტანილი: ტორსთენ ვებლენი უარყოფდა იმას, რასაც იგი პრეინდუსტრიული, ველური ხანის გადმონაშთად აღიქვამდა. ინდუსტრიული საზოგადოების ეგალიტარული, მუშაობასა და კარიერაზე ორიენტირებული ზედაპირი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი არაეგალიტარული, დაფარული სიღრმეები. მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრების დიდი ნაწილი მაინც ზედაპირზე მიედინება, მაშინაც კი, თუ საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხანდახან სიღრმისეულ დონეებზე მიიღება.

ეგზოსოციალიზაცია, ანუ განათლება, დღეს უნივერსალური სოციალური ნორმაა. ადამიანი დღეს ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იძენს, რომელიც მას საზოგადოებაში ადგილის დაკავების საშუალებას აძლევს, და რომელიც მას იმად ხდის, «რაც ის არის». ნათესაურმა ჯგუფმა (დღევანდელი გაგებით, ვიწრო ოჯახურმა წრემ) ეს ყოველივე საგანმანათლებლო მექანიზმს გადააბარა, ერთადერთ რამეს, რომელსაც ზოგადი კულტურული საფუძვლისათვის შესაბამის წვრთნაგავლილთა ფართო ჯაჭვის შექმნა შეუძლია. ეს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა დიდი, შეუცვლელი და ძვირია. როგორც ჩანს, მისი საარსებო საშუალების ფინანსირება საზოგადოებაში არსებულ უდიდეს და უმდიდრეს ორგანიზაციებსაც, ინდუსტრიულ კორპორაციებსაც კი არ შეუძლიათ. ასეთი ორგანიზაციები ხშირად უზრუნველყოფენ მათთან მომუშავეებს საცხოვრებელი პირობებით, სპორტული თუ გასართობი კლუბებით, მაგრამ (თუ რაიმე მარგინალურ სპეციფიკურ შემთხვევას არ გავითვალისწინებთ) სკოლით – თითქმის არასდროს. მსგავსი ორგანიზაციების პერსონალი მუშაობს და თავისუფალ დროსაც თავის ორგანიზაციაში ატარებს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მათი შვილები მაინც სახელმწიფო ან არასახელმწიფო

სკოლებში დადიან[52].

ასე რომ, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო სტრუქტურა მეტისმეტად დიდი და ძვირადღირებულია ყველა ორგანიზაციისთვის, გარდა ერთი ყველაზე დიდი ორგანიზაციისა, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია. მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია იტვირთოს ეს და მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება აკონტროლოს ეს უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტი. კულტურა უკვე აღარ არის სამკაული, სოციალური წესრიგის დაკანონება და დადასტურება, რომელიც უფრო უხეშ იძულებებსა და ვალდებულებებზეა აგებული. კულტურა ახლა საყოველთაოდ აუცილებელი საშუალებაა, მსგავსად საარტერიო სისხლისა ან თუნდაც ჰაერისა, რომლითაც მხოლოდ ამ საზოგადოების წევრებს შეუძლიათ სუნთქვა, გადარჩენა და გამრავლება. მოცემული საზოგადოებისათვის არსებობს ერთი სივრცე, სადაც ყველას შეუძლია სუნთქვა, ლაპარაკი და წარმოება. ეს საერთო კულტურა უნდა იყოს. უფრო მეტიც, ის ახლა დიდი და მაღალი (დამწერლობითი თუ სწავლებაზე აგებული) კულტურა უნდა იყოს და იგი შერეული, ლოკალური, დამწერლობის არმქონე კულტურა თუ ტრადიცია ვეღარ იქნება[53].

მაგრამ რომელიმე ორგანიზმმა გარანტია მაინც უნდა მოგვცეს, რომ ეს დამწერლობითი და ერთიანი კულტურა მართლაც ეფექტურია და რომ მისი საგანმანათლებლო პროდუქცია მდარე ხარისხის არ არის. ამის გაკეთება მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც საგანმანათლებლო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი ნაწილები კერძო ან რელიგიურ ორგანიზაციათა ხელშია, სახელმწიფო ამ ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ინდუსტრიის პროდუქციის ხარისხზე – სიცოცხლისუნარიანი და გამოსადეგი ადამიანების შექმნაზე – კონტროლს მაინც ახორციელებს. იმ დროს, როდესაც ევროპული სახელმწიფოები დანაწევრებული იყვნენ და სოციალურად სუსტებად რჩებოდნენ, ჩრდილოვანმა სახელმწიფომ, ანუ ცენტრალიზებულმა ეკლესიამ განათლებაზე კონტროლის

---

52 Ibid.

53 Ibid.

დამყარება სცადა, მაგრამ მის მიერ ამ სფეროს მონოპოლიზაციის ყოველგვარი მცდელობა საბოლოოდ უშედეგო აღმოჩნდა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკლესია ინკლუზიური, მაღალი კულტურის შესაბამისი ახალი ნაციონალისტური სახელმწიფოს ინტერესებისათვის ირიბად იბრძოდა.

არსებობდა დრო, როდესაც განათლება ძალიან მცირე ინდუსტრია იყო და ადამიანს სოფელი ან კლანი ქმნიდა. ის დრო უკვე წავიდა, წავიდა სამუდამოდ (დღეს განათლებაში მცირე სტრუქტურა შეიძლება მიმზიდველი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეფარულად დიდზეა დამოკიდებული და პარაზიტულად მასზე ცხოვრობს). ეგზოსოციალიზაცია, ლოკალური, ინტიმური ერთეულების გარეთ ადამიანის წარმოება და კვლავწარმოება ახლა უკვე ნორმაა და ეს ასეც უნდა იყოს. ეგზოსოციალიზაციის აუცილებლობა მთავარი პუნქტია იმ საკითხის გარკვევაში, თუ რატომ უნდა იყოს სახელმწიფო და კულტურა აგრერიგად დაკავშირებული, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მათი კავშირები სუსტი, შემთხვევითი, ცვალებადი და ხშირად მინიმალურიც კი იყო. დღეს ეს კავშირი გარდაუვალია. ეს ნაციონალიზმის მახასიათებელია. ჩვენ სწორედ ამიტომ ვცხოვრობთ ნაციონალიზმის ხანაში''[54].

[54] Ibid.

5.2 გელნერის თეორიის კრიტიკა

ერნესტ გელნერის ნაციონალიზმის თეორია სამეცნიერო წრეების მიერ გაკრიტიკებულია სხვადასხვა ფაქტორების გამო, თუმცა ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე. თავდაპირველად, მაგალითად მოვიყვანოთ ჯ.ჰოლის ნაშრომი (1998) ,,სახელმწიფო და ერი'', სადაც იგი აღნიშნავს, რომ გელნერის ნაციონალიზმის თეორიის ძირითადი კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ავტორი ცდილობს დააკავშიროს მომიჯნავე საკითხები, ნაციონალიზმი და ინდუსტრიალიზაცია სპეციალური რგოლების საშუალებით მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ფენომენი ხშირად ერთმანეთთან ახლოს არ დგას. სრულიად შესაძლებელია დავუშვათ ინდუსტრიალიზაცია ნაციონალიზმის გარეშე (მაგალითად პროტო-ინდუსტრიალიზაცია აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ რეგიონში) ან ნაციონალიზმი ინდუსტრიალიზაციის გარეშე (მაგალითად ბალკანელების ნაციონალური მოძრაობები). თუმცა თავისავე კრიტიკის პასუხი (რომელიც მას არ აკმაყოფილებს)

იკითხება გელნერის თეორიაში. ეს უკანასკნელი კი შემდგენაირად გამოიყურება:

- ინდუსტრიალიზაციაში გელნერი მოიაზრებს ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს საზოგადოების კომერციალიზაციის ადრეულ ხანას;

- ამასთან თეორია ფოკუსირებულია ნაციონალიზმი ახსნას მისი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის უფრო პირველ ეტაპზე, ვიდრე გვიან პერიოდზე (მისი ფართოდ გავრცელება სხვადასხვა ადგილებში). ავტორი ასევე არ იზიარებს გელნერის შეფასებას, რომ ნაციონალიზმის ფესვები მოდის ინდუსტრიული დასავლეთიდან, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი არაინდუსტრიულ ნაწილების მიტმასნება საკითხისადმი თეორიას რაიმე ტიპის პრობლემებს ვერ უქმნის, რადგან თვლის, რომ თეორია უნდა აკმაყოფილებდეს და განაზოგადებდეს გაცილებით დიდ სპექტრს ვიდრე ეს არის ინდუსტრიული დასავლეთი[55].

- პოლიტიკური მეცნიერების ამერიკელი პროფესორი ვოლკერ კონორის შეფასებით, გელნერის ნაშრომში არ არის საუბარი იმ განცდის შესახებ, რასაც წარმოშობს ნაციონალიზმი. კერძოდ, არ არის აღწერილ/შეფასებული რატომ იბრძვის და კვდება/სწირავს თავს ადამიანი თავის სამშობლოსთვის/სახელმწიფოსთვის. ვოლკერის აზრით, ეს უკანასკნელი საკმაოდ მგრძნობიარე საკითხია ნებისმიერი ტიპის ნაციონალიზმისთვის[56].
- პოლიტიკური მეცნიერების კიდევ ერთი პროფესორი კენეტ მინოგის(1923-1930) აზრით, გელნერმა ნაციონალიზმი ფაქტიურად ტექნოლოგიურ დეტერმინიზმს შეადარა, რაც არასწორია. იგი ასევე აკრიტიკებს იმის გამო, რომ გელნერი იგნორს უკეთებს ნაციონალიზმის შესახებ საზოგადოების წევრების ინდივიდუალურ შეხედულებებს. აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიურ დეტერმინიზმს იგი იყენებს მედია–საზოგადოების თეორიის კონტექსტში. მედია-საზოგადოება ყოველდღიურად განვითარებადი პროცესია, ხოლო თეორიის ეს ტიპი ეძიებს, ავლენს და იკვლევს ურთიერთკავშირებს ეპოქის დომინანტურ საკომუნიკაციო

---

[55] Hall A. John. *The State of the Nation Ernest Gellner and the Theory of Nationalism*. Cambridge University Press.1998.

[56] Connor Walker. *Ethnonationalism: The Quest for Understanding*. Princeton University Press. 1994.

ტექნოლოგიებსა და საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს შორის[57].

- ოქსფორდის საჯარო პოლიტიკის ინსტიტუტის (IPPR) მკვლევარ დამიან ტამბინის შეფასებით, გელნერი ნაციონალიზმის ფენომენს ხსნის, როგორც ისტორიული პროცესების შედეგს, ანუ როგორც ინდუსტრიალიზაციის ეპოქის მონაპოვარს, ხოლო მისი აზრით ნაციონალიზმის გარეშე თავად ინდუსტრიული საზოგადოების გაჩენა/განვითარება დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან არ ეყოლებოდა მამოძრავებელი ძალა, რომელიც მთელი რიგი პროცესების პედალირებას მოახდენდა[58].
- ბრიტანელი ეთნოგრაფი და ნაციონალიზმის ერთ-ერთი გავლენიანი თეორიის ფუძემდებელი, პროფესორი ენტონი სმითი გელნერს ზედმეტი სუბიექტურობის გამო აკრიტიკებს, რადგან იგი ნაციონალიზმისა და ინდუსტრიალიზაციას შორის არსებულ კავშირებსა და ურთიერთქმედებებს არასწორად ხედავს. მაგალითად გელნერის აზრით ნაციონალიზმი არ ყოფილა პრეინდუსტრიულ პერიოდში და მისი აღორძინება მოხდა მხოლოდ ინდუსტრიალიზაციას პერიოდში, რაც მიუღებელია სმითისთვის[59].
- პროფესორ დანიელ კონვერსის აზრით, გელნერი ცდება, როდესაც მხედველობაში იღებს ომის როლს ნაციონალიზმის ჩამოყალიბების საკითხში არ ითვალისწინებს რა მილიტარიზმისა და იძულებითი აღზრდის განსაკუთრებულ ურთიერთობებს.[60]
- უკვე ხსენებული მეცნიერების, კენეტ მინოგისა და ენტონი სმითის შეფასებით გელნერი ასევე ცდება, როდესაც აკნინებს უძველეს რომსა და საბერძნეთში არსებულ ნაციონალურ მოძრაობებს იმ დროს როდესაც ცალსახად ამტკიცებს, რომ

---

57 Minogue, Kenneth. *Gellner's Theory of Nationalism: A Critical Assessment.*Transaction Publishers. pp.107–109

58 Tambini Damian. *Explaining monoculturalism: Beyond Gellner's theory of nationalism Critical Review.* pp. 251–270. 1996.

59 Smith, Anthony D. *Nationalism and Modernism: A Critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism*. Routledge. 1998.

60 Conversi Daniele. *"Homogenisation, nationalism and war: Should we still read Ernest Gellner?".* Volume 13, Issue 3 p.p371–394. 2007

ნაციონალიზმი მხოლოდდამხოლოდ დაკავშირებულია თანამედროვეობასთან და არ შეიძლება არსებობდეს აშკარად გამოხატულ ინდუსტრიალიზაციის გარეშე. მათი აზრით ნაციონალური განწყობები უძველეს პერიოდშიც არსებობდა და ეს ისტორიული რეალობაა.

5.3 ზოგი რამ ერნესტ გელნერის შესახებ

ერნესტ გელნერი – მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნე, ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტის (კენტის, ლონდონის, კემბრიჯის, პარიზის, ბუდაბეშტის, ჯ. სოროსის ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი) პროფესორი, სოციალური ანთროპოლოგიისა და ფილოსოფიის დოქტორი[61].

ერნესტ გელნერი (1925, პარიზი – 1995, პრაღა). მისი შრომები მოიცავდა ფართო სპექტრს საბჭოთა მარქსისტული ანთროპოლოგიის ნაშრომების ექსპოზციიდან დასავლური სოციოლოგიის ვებერისა და დურკჰემისეულ დახვეწილ სინთეზამდე, „კაცობრიობის ისტორიის სტრუქტურის“ ღრმა გადამუშავებიდან ეთნიკურობისა და

[61] A Gellner Biography. http://gellnerpage.tripod.com/Bio.html#TOP (7.12.2014).

ნაციონალიზმის ახლადჩამოყალიბებულ ანალიზამდე. გელნერისათვის დამხასიათებელია თეორიზაცია და სისტემატიზაცია. მუხედავად იმისა, რომ მას ევროცენტრისტად მიიჩნევენ, ის პატივს სცემდა და სიმპატიით იყო განწყობილი სხვადასხვა კულტურის მიმართ. იგი აშკარად და დაუფარავად გამოხატავდა ინტელექტუალური წრეების მიერ კულტურული იდენტობების სიყალბის დემონსტრირების მიმართ მწვავე კრიტიკას[62].

ერნესტ გელნერმა მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა სამოქალაქო საზოგადოების რაობის კვლევას[63]. მისი შეფასებით, სამოქალაქო საზოგადოება ძლიერი არასამთავრობო ინსტიტუტების ერთიანობაა, რომელსაც შესწევს უნარი იყოს სახელმწიფოს საპირწონე და ამასთანავე, ხელი არ შეუშალოს მას შეასრულოს მშვიდობისმყოფელის როლი. უნდა შეიზღუდოს სამოქალაქო საზოგადოების სეგმენტირება. ცენტრის ტირანიისგან თავის დაღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საზოგადოება ადამიანებს დაეხმარება, შეიმეცნონ სოციალური არსებობის ნორმები, სოციალური ცხოვრების ორგანიზების ფორმათა არსი. გელნერის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოებას ახასიათებს ატომიზაციის (მარქსისტული ტერმინით – გაუცხოების) დაძლევის ახალი მეთოდი. საზოგადოების ატომიზაცია ძლიერდება და ვითარდება პატრიარქალური ტიპის ტრადიციების რღვევით, რაც ადრეული კაპიტალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, საზოგადოებრივი ქმედებების რიტუალიზაციაში გამოიხატება. გელნერი აცხადებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება „ნამდვილი“ ატომიზაციის დაძლევის საშუალებაა[64].

გელნერის მოსაზრებით, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებას ახასიათებს მინიმუმ სამღერძიანი სტრატიფიკაცია: ეკონომიკური, პოლიტიკური და

---

[62] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილება. ერნესტ გელნერი.

[63] Ibid.

[64] Ibid.

კულტურული (სოციალური). მტკიცდება კლასიკური ტრიადა: ტრანსნაციონალური კაპიტალიზმის ეკონომიკა, ნეოლიბერალიზმის პოსტმოდერნული იდეოლოგია და დემოკრატიის არჩევითი სისტემა. არისტოტელეს, ლოკისა და ჰეგელის კვალდაკვალ კერძო საკუთრება სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლად არის აღიარებული[65].

სამოქალაქო საზოგადოების ცნების საკვანძო მომენტია მოდულური ადამიანი, რომელიც ადვილად ერთვება მუდმივმოქმედ ინსტიტუტებსა და ასოციაციებში, შედის დროებით კავშირებში და სურვილის შემთხვევაში ტოვებს მათ. გელნერი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსი ეფექტური და მოქნილი კავშირების ფორმირებაში მდგომარეობს. გელნერის მოდულური ადამიანი პასუხობს „ახალი ადამიანის“ იდეას, რომელიც ფრანგმა განმანათლებლებმა შემოიღეს. მოდულობაში იგულისხმება სოციალური მობილობის მოთხოვნა და საზოგადოებრივი კავშირების სრულყოფა. მოდულურის ანტონიმია – ტრადიციული, ცალსახა. მოდულური ადამიანის გაჩენას ხელი შეუწყოო ინფორმაციის გავრცელებამ. გარდა ტრადიციულობისა, მოდულური ადამიანი გამოხატავს უკმაყოფილებას იმ ცვლილებების მიმართ, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას. მოდულური ადამიანი ინდივიდუალისტია და ამავე დროს შეუძლია გაერთიანდეს კავშირებში და გამოვიდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ[66].

ერნესტ გელნერის მნიშვნელოვან ნაშრომებს განეკუთვნება: ,,სიტყვები და საგნები'', 1962 წ.; ,,ერები და ნაციონალიზმი'', 1991 წ.; ,,ნაციონალიზმის შემოსვლა: ნაციებისა და კლასების მითები'', 2002 წ.; ,,თავისუფლების პირობები'', 2004 წ.; ,,სამოქალაქო საზოგადოება და მისი ისტორიული კონკურენტები''[67].

---

[65] Ibid.
[66] Ibid.
[67] The Ernest Gellner. http://www.lse.ac.uk/researchAndExpertise/units/gellner/ (7.12.2014).

მეთოდოლოგია

ნაშრომის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მაქსიმალურად ზუსტი პასუხი გასცეს კითხვას: რა სახით ვლინდებოდა თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმი ბოლო წლების განმავლობაში. საუბარია 90-იან წლებიდან თანამედროვეობამდე პერიოდზე. როგორც ზემოხსენებული კითხვა ცხადყოფს ნაშრომს აქვს პრეტენზია, გამოიკვლიოს ჩეჩნების, ნაციონალისტური გამოვლინებები. ამავდროულად, ზემოხსენებულის ახნას შევეცადეთ ერნესტ გელნერის თეორიული დაშვებებით (რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ).

ნაშრომი მეთოდოლოგიური კუთხით თვისებრივი კვლევების კატეგორიაში მოიაზრება და მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევების შესწავლას (Case-study) იყენებს.

ნამუშევრის თეორიული დაშვებების გადამოწმება ხორციელდება ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებებზე დაკვირვების საფუძველზე, რომელიც მოიცავს დაახლოებით 25 წლის პერიოდს (90-იანი წლებიდან დღევანდელობამდე). შესაბამისად დეტალურად არის განხილული სამი ძირითადი ქეისი (ეთნიკური სეპარატიზმი, ამ უკანასკნელის ტრანსფორმაცია რელიგიურ იდენტობაში (რელიგიურ სეცესიაში) და უახლესი პერიოდი (რამზან კადიროვის პოლიტიკა)). თუმცა სამივე მათგანი ასევე შეიცავს კვლევისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, რაც დამატებით ქეისებად არის განხილული.
ნაშრომში მოცემულ პიპოთეზაში იკითხება დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები. კერძოდ ფედერალური ცენტრის მიერ პერიფერიული ნაციონალიზმის სამხედრო ძალით დათრგუნვა დივიდენდების გაცემის გარეშე – წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს, ხოლო ზემოხსენებულის შედეგი ანუ მისი გაძლიერება და გამოვლენა არანაკლებ აგრესიული ფორმით (ეთნიკური სეპარატიზმის ტრანსფორმაცია რელიგიური ნიშნით სეცესიაში) – წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს. ანუ **მოსკოვის პოლიტიკა ჩეჩნეთში არის დამოუკიდებელი ცვლადი,** ხოლო **ჩეჩნური რეაქცია, გამოხატული სხვადასხვა ფორმით, არის დამოკიდებული ცვლადი**.

ზემოაღნიშნულთან ერთად კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის შემდეგი მეთოდები:
1)**კონტენტ ანალიზი** – საინფორმაციო გადაცემების, საგაზეთო ღია წყაროებში გავრცელებული სიახლეების, საჯარო გამოსვლების, პირადი დოკუმენტების, ინტერვიუებისა და ინფორმაციის ავტორის პოზიციის შინაარსი/ანალიზი.

2)ჩაღრმავებული ინტერვიუები – შესაბამისი დარგის პროფესურასა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან ინტერვიუების წარმოება.

3)პირველადი წყაროების ანალიზი – საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, საქართველოს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ურთიერთობების სტრატეგიის, ჩრდილოეთ კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2010-2025 წლების სტრატეგიის კონტენტ ანალიზი,

4) **სხვადასხვა წყაროების ანალიზი** – ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია რეგიონის როგორც ზოგად, ასევე სპეციფიკური საკითხების კვლევებთან. მაგალითად ანალიტიკური ნაშრომები, ოფიციალური დოკუმენტები და ა.შ. საუბარია როგორც თეორიული სახის ლიტერატურაზე, ასევე პრაქტიკული მაგალითების შესახებ ჩატარებულ კვლევებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი იქნებოდა კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებულ ყოფილიყო field research (ადგილზე/ კვლევა), მაგრამ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ჩეჩნეთში ვიზიტი ვერ განხორციელდა. თუმცა ინტერვიუს სახით, გამოკითხულ იქნა საქართველოში დროებით მყოფი ჩრდილოკავკასიელები, მათ შორის ჩეჩნები, ჩერქეზები და ინგუშები.

შედეგები

თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებები

თავი 1

ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა (ზოგადი მიმოხილვა[68])

[68] იხ.დანართი 1;

ჩრდილოეთ კავკასია ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის მიხედვით საკმაოდ ჭრელია. ეთნიკური კუთხით შესაძლებელია მისი დაყოფა ორ ჯგუფად:

პირობითად პირველი ჯგუფი – აღმოსავლეთ ჩრდილოკავკასია: ვაინახები (ჩეჩნები, ინგუშები), დაღესტნელი ხალხების ნაწილი (ხუნძები, ლეზგები, დარგოელები და ლეკები) და დასავლეთ ჩრდილოკავკასია: ჩერქეზები (ყაბარდოელები, ადიღები), აფხაზები (ზოგიერთი მკვლევარი აფხაზებს ჩერქეზული ეთნოსის ერთ-ერთ შტოდ ასახელებს და არ გამოყოფს ცალკე);
მეორე ჯგუფი – თურქული (ყარაჩაელები და ბალყარელები) და ირანული წარმოშობის ხალხები (ტატები – მთის ებრაელები, ოსები)[69].

კავკასიის ხალხები შემდეგ ენობრივ ჯგუფებს განეკუთვნებიან:
კავკასიური (პალეოკავკასიური), ინდოევროპული, თურქული და სემიტური. პირველ ჯგუფში შემავალი ხალხი ამ ტერიტორიებზე ოდითგანვე ცხოვრობდნენ, ხოლო დანარჩენი სამი ჯგუფის წარმომადგენლები ისტორიული პროცესების დროს მოვიდნენ და დასახლდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში, აღნიშნულ ენათა ჯგუფის (კავკასიური) ყველაზე მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ჩეჩნები არიან, რომლებიც თავად ჩეჩნეთის მოსახლეობის აბსულუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ. ამავე ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან ჩრდილოკავკასიაში მცხოვრები აფხაზები, ინგუშები, ადიღები, ლეზგები და ზოგიერთი სხვა.[70]

რეგიონი, რელიგიური კუთხითაც, საკმაოდ ჭრელია. ცხოვრობენ თითქმის ყველა დიდი რელიგიის მიმდევრები, თუმცა მათი რაოდენობა განსხვავებულია. ძირითადად წარმოდგენილია ისლამი - სუნიტებისა და შიიტების სახით[71].

---

[69] ჩიქოვანი ნინო. *რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა სერია. გვ5. 2006.

[70] *Ibid.*

[71] სუნიტებად ითვლებიან ისინი, ვინც აღიარებს პირველი "მართლმორწმუნე" ხალიფას (აბუ

ასევე საინტერესოა რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების დაყოფა რელიგიური კუთვნილების მიხედვით. ადიღები, აბაზები, ჩერქეზები, ოსების ნაწილი, ყაბარდოელები, ყარაჩაელები, ბალყარელები, ნოღაელები და ჩრდილოკავკასიელი თურქმენები არიან სუნიზმის ხანაფიტური მიმდინარეობის წარმომადგენლები, ხოლო დაღესტნის ხალხების უმეტესობა (მათ შორის თურქულენოვანი კუმიკები), ჩეჩნები და ინგუშები – სუნიზმის შაფიიტური მიმდინარეობის წარმომადგენლები. აზერბაიჯანული წარმოშობის დაღესტნელები, ტატების ნაწილი, წახურებისა და ლეზგების ნაწილი არიან შიიტები, რომლებიც ცხოვრობენ დაღესტნის სამხრეთ ნაწილში და შეადგენენ რესპუბლიკის მოსახლეობის 4 %-ს. [72].

უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს შორის

ბაქრი (632-634), ომარი (634-644), ოსმანი (644-656), ალი (656-661)) კანონიერებას, მუჰამედის გამონათქვამების და მასთან დაკავშირებული გადმოცემების (სუნას) უტყუარობას. სუნიტური თვალსაზრისით, მუჰამედის სიკვდილის შემდეგ მუსლიმური თემის პირდაპირი"კონტაქტი" ალაჰთან შეწყდა დამისი ცხოვრება უნდა წარიმართოს ყურანისა და სუნას მითითებების საფუძველზე. მათი სწორი განმარტება კი უზრუნველყოფილია თემის ერთობლივი აზრით, რომელსაც წარმოადგენენ ყველაზე ავტორიტეტული სამართლისმცოდნე ღვთისმეტყველები. სუნიზმის თანახმად, თეორიულად პოლიტიკური და სასულიერო ძალაუფლება ეკუთვნის მუსლიმური თემის მიერ არჩეულ ადამიანს, რომელიც თავისი პირადი თვისებებითდა ცოდნით შესაფერისია იმისთვის, რომ გაატაროს ცხოვრებაში ყურანის მიწერილობები.

სუნიტებისაგან განსხვავებით, შიიტები პირველ ოთხი ხალიფადან აღიარებენ მხოლოდ ალის, ხოლო დანარჩენ სამს უზურპატორებად თვლიან. შიიტური თვალსაზრისით, თემის უზენაესი ხელისუფალი უნდა იყოს მოციქულის შთამომავალი. შიიტების შეხედულებით, პირდაპირი კონტაქტი ღმერთთან მუჰამედის შემდეგ არ შეწყვეტილა და ეს მისია დაეკისრათ მოციქულის შთამომავლებს – იმამებს. შიიტები თავდაპირველად წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თავიდანვე მხარს უჭერდა ხალიფას ტახტზე მუჰამედის ბიძაშვილისა და სიძის, ალის კანდიდატურას. სამხედრო-პოლიტიკურმა წარუმატებლობებმა, ალის მკვლელობამ, მისი ვაჟის ალ-ჰუსაინის ტრაგიკულმა დაღუპვამ (რაც შიიზმში მოწამეობრივი კულტის საფუძველი გახდა), სხვადასხვა აჯანყების მარცხმა და სხვ. ხელი შეუწყო შიიტთა წრეში რელიგიური ძიებების განვითარებას, პოლიტიკური დაჯგუფებებიდან შიიზმის რელიგიურ-პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბებას. არსებობს მრავალი შიიტური მიმდინარეობა. მათგან დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანია იმამიტების შტო, რომლებსაც ჩვეულებრივ შიიტებად მოიხსენიებენ. იმამიტები აღიარებენ თორმეტ იმამს ალის საგვარეულოდან. მათგან უკანასკნელი, მათი მრწამსით, X საუკუნეში გაუჩინარდა და ამჟამად "ფარულ" მდგომარეობაშია. ის, მესიის მსგავსად, უნდა დაბრუნდეს განკითხვის დღეს და სამართლიანობა დაამყაროს ამ ქვეყნად. ამჟამად სუნიტები შეადგენენ მსოფლიოს მუსულმანური მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს. შიიტები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ასევე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ერაყში, ქუვეითსა და ლიბანში. ზემოხსენებული შინაარსი ანალოგიურად არის გადმოცემული ქართულენოვან სამოქალაქო ლექსიკონშიც.

[72] Религии народов Северного Кавказа на современном этапе. ჩრდილოკავკასიელი ხალხების კულტურის პორტალი. http://cpnc.ru/categoryblog/346-2012-07-25-05-51-20.html (20.03.2015).

ურთიერთობები არაერთ ტრაგიკულ პერიოდს მოიცავს. ხშირი იყო (და არის) შემთხვევები, როდესაც მეზობელი ეთნოსები ერთმანეთს თავს ესხმოდნენ სხვადასხვა მიზნითა და საბაბით[73]. რფ-ს რეგიონში გააქტიურებამდე მათი ბრძოლა მომთაბარეობასთან იყო დაკავშირებული, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკური დოვლათის ხელში ჩაგდების მიზნით, ხოლო მას შემდეგ, ერთმანეთს შორის დაპირისპირება უმეტეს შემთხვევაში ინსპირირებული იყო მოსკოვის მიერ, რათა არ მომხდარიყო მათი კონსლოდირიება და ,,საერთო მტრის'' წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლა.

თავი 2

2.1 ეთნიკური სეპარატიზმი 90-იან წლებში

2.1.1. ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობები

[73] Новицкий Игорь. *Управление этнополитикой Северного Кавказа.* Краснодар. Научно-консультационный центр сознание. Здравствуйте. Стр. 9-24. 2011.

ჩეჩნეთის ისტორიული განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობა რუსეთთან გეორგაფიულმა სიახლოვემ და მის ნაწილად ქცევამ. ჩეჩნურ-რუსული ურთიერთობების საწყისად მიჩნეულია 1567 წელი, როცა მდინარე თერგზე პირველი რუსული ციხე-სიმაგრე აშენდა, რასაც 1588 წელს ერთერთი ჩეჩნური სამთავროს მიერ რუსეთის სამეფოსთან ვასალური დამოკიდებულების აქტის გაფორმება მოყვა[74]. ეს ურთიერთობები არაერთ ტრაგიკულ ეპიზოდს მოიცავს, განსაკუთრებით XX საუკუნის შუა პერიოდსა და ბოლო 25 წლის განმავლობაში, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი[75].

XVII საუკუნიდან ჩეჩნეთი თურქეთისა და ისლამური სამყაროს გავლენისა და ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა.

ამის შემდეგ დაიწყო რუსეთის ინტერესების რეალიზება ჩრდილოეთ კავკასიაში, რასაც მოჰყვა მთელი რიგი წინააღმდეგობები რეგიონის ცალკეული ხალხების მხრიდან. მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლას "საღვთო ომი" ("ჰაზავათი") ეწოდა. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ყოფილი მწყემსი უშურმა, რომელსაც ეწოდა შეიხი მანსური (არაბულად – "გამარჯვებული")[76]. კერძოდ 1785 წელს ყაბარდოსა და ჩეჩნეთში რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ დაიწყო სახალხო მოძრაობა, რომელმაც მეზობელ ოლქებშიც გადაინაცვლა და საკმაოდ დიდი მასშტაბი მიიღო. მაგრამ რელიგიურმა პირებმა (მუსლიმების ზედაფენა) ეს მოძრაობა რელიგიურ სამოსელში გაახვია და შესაბამისი დროშით წარმართა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს კავკასიის ომის ათვლა. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ XVIIIს. 90-იანი წლების დამდეგს შეძლო ამ მოძრაობის ჩახშობა. მაგრამ დაღესტნის ფეოდალების ნაწილმა მანსურს მხარის არ

---

[74] გუნიავა გოჩა. ჩვენი მეზობლები: ჩეჩნეთი. საქართველოს ექსპერტთა კლუბის ვებპორტალი. http://expertclub.ge/portal/cnid__4202/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx (10.10.2013).

[75] Mirovalev Mansur. Chechnya, Russia and 20 years of conflict. პოლიტიკური სიახლეებისა და ანალიზს მედია პორტალი ''aljazeera''. http://www.aljazeera.com/indepth/features/2014/12/chechnya-russia-20-years-conflict-2014121161310580523.html (25.12.2014)

[76] ზურაბ პაპასქირი. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტი კავკასიაში. საქართველოს ექსპერტთა კლუბის ვებპორტალი. http://expertclub.ge/portal/cnid__12208/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx (10.03.2014).

დაუჭირა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამან გააადვილა მანსურის დამარცხება ჩაჩნეთსა და ყაბარდოში. მანსურმა ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში გადაინაცვლა და იქ გააჩარა ბრძოლა. მანსურთან ბრძოლის დროს, ოსმალეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო, რუსეთის მთავრობამ ქართლ-კახეთიდან გაიყვანა დამხმარე რუსთა რაზმი, რომელიც იქ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობით იყო შეყვანილი. ამან ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობა გაართულა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი მტკიცედ იკიდებს ფეხს კავკასიაში, რომლის კოლონიურ პოლიტიკას ჩეჩნებმა განმანთავისუფლებელი მოძრაობით უპასუხეს, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჰამზატ-ბეგი, ყაზი მაგომედი და შამილი. ხოლო მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების მაკონსოლიდერებელი ფატქორი რელიგია იყო, შესაბამისად მათ ბრძოლას ნაციონალიზმის გამოვლინებებად ვერ შევაფასებთ.

რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ოსმალეთის იმპერიის პროტექტორატით ჩრდილოეთ კავკასიის საამიროების ისლამური სახელმწიფო შეიქმნა ემირ უზუნ ხაჯის მეთაურობით. ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ე.წ. საამიროები უშუალოდ შევიდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში 1990 წლის ნოემბერში ქ.გროზნოში ჩატარდა ჩეჩნეთის პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია საერთო ეროვნული კონგრესი საბჭოთა არმიის გენერლის ხელმძღვანელობით. იგი იყო პირველი ჩეჩენი გენერალი ისტორიაში, რაც გარკვეულწილად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ წინააღმდეგობის ძალებს სათავეში ე.წ. ელიტარული წრის წარმომადგენელი, ჯოხარ დუდაევი, ჩაუდგა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებით წინამორბედი მეთაურებისა, რომლებიც მოსკოვს წინააღმდეგობას არანაციონალისტური, არამედ რელიგიური და/ან სხვა მოტივებით უწევდნენ. ერთი თვის შედეგ ჯ.დუდაევი

ჩეჩნეთის პრეზიდენტი გახდა. ეროვნულმა კონგრესმა რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის - ნოხჩი-ჩო-ს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობის შემოღებით უპასუხა და იქ დამატებითი სამხედრო ძალები და საბრძოლო ტექნიკა შეიყვანა. ჩეჩნებმა ალყაში მოაქციეს რუსეთის სამხედრო ნაწილები, რომლებსაც სრული განადგურება ელოდათ. მოლაპარაკების შედეგად რუსული არმია გაყვანილ იქნა, ხოლო იარაღი, მათ შორის ტანკები და თვითმფრინავები ჩეჩნეთის შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიტოვეს[77].

1994 წლის 11 დეკემბერს ბორის ელცინის ბრძანებით რუსეთის არმიამ სამი მიმართულებით დაღესტნის, ინგუშეთის და სტავროპოლის მხრიდან შეუტია გროზნოს, რითაც ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომი დაიწყო[78].

1999 წლის აგვისტოში არაბი და ჩეჩენი საველე მეთაურების რაზმები შეიჭრნენ დაღესტანში, რაც საბაბად დაედო რუსეთის არმიის განახლებულ შეტევას ჩეჩნეთზე 1999 წლის 30 სექტემბერს (ზოგი წყარო 26 სექტემბერს თვლის ომის საწყისად). ეს თარიღი რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყისად ითვლება, რომელიც 2000 წლის მარტში გროზნოს აღებით დამთავრდა. ჩეჩნეთში შეიქმნა პრორუსული ორიენტაციის ხელისუფლება რესპუბლიკის მუფტის ახმედ კადიროვის ხელმძღვანელობით, რომელიც მანამდე წლების მანძილზე სწორედ ფედერალური ცენტრის წინააღმდეგ იბრძოდა(მან, როგორც ჩეჩნეთის მუფტმა, ორჯერ გამოუცხადა ჰაზავათი (საღვთო ომი) რუსეთს)[79].

კადიროვის მომხრე ჩინოვნიკები, ყოფილი საჯარო მოხელეებისა და ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯით ა.კადიროვმა ჩეჩენი ხალხი სრული განადგურებისგან იხსნა. 2004 წლის 9 მაისს გროზნოში სტადიონზე მეორე მსოფლიო

---

77 გუნიავა გოჩა. ჩვენი მეზობლებ: ჩეჩნეთი. საქართველოს ექსპერტთა კლუბის ვებპორტალი. http://expertclub.ge/portal/cnid__4202/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx (10.10.2013).

78 Жуков Сергей. Боевые действия в г. Грозный. ანალიტიკური ვებგვერდი "proza", http://www.proza.ru/2010/01/04/1040 (17.04.2014)

79 Westberg Anja. *Media Portrayals of the Russian-Chechen Conflict. Representations of Political Violence and Identity a Discourse Analysis* . Peace and Conflict Studies. Malmö University. 2009.

ომში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალის დროს ა.კადიროვი და მისი უახლოესი თანამებრძოლები აფეთქების გზით გაანადგურეს[80].

ამჟამად ჩეჩნეთს რამზან კადიროვი ხელმძღვანელობს. იგი 2005 წლის 17 ნოემბერს, დაინიშნა ჩეჩნეთის ვიცეპრემიერის თანამდებობაზე, მან შეცვალა პრემიერი სერგეი აბრამოვი, რომელიც ავტოავარიაში მოყვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ ახერხებდა დაკავებულ თანამდებობაზე დაბრუნებას. 2006 წლის 4 მარტს კადიროვი ხდება ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი. ეს იყო პირველი შემთხვევა, რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ, რაც პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე ეთნიკურად რუსის ნაცვლად დაინიშნა ეთნიკურად ჩეჩენი. 2007 წლის 2 მარტს კი იგი გახდა ჩეჩნეთის პრეზიდენტი, მან ალი ალხამოვი ჩაანაცვალა[81].

მკვლევარი რიჩარდ საკვა რუსულ-ჩეჩნური დაპირისპირების ისტორიის ანალიზის შედეგად კონფლიქტის მიზეზს რუსულ სახელმწიფოში ხედავს.[82] ამასთანავე, მას მაგალითად მოყავს ჰენრი ჰეილის თეორიული ნაშრომი[83], სადაც აღნიშნულია, რომ ნაციონალიზმის გამოვლინებები აგრესიული ფორმით ხშირად ნაკარნახებია (გამოწვეულია) ცენტრის მიდგომით, ანუ იქ, სადაც დომინანტი ჯგუფი (ცენტრი) ცდილობს შექმნას მრავალეთნიკური სახელმწიფო და არ ხორციელდება რომელიმე ეთნიკური ჯგუფის მიერ სხვათა აშკარა ჩაგვრა (ან ეს უკანასკნელი ნაკლებად არის გამოხატული), ნაციონალიზმი ვლინდება შედარებით უფრო ნაკლებად მტკივნეული ფორმით, ხოლო თუ დომინატი ცდილობს მისსავე ეთნიკურ წარმომავლობას ,,ემსახუროს'' სხვა დანარჩენი, ნაციონალიზმის გამოვლინება უფრო მტკივნეულია.
საკმაოდ საინტერესოა ჩეჩნეთში ეთნიკური რუსი მოსახლეობის ცხოვრების საკითხი. დანართ 4-ში ნათლად ჩანს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩეჩნეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, როდესაც ისედაც მონოეთნიკურ

---

80 Гибель Ахмата Кадырова. პოლიტიკური სიახლეების პორტალი "RIA". http://ria.ru/society/20090509/170116644.html (21.10.2014)

81 Кадыров, Рамзан. Глава Чеченской Республики. პოლიტიკური სიახლეების პორტალი http://lenta.ru/lib/14161090/full/ (21.10.2014)

82 Sakwa Richard. *Chechnya – From Past To Future.* London, Great Britan. Anthem press 2005.

83 Hale E Henry. *The parade of sovereignties Testing Theories of Secession in the soviet setting*, London. British Journal of political sciences. 2000. pp. 31-56;

რესპუბლიკაში აბსოლუტური მონოპოლია საბოლოოდ მოიპოვეს ჩეჩნებმა, ძირითადად რუსების ხარჯზე. დანართში აღწერილია 84 (1926-2010) წლის განმავლობაში მიმდინარე ტენდენციები.

2.1.2. ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომი

ჩეჩნეთ-რუსეთის 1994 ომი იყო პირველი მასშტაბური სამხედრო დაპირისპირება ჩეჩნური ეთნიკური სეპარატიზმის ისტორიაში. თუმცა აღნიშნული თარიღის ჩათვლა თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინების საწყისად სწორი არ არის.

რადგან მას უძღოდა მთელი რიგი პროცესები, დუდაევის აქტივობები და ა.შ.

თანამედროვე პერიოდის პირველი ჩეჩნურ-რუსული დაპირისპირება დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის კვალდაკვალ, როდესაც ჩეჩნური საზოგადოების ერთმა ნაწილმა (როგორც გელნერი აღნიშნავდა უნივერსალური მაღალი კულტურის დროს ჩამოყალიბებულმა ელიტამ) შედარებით თავისუფლად იგრძნო თავი და ისტორიულ შანსად მიიჩნია არსებული მდგომარეობა, რათა, ერთი მხრივ, გათავისუფლებულიყო ,,ურჯულოებისგან'' (ამ შემთხვევაში ტერმინის გამოყენება მომდინარეონს შამილის დროინდელი წინააღმდეგობრივი მოძრაობებიდან) ხოლო მეორე მხრივ მოეპოვებინა დამოუკიდებლობა[84].

დუდაევი იყო პირველი ჩეჩენი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი სამხედრო განათლება და ჩინი. მის გარემოცვას ასევე წარმოადგენდნენ უმაღლესი განათლების (ძირითადად, სამხედრო განათლების) მქონე პირები. იგი იყო ახალი ეპოქის ნაციონალისტი, რომელსაც სურდა ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. შესაბამისად, მისი ჩათვლა უნივერსალური მაღალი კულტურის ეპოქის ნაციონალისტად აბსულუტურად მართებულია, განსხვავებით შეიხ მანსურისა და შამილისა, რომელთა ბრძოლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ წარმოადგენდა, როგორც აღინიშნა, არა ეთნიკური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, არამედ იგი განპირობებული იყო რელიგიისა და მიწისადმი სიყვარულით/პატივისცემით. ამ უკანასკნელის ამოკითხვა გელნერის თეორიულ დაშვებებში სრულიად შესაძლებელია

.

1990 წელს, როდესაც გორბაჩოვსა და ელცინს შორის მიდიოდა ბრძოლა (ხელისუფლების უზურპაციის მიზნით), მოსახლეობისგან მხარდაჭერისა და საბჭოთა კავშირის მთავარი რეფორმატორის სტატუსის მოსაპოვებლად, გორბაჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა გარდაქმნილიყო საბჭოთა სუვერენული სახელმწიფოების კავშირად, რომელშიც რუსეთი და უკვე ყოფილ სსრკ-ში შემავალი

[84] ავტორის ინტერვიუ ირაკლი მენაღარიშვილთან. (10.10.2014).

სხვა სახელმწიფოები თანაბარი უფლებებით ისარგებლებდნენ. გარდა ამისა, გორბაჩოვმა, სავარაუდოდ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აპელირებით სსრკ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებს ურჩია მოკავშირე რესპუბლიკამდე თავიანთი სტატუსის ამაღლება, რათა მომავალში ისინი შესულიყვნენ შექმნილ კავშირში. ამისთვის კი ავტონომიის ლიდერებს უნდა მიეღოთ დამოუკიდებლობის დეკლარაციები ადგილობრივ დონეზე. ელცინმა გააცნობიერა, რომ მოსახლეობის გულის მოსაგებად გორბაჩოვთან „დემოკრატიობანა“ უნდა ეთამაშა და მალევე საჯაროდ განუცხადა ავტონომიურ რესპუბლიკებს, რომ იმდენი სუვერენიტეტი უნდა აეღოთ საკუთარ თავზე, რამდენიც შეეძლოთ.

ჯოხარ დუდაევის ხელმძღვანელობით 1991 წელს გროზნოში ჩამოყალიბდა ,,ჩეჩენი ხალხის საერთონაციონალური კონგრესი“, რომელმაც გამოაცხადა ჩეჩნური რესპუბლიკა იჩქერიის დამოუკიდებლობა, ადგილობრივი ხელმძღვანელები (რომლებიც მოსკოვის მიერ იყვენენ დანიშნული) კი კანონგარეშედ გამოცხადდნენ. შესაბამისად, ჩეჩნეთში იყო ორი მმართველობა: კრემლის მიერ დანიშნული უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – დოკუ ზავგაევი და დამოუკიდებელი ჩეჩნური სახელმწიფო იჩქერიის მეთაური – ჯოხარ დუდაევი. ზავგაევი, ბუნებრივია, კრემლს ემორჩილებოდა, დუდაევმა კი ელცინს გამოუცხადა სრული მხარდაჭერა. აგვისტოს პუტჩის კრახის შემდეგ დუდაევის მომხრეებმა დაიწყეს ფიზიკური ანგარიშსწორება ჩეჩნეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებზე. ოფიციალურმა მოსკოვმა ჩეჩნეთზე კონტროლი დაკარგა. 27 ოქტომბერს დაინიშნა არჩევნები, რომელშიც დუდაევს ჩეჩნეთის მოსახლეობის 90%-მა (412 671 ამომრჩეველმა მისცა ხმა დუდაევს) გამოუცხადა მხარდაჭერა. რუსეთის უზენაესმა საბჭომ არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადა[85].

7 ნოემბერს ელცინმა ჩეჩნეთ-ინგუშეთში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ ბრძანებამ იმ მარტივი მიზეზისდა გამო ვერ იმუშავა, რომ გროზნოში მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების შენობები, შსს-სა და სუკ-ის ჩათვლით

[85] Козаев Темур. ДЕСЯТЬ ДНЕИ, КОТОРЫЕ ОТМЕНИЛИ МИР. გამოძიების ფედერალური სააგენტო. http://flb.ru/info/32789.html#start (11.12.2013).

პარალიზებული იყო, აეროპორტში გადმოსხმულ 300-კაციან დესანტს კი წრე შემოარტყეს დუდაევის შეიარაღებულმა მომხრეებმა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. იმის გამო, რომ რუსეთის შინაგანი ჯარები არა ახალ, არამედ ჯერ კიდევ ძველ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, ვერ მოხერხდა გროზნოს აეროპორტში მყოფი რუსული ჯარის ნაწილებისთვის დამხმარე ძალის გაგზავნა. რამდენიმე დღეში რუსებმა გროზნოს აეროპორტი დატოვეს. ამ ფაქტმა უზომოდ გაზარდა დუდაევის ავტორიტეტი ჩეჩნეთში და კიდევ უფრო გაამძაფრა მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების გრძნობა.

ამ პერიოდში ჩეჩნეთში ფაქტობრივად სრული ქაოსი იყო. გარდა იმისა, რომ ვითარების დარეგულირება მოსკოვს არ შეეძლო, თავად გროზნოც ვერ ახერხებდა მოვლენები მისი სასურველი სცენარით (როგორც წესი ახლად შექმნილ რესპუბლიკაში წესრიგი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა) განვითარებულიყო. რესპუბლიკაში მოძრავი მატარებლის კოლონები პერმანენტულად ყაჩაღდებოდა ადგილობრივების მიერ, რამაც რუსეთს 1993-1994 წლებში სულ 22.5 მილიარდი (დაახლ. 30 მილიონი $ მაშინდელი კურსით) რუბლის ოდენობის ზარალი მიაყენა. ჩეჩნეთს 91-94 წლებში მიეწოდებოდა რუსული ნავთობი, რომელიც გროზნოს ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში მუშავდებოდა და საზღვარგარეთ იყიდებოდა, როგორც ჩეჩნური ნავთობი. [86].

რუსეთი განაგრძობდა ანტიდუდაევური ოპოზიციის დაფინანსებას და იარაღით მომარაგებას, თუმცა არც ამან გამოიღო სასურველი შედეგი, რადგან ოპოზიციონერები ვერ ახერხებდნენ დუდაევის მომხრეებზე უპირატესობის მოპოვებას. შესაბამისად მოსკოვმა 1994 წლის დეკემბერში სრულმასშტაბიანი ინტერვენცია დაიწყო[87], რომელიც 1996 წელს ხასავიურტის ხელშეკრულებით დასრულდა. შედეგად რუსული მხარე არმიის ჩეჩნეთიდან გაყვანასა და

---

[86] Ibid;

[87] Лукин Олег. Новейшая история: Российско-Чеченские войны საინფორმაციო-პუბლიკაციური პორტალი,,Мосток'',http://www.vestnikmostok.ru/index.php?categoryid=19&view=arhiv&view_num=18&id_item=106&action=view (20.02.2015).

რესპუბლიკის სტატუსზე მოლაპარაკების დაწყებას დასთანხმდა. რეალურად იგი გროზნოს დე ფაქტო დამოუკიდებლობასთან შეგუებას გულისხმობდა.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის პრევენცია შეიძლებოდა მშვიდობიანი გზით. უკიდურეს შემთხვევაში კი მაქსიმუმ ერთიანი მასიური სპეცოპერაციით (სპეცდანიშნულების რაზმითა და არა სამხედრო კონტიგენტით) შეიძლებოდა ამ ,,პრობლემის'' ლოკალიზება. მაგრამ ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსკოვი შეგნებულად არ იყენებდა კონფლიქტის მოგვარების შანსებს. და მეტიც იგი 3 წლის განმავლობაში ,,კვებავდა'' ჯოხარ დუდაევის რეჟიმს. ამ უკანასკნელს ჰქონდა საკმაოდ ახლო კავშირები 1992-1996 წლებში რუსეთის თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვთან[88]. სავარაუდოდ, ჩეჩნეთი იყო ე.წ. შავი ხვრელი რუსული ეკონომიკისთვის და მეტად მისარები „ოფშორული ზონა“ დაინტერესებული პირებისთვის (რომელთა რაოდენობა როგორც ჩეჩნურ, ასევე რუსულ მხარე საკმაოდ ბევრი იყო).

ისტორიის მეცნიერების კანდიდატი და რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დოცენტი – სერგეი მარკედონოვი თვლის, რომ 1994 წლის აპრილში ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი (თანაც რეალურად), რომ არათუ პირველი ომის სცენარი, არამედ მთელი 90-იან წლების ჩეჩნეთ-რუსეთის დრამატული ურთიერთობები თავიდან აცილებულიყო (ან მისი შედეგები შედარებით მსუბუქი ყოფილიყო), თუმცა ეს შანსი ხელიდან იქნა გაშვებული[89]. იგი გულისხმობს დუდაევისა და ელცინის მოლაპარაკებებს ე.წ. ,,თათრეთის მოდელს'', რომლის იმპლემენტაცია ჩეჩნეთში, სავარაუდოდ, შესაძლებელი იყო[90]. ს. მარკედონოვის

---

[88] Романов Александр. Последние откровения Грачева: Ельцин «всех кинул», а Белый дом «красиво горел». საინფორმაციო ვებპორტალი. http://www.km.ru/v-rossii/2012/10/16/istoriya-khkh-veka/694998-poslednie-otkroveniya-gracheva-eltsin-vsekh-kinul-bely (20.02.2015).

[89] Сергей Маркедонов. Чечня-1994: упущенный шанс на мир. პორტალი ,,Forbs'' http://www.forbes.ru/mneniya-column/siloviki/275481-chechnya-1994-upushchennyi-shans-na-mir (20.12.2014).

[90] თათრეთის მოდელი, რომელიც გაფორმდა მოსკოვსა და ყაზანს შორის 1994 წლის 15 თებერვალს, ავტონომიურ რესპუბლიკას ფედერალურ ცენტრთან ერთად აძლევდა შანს გადაეწყვიტა მთელი რიგი საკითხები(ეკონომიკური, ეკოლოგიური და. ა.შ.). გარდა ამისა, მიიღეს თამაშის წესები ნავთობის

აზრით, პიროვნული ურთიერთობები და უშუალო შეხვედრები ბევრ რამეს წყვეტდა იმდროინდელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამიტომ 1994 წელსვე აუცილებელი იყო ელცინისა და დუდაევის პირისპირ შეხვედრა ვითარების სტაბილიზების მიზნით და არა მოსკოვის მხრიდან დუდაევის ოპოზიციის მხარდაჭერა, მათ შორის ცოცხალი ძალით, და, მით უმეტეს, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის დამყარების უზრუნველყოფის შესახებ პრეზიდენტის №2137 ბრძანების გამოცემა.

2.1.3. ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომი

ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომი იყო ლოგიკური გაგრძელება პირველი ომისა ამ უკანასკნელის შედეგებიდან გამომდინარე. ომის დაწყების მიზეზი ერთადერთია, ეს

მოპოვებასთან დაკავშირებით, შეთანხმდნენ თათრეთში რეგისტრირებული მოქალაქეებისთვის თათრულ ენაზე ჩაეწერათ რესპუბლიკის სახელი, გამოჩნდებოდა ადგილობრივი გერბი, დროშა და სხვა.

იყო მოსკოვის ინეტრესი აღედგინა მისი იურისდიქცია საკუთარ ტერიტორიაზე და საბოლოოდ ჩაეხშო ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინება გამოხათული სეპარატიზმის მოთხოვნით.

ისტორიაში ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომად ცნობილი დაპირისპირება (რომელსაც ოფიციალურმა მოსკოვმა „ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული ანტიტერორისტული“ ოპერაცია უწოდა) 1999 წლის 26 (ზოგიერთ წყაროში 30 აგვისტო არის დასახელებული) აგვისტოს დაიწყო. ომის დაწყების მიზეზებად სახელდება სხვადასხვა გარემოებები, თუმცა მათი კვალიფიცირება საბაბად უფრო სწორია, ვიდრე მიზეზად. ესენია:

1) ჩეჩნური ოპოზიციის მიერ საერთაშორისო ისლამისტებთან კავშირის დამყარება და მათი ნაწილის მიერ რადიკალური ისლამის ლოზუნგებით (პროპაგანდით) ბრძოლა;
2) 1999 წელს ბუინაკსკში, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებები, რომლებიც ჩეჩენ ტერორისტებს დაბრალდა;
3) რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, პირადი ინტერესი, წინასაარჩევნოდ მოეპოვებინა რუსეთის მოსახლეობის მხარდაჭერა ჩეჩნეთში ანტიტერორისტული კამპანიის დაწყებით;
4) რუსეთის ეროვნული ინტერესი, აღედგინა ჩეჩნეთის პირველ ომში წაგების შედეგად შელახული პრესტიჟი და შეენარჩუნებინა სტატუს კვო.

თუმცა ჩამოთვლილთაგან ყველაზე აშკარა და საფუძვლიანი ბოლო მიზეზია. ამ ომის დაწყების მთავარი მიზეზი იყო რუსეთის ეროვნული ინტერესი (ასლან მასხადოვი ამ ინტერესს რუსეთის არა ეროვნულ, არამედ სპეცსამსახურების კერძო ინტერესს უწოდებს და საუბრობს მათსავე დაკვეთაზე[91]) – აღედგინა დაკარგული პრესტიჟი, რაც ძალის გამოყენებით გახადა შესაძლებელი.

---

[91] Масхадов Аслан. Причины второй Чеченской войны. პორტალი ,,იჩქერიის ხმა''(golosichkerii). http://golosichkerii.com/index.php/novosti/313-prichiny-vtoroj-chechenskoj-vojny (30.06.2014).

ჩეჩნეთის მეორე ომის კავშირი პუტინის წინასაარჩევნო პერიოდთან ლოგიკურია. მისმა შედეგებმა პუტინის კარიერაში პირველი საკმაოდ დიდი და ემოციური ტალღა გამოიწვია საზოგადოების მხრიდან, რაც ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. რადგან ეს ომი დაიწყო 1999 წლის 26 აგვისტოს, ანუ ერთი თვის შემდეგ, რაც პუტინი დაინიშნა რუსეთის პრემიერ-მინისტრად, მას ეს წარმატებული სამხედრო კამპანია სჭირდებოდა თავისი პოპულარობის გასაზრდელად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ომის და/ან მასშტაბური ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება, სავარაუდოდ, გარდაუვალი იყო, რადგან 1999წლის აგვისტოში ბასაევი და ხათაბი დაღესტანში შეიჭრნენ. ამას დაემატა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსკოვში ტერაქტის შედეგად რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსის აფეთქება, რომელიც ეთნიკურად ჩეჩნებს დაბრალდა (თუმცა იყო დაუდასტურებელი განსხვავებული მოსაზრებები). მალევე ჩეჩნების მოქმედი ლიდერი, ასლან მასხადოვი, ტერორისტად გამოაცხადდა და რუსეთის არმია ჩეჩნეთში შევიდა. ასე დაიწყო რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი, რომელიც 2000 წლის გაზაფხულზე რუსების მიერ გროზნოს აღებით დასრულდა.

რუსეთმა ეთნიკური სეპარატიზმის გამოვლინება ფედერაციაში უდიდესი სამხედრო ძალადობით ჩაახშო, რომლის დასრულებაც 2009 წელს კრემლმა (კონტრტერორისტული ოპერაციების დასრულების სახელით) გამოაცხადა[92].

ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკა დაღუპული ჯარისკაცებისა და მოსახლეობის რაოდენობის შესახებ არ შეესაბამება რეალურად არსებულ ციფრებს, რომლებიც აღემატება სტატისტიკურ მონაცემებს[93].

ჩეჩნეთის მეორე ომმა საკმაოდ სერიოზული გავლენა იქონია მეზობელ საქართველოზე. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე პანკისის ხეობამ –

---

[92] Жуков Сергей. Человеческие потери в Чеченских войнах.ანალიტიკური ვებგვერდი ''proza'', http://www.proza.ru/2013/08/29/1564 (17.04.2014)

[93] გუნიავა გოჩა. ჩვენი მეზობლებ: ჩეჩნეთი. საქართველოს ექსპერტთა კლუბის ვებპორტალი. http://expertclub.ge/portal/cnid__4202/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx (10.10.2013).

ძირითადად, ჩეჩნეთის მონათესავე ქისტებით დასახლებულმა რეგიონმა დიდი რაოდენობით ჩეჩენი ლტოლვილები (დახლოებით 700 პირი პირველი კვირეების განმავლობაში) მიღო. ტერიტორია არ ექვემდებარებოდა ეფექტურ სახელმწიფო კონტროლს. რაც ზრდიდა რეგიონში ნეგატიური ტრენდის გაჩენის ალბათობას (ეჭვები იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობაზე, ტერორისტების შეფარებაზე და ა.შ.). საქართველოს მთავრობა შიშობდა, რომ ამ რეგიონზე სახელმწიფო კონტროლის აღდგენის ნებისმიერი მცდელობა გამოიწვევდა პირდაპირ ჩათრევას ჩეჩნეთის ომში, მას კი ამის თავიდან აცილება სურდა. ამ შეზღუდვას მოყვა ბრალდებები რუსეთის მხრიდან იმის შესახებ, რომ თბილისი თავისივე სურვილით ტერორისტებს თავშესაფარს აძლევდა. საქართველოს სახელმწიფო კონტროლის არარსებობა პანკისის ხეობაზე დასავლეთის ქვეყნებში არსებულ შეშფოთებასაც აღრმავებდა[94].

რუსეთ-ჩეჩნეთს სამხედრო დაპირისპირებამ ორივე მხარეს შემდეგი შედეგები მოუტანა

- ✓ ადამიანური (სამოქალაქო, სამხედრო) დანაკარგი, რომელიც საბოლოო ჯამში 160 000 (მედიაში გავრცელებული მონაცემები) ადამიანს აღემატება[95];
- ✓ სამხედრო დანაკარგი (ცოცხალი ძალა და ტექნიკა);
- ✓ სეპარატისტული მოძრაობის კიდევ უფრო რადიკალიზაცია, რომელიც შემდგომში რელიგიური სეცესიის მოთხოვნაში გადაიზარდა;

თავი 3

ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინების (ეთნიკური სეპარატიზმი) ტრანსფორმაცია

---

[94] Ibid.

[95] Госсовет Чечни ''За две войны погибли 160 тысяч человек'', ანალიტიკური პორტალი''გრანი''. http://grani.ru/War/Chechnya/m.93441.html (10.10.2013)

დიდ რელიგიურ იდენტობაში (რელიგიური ნიშნით სეპარატიზმში)

3.1. შესავალი

მოსკოვის მიერ ჩეჩნური ეთნიკური ნაციონალიზმის დროებითი ლოკალიზების შედეგად (განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებაში არსებული ნეგატიური მუხტის/მიზნების/ამოცანების/იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა) ჩეჩნეთში (ისევე, როგორც მთელ რეგიონში) დარჩა საკმაოდ სერიოზული ე.წ. წინააღმდეგობის ძალები, რომელთა რესოციალიზაცია და/ან მასთან დაახლოებული სხვა ქმედება ფაქტობრივად უპერსპექტივო იყო. შესაბამისად, ბუნებრივია ის გარემოება, რომ წინააღმდეგობის ამ ძალებს სხვა პროცესებში ექნებოდათ გამოვლინება, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებებს, გამოხატულს სეპარატისტული მისწრაფებებით, არავითარი დივიდენდი არ მოუტანია თავად ნაციონალისტებისთვის. ფაქტობრივად მოსკოვმა არავითარი კომპრომისია არ გაუწია მათ და სამხედრო ძალით განახორციელა ,,პრობლემის'' ლოკალიზება. შესაბამისად, ე.წ. მიზნი ტრანსფორმირდა დამოუკიდებელი ჩეჩნეთიდან დამოუკიდებელ, შარიათულ კავკასიაზე.

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდობით შესაძლოა ითქვას, რომ ამ ძალის კონცენტრირება რელიგიური (რადიკალური ისლამის[96]) თემატიკის ირგვლივ აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო, რადგან პირველი ჩეჩნური ომის შემდეგ რამდენჯერმე გამოვლინდა რელიგიური იდეით ბრძოლის წამართვის სურვილი (ამას ემატებოდა ისტორიული ,,გამოცდილება'' ჯერ კიდევ შეიხ მანსურის, ან თუნდაც შამილის დროიდან). ასევე აღსანიშნავია, რომ ასლან მასხადოვს, დიდად არ სურდა შარიათული სახელმწიფოს შექმნა, თუმცა აცნობიერებდა, რომ ანგარიში უნდა გაეწია იმ საველე მეთაურებისთვის, რომლებთაც დიდი გავლენა ჰქონდათ ჩეჩნეთზე და ამასთან წარმოადგენდნენ ფაქტობრივად არაფორმალურ მმართველებს. მაგალითად შამილ ბასაევი, იანდარბიევი და სხვა. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩეჩნური

---

[96] МАЛАШЕНКО АЛЕКСЕЙ. *ИСЛАМСКИЕ ОРИЕНТИРЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА.* Москва. Московский Центр Карнеги. «Гендальф». 2001.

ეთნიკური თემატიკის ცვლილება რელიგიური თემატიკით მოსკოვიდან შეიძლება ყოფილიყო პედალირებული ლოგიკურია. რადგან სწორედ განსხვავებული იდეის მისაღწევად ბრძოლამ (რომელიც გამოიხატა არა ტერიტორიული ბრძოლებით ჩეჩნეთში, არამედ ტერორისტული აქტებით მის ფარგლებს გარეთ) ერთი მხრივ დაქსასა ჩეჩნური წინააღმდეგობის ძალები, მეორე მხრივ კი რუსეთს მისცა საშუალება საერთაშორისო არენაზე მოეხდინა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დეკლარირება. ეს უკანაკსნელი იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი, რადგან მას ბრალს სდებდნენ თვითგამორკვევის მსურველთა ძალისმიერი მეთოდებით ჩახშობაში.

2007 წელს, როდესაც შეიქმნა ტერორისტული ორგანიზაცია ,,კავკასიის საემირო'', საექსპერტო წრეებში ჩეჩნური ნაციონალიზმის (გამოხატული ეთნიკური სეცესიის მოთხოვნით) ერთი ეტაპის დასასრულად მიიჩნევენ. თუმცა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რელიგიური თემატიკის წამოწევა ჯერ კიდევ ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის დროს ხდებოდა. ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა დიდი რელიგიური იდენტობის ჩამოსაყალიბებლად არა მარტო ჩეჩნეთის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მასშტაბით. რისი პოლიტიკური შედეგიც რუსეთის ფედერაციიდან რეგიონის სეცესია და ახალი, შარიათულ პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოს შექმნა უნდა ყოფილიყო. ორგანიზაციის შექმნით, ჩრდილოეთ კავკასიაში ფაქტობრივად ,,გაფორმდა'' რელიგიური კონფლიქტი ინსტიტუციონალურ დონზე (ვირტუალური სახელმწიფო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ). ტერმინს ვიყენებთ, იმიტომ, რომ რელიგია დგას კონფლიქტის დღის წესრიგში გამოკვეთილი რელიგიური ტერმინებით, მიზნებით და ა.შ. ამასთანავე, რელიგიის მქადაგებლებს უცხო ქვეყნებში ერთმორწმუნეთა გაერთიანების მოლოდინები აქვთ, როგორც მოსკოვთან კონფლიქტზე რეაქცია[97].

[97] Svante E.Cornell, *"Peace or War? The Prospects of Conflicts in the Caucasus"*, Iranian Journal of International Affairs, vol.7, no.2, Summer 1997.

3.2.1. რადიკალური ისლამი;

ჩეჩნური (წინააღმდეგობის ძალების) აქტიობების იდეოლოგიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა ე.წ. რადიკალური ისლამის მიმდინარეობა (ნაწილობრივ ეს პროცესი 1997 წლიდან იწყება)[98], რომელიც მოსკოვში რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი სერიოზულ გამოწვევად არის მიჩნეული (ეს უკანაკსნელი არაერთხელ გაცხადებულა საექსპერტო წრეებში[99]). იგი ქმნის სახელმწიფოსთვის, არამარტო პოლიტიკურ მოვლენათა ნეგატიურ ტრენდს, არამედ წინააღმდეგობაშია რუსეთის ფედერაციის უდიდეს ნაწილში არსებულ ტრადიციულ (ყოფით) და სამართლებრივ ელემენტებთან. რადიკალური ისლამის მიმდინარეობა არ წარმოადგენს პრობლემას მხოლოდ უსაფრთხოების თვალსაზრისით, ის ქმნის სოციალურ და ჰუმანიტარულ მოვლენათა გრძელ ჯაჭვს, რომელიც ვლინდება როგორც კონკრეტული რეზონანსული ფაქტებით, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსალოდნელი და რეალურია სრულიად ახალი არა მხოლოდ ტერორისტულ-კრიმინალურ დაჯგუფების, არამედ კვაზი საზოგადოების და/ან ე.წ. ახალი, ნაკლებად კონტროლილებადი სუბკულტურის მსგავსი ელემენტის შექმნა[100], რომელშიც გადამწყვეტი როლი ეკისრებათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ. რადიკალური ისლამის მიმდევრებს. ამ უკანასკნელის განვითარება/პერსპექტივა მეტწილად დამოკიდებულია რფ-ს სახელმწიფო პოლიტიკაზე (როგორც სოციალურ, ასევე სამართლებრივ-ძალისმიერზე), ანუ რამდენად დაუშვებს მისი მეტასტაზების თავისუფალ ზრდას საზოგადოების მენტალურ და სოციალურ სიღრმეებში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადიკალური ისლამი

---

[98] Марат Эрика. Россия теряет Северный Кавказ. («Русская служба „Голоса Америки“»). საინფორმაციო ვებპორტალი ,,inosmi'', http://inosmi.ru/russia/20091217/157052196.html

[99] Никонов Вячеслав - *"Исламский вызов и Россия"*, *журнал*«Стратегия России» 11.11.2005;

[100] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი – იხ. ,,სუბკულტურა''.

უფრო სერიოზული და ღრმა პრობლემაა თანამედროვე ჩეჩნეთისთვის, ისევე როგორც მთლიანი ჩრდილოეთ კავკასიისთვის, ვიდრე ტერორიზმი და/ან კრიმინალი. ეს არის საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური ყოფის უმნიშვნელოვანესი მდგომარეობა, როდესაც იქმნება სახელმწიფოსთვის და ადგილობრივი საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცხო და ბოლომდე არაადაპტირებული სოციალური წრე, რომელსაც შესაძლოა ნაკლებად კონტროლილებადი სუბკულტურაც ვუწოდოთ, რომელიც მკვეთრად უპირისპირდება კანონმდებლობას, მანამდე არსებულ კულტურულ-სოციალურ ნორმებს და ა.შ. მიუხედავად ზემოთქმულისა მოსკოვის კარნეგის ცენტრის მკვლევარი ა.მალაშენკოს რადიკალური ისლამის საფრთხეს რუსეთისთვის ნაკლებად დრამატულად აფასებს, თუმცა თვლის, რომ მასზე მაქსიმალური ყურადღება არის გასამახვილებელი მთელი რიგი საკითხების გამო. იგი აღიარებს, რომ ტაქტიკური თვალასზირისით მას შეუძლია მოუტანოს და მოაქვს კიდეც მოსკოვისთვის დიდი ადამიანური და მატერიალური დანაკარგი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მას არ შეუძლია გახდეს რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმების მაკონსოლიდერებლი ფაქტორი იმდენად, რომ მას ჰქონდეს გავლენა ქვეყნის მოწყობის სისტემაზე და ეჭვქვეშ დადგეს ფედერაციის უსაფრთხოება[101]. ამის მაგალითად მოყავს ჩეჩნეთი და დაღესტანი, სადაც ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი რადიკალური ისლამის მიმდევრები. აღსანიშნავია, რომ მალაშენკო ამ მოსაზრებას ავითარებს 2001 წელს გამოცემულ შრომაში ,,*ИСЛАМСКИЕ ОРИЕНТИРЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА*'', სადაც ვერ გაითვალისწინებდა შემდგომ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, თუმცა ფაქტია, რომ მიუხედავად ტაქტიკური გამარჯვებებისა და დიდი ზარალისა, რადიკალური ისლამის მიმდევრებს რუსეთისთვის სტრატეგიული ზიანის მიყენება ნაკლებად შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჰაბიტური მოძრაობები (ქადაგება, რეკლამირება,

---

[101] МАЛАШЕНКО АЛЕКСЕЙ. 2001. *ИСЛАМСКИЕ ОРИЕНТИРЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА.* Московский Центр Карнеги. «Гендальф». Москва.

მოწოდება, დაძალება) ჩეჩნეთში კანონით იკრძალება და შეძლებისდაგვარად კონტროლდება სახელმწიფოს მხრიდან მისი პროპაგანდა, სააგიტაციო ლიტერატურის გავრცელება და ა.შ. მისი პოპულარობა იზრდება საკმაოდ აქტიური ტემპით (რაც არაერთგზის დადასტურდა). ხოლო ამ ყველაფრის გენერატორად უმეტეს შემთხვევაში გვევლინება ,,კავკასიის საემირო'' (გვევლინებოდა 2013 წლის ბოლო პერიოდამდე).

აღნიშნული ორგანიზაციას რეკრუტირების პრობლემა არ არსებობდა, რაზეც მისი სიცოცხლისუნარიანობაც მეტყველებს. ხოლო ადამიანური ძალით მუდმივი უზრუნველყოფა განპირობებული იყო იმით, რომ 90-იან წლებიდან გაჩენილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო საზოგადოების გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით ახალგაზრდები) აქტიურად ჩაერთო არალეგალურ საქმიანობაში (იქნებოდა ეს სამხედრო თუ ტერორისტული ქმედებები, აკრძალული რელიგიის ქადაგება, მოწოდებები საღვთო ომისკენ და ა.შ.). კერძოდ უმუშევრობისა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობის საპირწონედ გაჩნდა (არსებობდა წინა პერიოდშიც, თუმცა ნაკლებად იქცევდა ახალგაზრდობის ყურადღებას) სუნიტური ისლამის აგრესიული ფრთა, რომელიც მეტად მიმზიდველი აღმოჩნდა მოსახლეობისთვის.

ჩეჩნეთში სალაფიზმის იდეებმა განვითრება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს (განსაკუთრებით კი დაღესტანში) ჰპოვა გასული საუკუნის 70-იან წლებში[102]. თუმცა სოციალისტურ სისტემაში მაშინ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირის შესაბამისი სამსახურები მკაცრად აკონტროლებდნენ მსგავსი იდეოლოგიის მატარებელ პერსონებს. რომელთა რიცხვი ჩეჩნეთში ნაკლები, ხოლო დაღესტანში არცთუ ისე მცირე იყო. გამოირჩეოდნენ ძმები ბაგაუტდინ და აბას კებედოვები, აჰმედ ყადი, აიუბ ასტრახანელი და სხვები.

---

[102] Акаев Вахит. *Особенности распространения ваххабизма на Северном Кавказе.* http://evrazia.org. http://evrazia.org/article/2380 (11.05.2014).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფუნდამენტალისტური ვაჰაბიზმი გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტერიტორიებზეც. 1994 წელს დაიწყო ჩეჩნეთ-რუსეთის პირველი ომი და ვაჰაბიზმის მასობრივი გავრცელება აქ სწორედ აქედან დაიწყო, თუმცა იგი ჯერ კიდევ რელიგიური დატვირთვით შემოიფარგლებოდა და პოლიტიკური ბრძოლის იარაღს არ წარმოადგენდა. ზუსტად ამავე წელს იწყება არაბული სამყაროდან ჩრდილოეთ კავკასიაში მისიონერების აქტიური ჩამოსვლა. მათმა იდეოლოგიურმა თუ ფინანსურმა სიძლიერემ მიზანს მიაღწია და ვაჰაბიზმმა შეძლო და მოერგო რეგიონში არსებულ ეთნიკურ თუ რელიგიურ მრავალფეროვნებას. თუმცა ეს ურთიერთობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცალმხრივი სიმბიოზი ვაჰაბიზმის სასარგებლოდ, რომელიც ცდილობს კონტაქტის შედეგად მიღებული სარგებლის მეშვეობით დომინანტი ადგილი დაიკავოს რეგიონის სოციალურ ცხოვრებაში. საბოლოო ჯამში არაბი მისიონერების მცდელობამ შედეგი გამოიღო. 2007 წლის ოქტომბრის დასაწყისში ჩეჩენმა მებრძოლმა დოკუ უმაროვმა მოიხსნა არაღიარებული ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტის უფლებამოსილება და თავი გამოაცხადა კავკასიის მოჯახედების ამირად, ანუ მთავარსარდლად. მისი მეთაურობით შეიქმნა ვირტუალური ისლამური სახელმწიფო „კავკასიური საამიროი“, რომელიც ემყარებოდა შარიათის კანონებს. საემიროს მესვეურთა შეხედულებით, ჩრდილო კავკასიის მთელი ტერიტორია ითვლება ე.წ „დარ ალ-ჰარბად“, ანუ ისეთ მიწად, რომელიც მართალი მუსლიმებითაა დასახლებული, მაგრამ ურწმუნოთა ხელშია. შარიათის სამართლის მიხედვით ამგვარ ტერიტორიაზე აუცილებელია ჯიჰადის წარმოება, რათა ის „დარ ას-სალამად“, ანუ მშვიდობიან მიწად იქცეს[103].

მკვლევარ ო. ბაბროვას შეფასებით, დოკუ უმაროვი იყო უმნიშვნელო კრიმინალი განსაკუთრებული ტალანტისა და ქარიზმის გარეშე (ასლან მასხადოვმა თანამდებობიდანაც კი გადააყენა, რადგან იგი დავალების შესრულების ნაცვლად უბრალო მოქალაქეების რეკეტს ახორციელებდა. დოკუ უმაროვი იყო სუსტი

[103] არდაზიშვილი გიორგი. კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანოტომია. *ჟურნალი ტაბულა.* http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia 10.08.2012

მენეჯერი, ამასთანავე ის იბრძოდა არა იდეისთვის, არამედ გამორჩენისთვის. მან პირველი შეხვედრისას ჰამზატ გელაევს კითხვაზე, ლოცულობდა თუ არა, უპასუხა, რომ ლოცვა საერთოდ არ იცოდა, თუმცა, თუ საჭირო იქნებოდა, ისწავლიდა. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავად მასხადოვმა იგი მოგვიანებით დანიშნა დასავლეთის ფრონტის ხელმძღვანელად, როგორც ყველაზე სასტიკი ბოევიკი). ბაბროვას თქმით, იგი საჭირო დროს აღმოჩნდა შესაბამის ადგილზე და, როდესაც დაინახა, რომ მოწინააღმდეგეები აღარ არსებობდნენ (ლიკვიდირებული და/ან დაჭერილი იყვნენ), ,,ხელისუფლების'' ხელში ჩაგდება მოახერხა. იგი იყო რიგითი გროზნოელი, რომელმაც სამი წელი სასჯელი მოიხადა ბანდიტიზმის მუხლით, ხოლო გათავისუფლების შემდეგ ეწეოდა ბიზნეს საქმიანობას. მან რეკეტი განახორციელა თავის პარტნიორზე, რის შემდეგაც მასზე გამოცხდდა ძებნა. სწორედ ამ დროიდან (1993წ) იწყებს დოკუ უმაროვი იატაკქვეშა მოძრაობას, რადგან იწყება პირველი ჩეჩნეთ-რუსეთის ომი[104].

აღსანიშნავია, რომ რადიკალური ისლამი არ წარმოადგენს მხოლოდ რფ-ის გამოწვევას, იგი არის ბოლო 25 წლის ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელიც ძალას იკრებს და მისი ნეგატიური გამოვლინებები ყოველდღიურად ჩანს. მეტიც, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი სამოქმედო არეალი იზრდება და გამორიცხული არ არის კიდევ უფრო კატასტროფული შედეგები დადგეს, თუ სახელმწიფოები არ გაერთიანდებიან და კონსოლიდირებულად არ გაუწევენ მას წინააღმდეგობას. „ისლამური სახელმწიფოს“ საქმიანობა გასცდა ახლო აღმოსავლეთს და ცდილობს მოიცვას ცენტრალური აზიის ქვეყნები[105], თუმცა საყურადღებოა, რომ იმ სახელმწიფოებში, სადაც სერიოზული დასაყრდენი არ არსებობს რადიკალური ისლამის განვითარებისთვის, ისლამური სახელმწიფოების მებრძოლებს წარმატების

---

[104] Боброва Ольга. 03.03.2010. Имарат Кавказ. Государство, которого нет. http://www.memo.ru/hr/hotpoints/caucas1/msg/2010/03/m206198.htm (27.02.2010).

[105] ბურჭულაძე ნინო. ჯიჰადი სკაიპით - იმისთვის რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მოჯახედი გახდე, სირიაში წასვლა საჭირო აღარ არის. *გაზეთი კვირის პალიტრა.* 01-07-2015.

საკმაოდ ნაკლები შანსი აქვთ[106].

3.2.1.1. **რადიკალური ისლამის მიმდევართა კლასიფიცირება;**

რადიკალური ისლამის მიმდევრების დაყოფა ჩეჩნეთში, ისევე როგორც მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, საკმაოდ რთული და ბუნდოვანია. რუსული მასმედია ვაჰაბიტებს ყოფს ორ ნაწილად: <u>რეფორმატორებად</u> და <u>რადიკალებად</u>. ორივეს უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ჩეჩნეთის (და არა მარტო) სრული ისლამიზაცია (მართებულია ტერმინი ,,რადიკალური ისლამის დომინანტობა'') და ერთიანი შარიათული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. რეფორმატორთა შეფასებით, ვაჰაბიზმის გავრცელების წინაპირობა უნდა იყოს 20-წლიანი სტრატეგიის შექმნა და მასობრივი, ძლიერი პროპაგანდისტული მანქანის ამუშავება და რეკლამირება, მეჩეთების ინტენსიური მშენებლობა, ლიტერატურისა და ბროშურების აქტიურად გავრცელება საზოგადოებაში, აგიტაციური სამუშაოების შესრულება სხვადასხვა საშუალების, მათ შორის ე.წ. მისიონერული ელემენტების, გამოყენებით და სხვა. რადიკალი ვაჰაბიტებისთვის ზემოთ თქმული არასაკმარისია და აგრესიული, სამხედრო ფორმის მოქმედების დაწყებას დაუყოვნებლივ მოითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ ვაჰაბიზმის მიმდევართა დიდი უმეტესობა საკუთარ თავს სალაფიტებად მიიჩნევენ და ეს უკანასკნელი დამატებით გაურკვევლობას ქმნის სუნიტური ისლამის კლასიფიცირების საქმეში. ისტორიული ფაქტების მიხედვით სალაფიზმის მიმდევარი მუჰამად ალ-ვაჰაბის მოძღვრებიდან წარმოიშვა ვაჰაბიზმი მე-18 საუკუნეში და გახდა ისლამის უფრო მეტად აგრესიული მიმდინარეობა ვიდრე ეს უკანასკნელი. ჩეჩნეთში (ისევე როგორც ვაინახურ ჩრდილოეთ კავკასიაში) სალაფიზმის მიმდევრები დაახლოებით XX საუკუნის შუა ხანებიდან იწყებენ სუსტი იმპულსებით აქტიურობას, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების აბსოლუტური კონტროლისა და ზეწოლის გამო ანტისახელისუფლებო და/ან იდეოლოგიური თვალსაზრისით სერიოზული

---

[106] Малашенко Алексей. ''Угрозы Центральной Азии исходят изнутри, а не от ИГИЛа'', ისლამური სამყაროს სიაახლეების სააგენტო. http://islamnews.tj/central-asia/981-aleksey-malashenko-ugrozy-centralnoy-azii-ishodyat-iznutri-a-ne-ot-igila.html 27.02.2015.

აქტიურობით თავი არ გამოუჩენიათ.

ჩეჩნეთში რადიკალური ისლამის ე.წ. ,,სუფთა ისლამის'' მიმდევრები პირობითად შესაძლებელია დავყოთ სამ ნაწილად (დაყოფა წარმოადგენს ავტორის მიერ სუბიექტურად შეფასებულ რეალობას სამეცნიერო ლიტერატურასა და მამსმედიაში არსებული მოცემულობების გათვალისწინებით):

ა) ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ნორმალურ რიტმს მიჰყვებიან და ცდილობენ არ დაარღვიონ რელიგიური კანონიკა. ისინი რელიგიური დოგმატიკის პროპაგანდას არ ეწევიან. მათი რაოდენობა ძალიან მცირეა (განსაკუთრებით კადიროვის პოლიტიკის გათვალისწინებით) და, შესაბამისად, მათი გავლენა ახალგაზრდებზე სუსტად, ზოგ შემთხვევაში კი საერთოდ არ ვლინდება;

32

ბ) მუსლიმანები, რომლებიც ვაჰაბიზმის პროპაგანდას ეწევიან (ღიად და/ან ფარულად), მაგრამ არ მოუწოდებენ მიმდევრებს შეიარაღებული ბრძოლისკენ და თავადაც არ იღებენ მონაწილეობას შეტაკებებში, ანუ შემოიფარგლებიან აგიტაციის პოლიტიკით. რუსულ მასმედიასა და პუბლიკაციებში არსებული შეფასებების მიხედვით, მსგავსი ადამიანების ქმედება ყველაზე რთულად პროგნოზირებადია, რადგან, მათივე აზრით, ვაჰაბიზმის ქადაგებიდან ქმედებათა რადიკალიზაციამდე დიდი მანძილი დარჩენილი არ არის. გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ აღნიშნულ ჯგუფშია მოსალოდნელი ახალგაზრდების ყველაზე დიდი ნაკადის მიღება-გააქტიურება. სწორედ ეს მასა აყალიბებს მოსალოდნელ (აწ უკვე არსებულ) ნაკლებად კონტროლირებად სუბკულტურას, რომელიც დღევანდელ ჩეჩნეთში (ისევე, როგორც მთელ რუსეთში) მცხოვრები დაუსაქმებელი მუსლიმანი ახალგაზრდებისთვის ყველაზე მისაღებ ჯგუფს წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ ტერმინ „სუბკულტურაში“ მოიაზრება ადამიანთა ის კატეგორია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს (თუ ყველა მათგანს არა, მათ ძირითად ნაწილს): პიროვნება უნდა იყოს ,,სუფთა'' და არა ,,ტრადიციული'' ისლამის მიმდევარი სუნიტი მუსლიმანი, შედარებით აგრესიული, თუმცა არასამხედრო აქტივობებით

დაკავებული, გარეგნული იერსახით სხვებისგან გამორჩეული (წვერის განლაგება და ვარცხნილობა, ასევე ჩაცმულობა), რელიგიური (უნდა ესწრებოდეს ლოცვებს, კითხულობდეს ყურანს), ფლობდეს და/ან სწავლობდეს არაბულ ენას, ნამყოფი იყოს და/ან ცდილობდეს წასვლას სასწავლებლად არაბულ ქვეყნებში, ცხოვრების ყოველდღიური რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს ყურანის სურებს, უნდა იცნობდეს იმამების ცხოვრებას, უმკაცრესად უნდა იცავდეს რელიგიურ დოგმატიკას საპირისპირო სქესთან ურთიერთობის პროცესში, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება/მოხმარების კუთხით, მიდრეკილი უნდა იყოს იატაქვეშა მოღვაწეობისთვის (ეს უკანასკნელი პირობითია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურია კონკრეტული პიროვნება) და ა.შ. ჯგუფში ერთიანდებიან (პირობითად) და/ან ჯგუფთან იდენტიფიცირებას ახდენენ არა მარტო ის ახალგაზრდები, რომლებსაც სოფლებსა და რაიონებში თვითრეალიზაციის ნაკლები საშუალება აქვთ, არამედ ის მუსლიმანებიც, რომლებიც შედარებით მშვიდად და კარგად ცხოვრობენ, თუმცა ქვეცნობიერად მიდრეკილნი არიან მათკენ. ისინი სხვადასხვა ტიპის დახმარებას უწევენ აღნიშნულ ჯგუფს. მაგალითად, ქმნიან პროპაგანდისტულ ვებგვერდებს მიმზიდველი ლოზუნგებით, არაბული ემოციური სიმღერებისა და არაბულ ენაზე შესრულებული ყურანიდან ამოღებული ფრაზების ,,რეკლამირებით'', შეძლებისდაგვარად ეხმარებიან მატერიალურად და ასევე ერთვებიან ჯგუფის სამუშაოში ფიზიკურადაც (ე.წ. ,,ტყეში გასვლა''). საყურადღებოა, რომ დასტურდება არაერთი ფაქტი, როდესაც ამ ახალგაზრდების რიგებს უერთდებიან არამუსულმანები, არამედ მართლმადიდებელი, ეთნიკურად რუსები. ეს კი გარკვეულწილად მიუთითებს მათი ,,ფსევდოკულტურისადმი'' ან/და სუბკულტურისადმი არა მარტო ლოიალობას, არამედ მხარდაჭერას ფაქტობრივად სიცოცხლის ფასად.

გ) მეამბოხე-რადიკალები, რომლებიც აქტიურ აგიტაციას ეწევიან და „ალაჰის სახელით“' მოუწოდებენ მუსლიმანებს, ფიზიკურად გაანადგურონ ყველა, ვინც შარიათისა და ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ გამოდის. ამ უკანასკნელთა სრულ შემადგენლობას მოსკოვი ტერორისტებად ასახელებს, რადგან

სწორედ ისინი არიან ფედერალურ ცენტრთან დაპირისპირებული ძირითადი ძალა. ჩეჩნეთში მათი რაოდენობის შესახებ განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება. კადიროვის მიერ არაერთხელ გამოცხადებულა, რომ ე.წ. წინააღმდეგობრივი ძალები ჩეჩნეთში ან აღარ არსებობენ, ან აღარ გააჩნიათ ძალაუფლება, თუმცა ძალიან ხშირად ფაქტები საპირისპიროზე მიუთითებენ (მაგალითად, გროზნოში პარლამენტის შენობაზე თავდასხმა[107], კადიროვის მშობლიურ სოფელ ცენტეროიზე შეიარაღებული თავდასხმა[108], გროზნოს ცენტრში (გამომცემლობის შენობაზე) 2014 წლის ტერაქტი[109] და ასე შემდეგ). ყველაზე სწრაფად (მომენტალურად და ეფექტურად) ახალგაზრდებს ადამიანთა ეს კატეგორია იზიდავს, რადგან ეს, ერთი მხრივ, უკავშირდება ემოციურ, ხოლო, მეორე მხრივ, მერკანტილურ ფაქტორებს. ემოციური ფაქტორი მოიაზრებს შემდეგს: ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ აიღონ (მეტ-ნაკლებად შეუზღუდავად) იარაღი, იბრძოლონ მტრის წინააღმდეგ და დაგროვილი აგრესიის რეალიზება მოახდინონ მყისიერად. ამას ემატება ჩრდილოკავკასიელთა მიდრეკილება და თითქმის მუდმივი მზაობა ბრძოლისათვის და განსაკუთრებული სიყვარული იარაღისადმი. დაგროვილ აგრესიას განაპირობებს თვითრეალიზაციის საშუალების არარსებობა და არსებული ინფორმაციული ველი (შეიძლება ინფორმაციული ვაკუუმიც), რომელშიც ახალგაზრდები იზრდებიან და ყალიბდებიან. მერკანტილური ფაქტორი კი გულისხმობს შემდეგს: ახალგაზრდები გარკვეული ,,სამუშაოების'' შემდეგ იღებენ სოლიდურ თანხას. აღსანიშნავია, რომ სოლიდურ თანხაში მოიაზრება გასამრჯელოს ის რაოდენობა, რომელსაც ისინი ყოფითი მშვიდი სამოქალაქო ცხოვრების პირობებში ვერ მიიღებდნენ წლების განმავლობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანის ცხოვრება უდიდეს რისკთანაა დაკავშირებული, თუმცა მათ იმდენად სჯერათ საკუთარი არჩევნის სისწორისა და უყვართ თავიანთი საქმე (ანუ არა მარტო ვალდებულება, არამედ მოთხოვნილებაც), უღირთ სიცოცხლის ფასად მიიღონ ის, რისთვისაც იღვწიან (მათივე თქმით ან ამ ან

---

107 Attack on Chechen parliament in Grozny leaves six dead. სააგანეტო ''BBC''. http://www.bbc.com/news/world-europe-11571673 (10.12.2014).

108 Malashenko Alexey. Militant Attack on Tsentoroi Village. მოსკოვის კარნეგის ცენტრის ვებპორტალი. http://carnegie.ru/2010/08/30/militant-attack-on-tsentoroi-village (10.12.2014).

109 KRAMER ANDREW E. MacFARQUHAR NEIL. 04.12.2014. Fierce Attack by Islamist Militants in Chechen Capital Kills at Least 20. *გაზეთი ''nytimes''.* 04.12.2014

იმქვეყნიურ ცხოვრებაში).

ქართულენოვან მასალებში რადიკალური ისლამის მიმდევრებს (როგორც ჩეჩნეთში, ასევე დანარჩენ ჩრდილოკავკასიაში) შემდეგი სახით ყოფენ:

1)მოდერნისტული;
2)ტრადიციული;
3)ფუნდამენტალისტური;

ფუნდამენტალისტური მიმდინარეობა გამოირჩევა აგრესიულობითა და სამხედრო ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით. მის ძირითად კრედოს წარმოადგენს „სუფთა ისლამის ექსპორტის“ პრინციპი. „საღვთო ომი“ ყველა ურჯულოსა და „გზააცდენილი მუსლიმანის“ წინააღმდეგ (მათი აზრით, ჯიჰადი ეს არის პირველ რიგში შეიარაღებული ბრძოლა).

3.2.1.2. რადიკალური ისლამის სწრაფი ტემპით გავრცელების მიზეზები ჩეჩნეთში

ჩეჩნეთში რადიკალური ისლამის სწრაფი ტემპით გავრცელებას განსაკუთრებით ახალგაზრდებში ძირითადად განაპირობებს შემდეგი გარემოებები[110]:

1) <u>სოციალურ ფაქტორები</u>. ჩეჩნეთში (ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში) საკმაოდ რთული სოციალური და ეკონომიკური პირობებია. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჭირვებაში ცხოვრობს. ცენტრიდან გადარიცხული ტრანშე არ ხმარდება საზოგადოებას ჯეროვნად (მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით გადარიცხული თანხის დაახლოებით 60% კორუფციულ გარიგებებს ხმარდება) რისი შედეგიცაა ის ნეგატიური ფონი რაც რესპუბლიკაში არის. ასევე საყურადღებოა, რომ საკმაოდ დიდია განსხვავება (მატერიალური კუთხით) საზოგადოების ე.წ. ელიტალურ(ამ შემთხვევაში ელიტალურ ფენაში მოიაზრება საზოგადოების ნაწილი, რომელსაც დიდი მატერიალური შესაზლებლობები აქვთ) და დანარჩენ ნაწილს შორის. ამგვარ პირობებში რადიკალური ისლამი წარმოადგენს წესრიგის, სამართლიანობისა და შემოსავლის (ტერორიზმში ჩართვა სხვადასხვა საშუალებებით, იარაღითა და ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობა, მებრძოლთა დაქირავება და ა.შ.) მნიშვნელოვან და ხშირ შემთხვევაში ძირითად წყაროს.

2) <u>ცენტრალური (ისევე როგორც ადგილობრივი მმართველობის) ხელისუფლების არარაციონალური რელიგიური პოლიტიკა ხშირ შემთხვევებში კი მისი არარსებობა</u>. ჩეჩნეთში უამრავი მცდელობის მიუხედავად, ფაქტია, რომ, დღესაც მოსკოვის რელიგიური პოლიტიკა ჩავარდნილი ან ჩავარდნის პირასაა. კადიროვის აშკარა მხარდაჭერის მიუხედავად, ადგილობრივი კლერიკალების დიდი ნაწილი

---

110 Матвеевой А.Г, Скакова А.Ю и И.С. Савина. *Северный Кавказ: Взгляд изнутри. Вызовы и проблемы социально-политического развития*, Институт Востоковедения РАН, 2012.

დისკრედიტირებულია. ძირითადად მათივე არასწორი საქმიანობის გამო. ადგილობრივი მოსახლეობა მათ ბრალს სდებს კორუფციაში, ხელისუფლებასთან და სპეცსამსახურებთან ფარულ კავშირში, რელიგიური დოგმატიკის შეუსრულებლობაში და ა.შ. საზღვარგარეთ (ძირითადად არაბულ ქვეყნებში) განათლება მიღებული ახალგაზრდები კი აპელირებენ იმ თემატიკით რაც მეტად მისაღებია ადგილობრივთათვის.

<u>პოლიტიკური ფაქტორები</u>. მოსკოვის განცხადებით ჩრდილოეთ კავკასია (განსაკუთრებით, მისი ვაინახური მხარე, მათ შორის ჩეჩნეთიც, სადაც მოჩვენებითი სიმშვიდეა, თუმცა, სავარაუდოდ, კადიროვის პერსონის გამო პირდაპირი მითითება რესპუბლიკაზე ძალზე იშვიათად ხდება) რუსეთის ერთი-ერთი ყველაზე მოწყვლადი რეგიონია, ხოლო ადგილზე არსებულ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას იყენებენ მისდამი მტრულად განწყობილი ელემენტები. კრემლის მიერ გაკეთებული განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ, მათი აზრით, ე.წ. მესამე ძალისთვის რადიკალური ისლამის მიმდევრები (განსაკუთრებით ახალგაზრდები) წარმოადგენენ ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ინტერესების გასატარებლად. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების განცხადებით, მათი მტერი პოლიტიკას ახორციელებს არაერთი საშუალებით, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რეგიონში დაბრუნდა საზღვარგარეთიდან. ანუ საუბარია მათზე, ვინც განათლება არაბულ ქვეყნებში მიიღო და ძალით თუ უნებურად, ერთი მხრივ, ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ დაჯგუფებებს ქმნის, ხოლო, მეორე მხრივ, –ნაკლებად კონტროლირებად, ახალ სუბკულტურას. ისინი ძირითადად იყენებენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ გრანტებს, სასწავლო პროექტებს და ა.შ. ხოლო უკან დაბრუნების შემდეგ (ძირითად შემთხვევებში ბრუნდებიან) იწყებენ მიღებული განათლების რეალიზებას, რაც ძირითადად გამოიხატება სხვადასხვა ფორმით ქადაგებაში. ამ შემთხვევაში საუბარია ორ ფორმაზე:

ა) ახალგაზრდები, რომლებიც მოიაზრებიან უკვე ხსენებულ მუსლიმანურ ჯგუფებში, რომლებიც ღიად და/ან ფარულად ეწევიან ვაჰაბიზმის (სალაფიზმისა და რადიკალური ისლამის სხვა ფორმებს) პროპაგანდას, მაგრამ არ მოუწოდებენ

მიმდევრებს შეიარაღებული ბრძოლისკენ (არც თავად არ იღებენ მონაწილეობას სამხედრო აქტივობებში, თუმცა, შესაძლოა, გარკვეულ გამოცდილებას ფლობდნენ ამ კუთხით). მსგავსი ბიოგრაფიის პიროვნებები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ მოსახლეობაში. ამასთანავე, როგორც წესი, კლერიკალების ახალი თაობის წარმომადგენლები კარგი ორატორები არიან და სოციუმზე გავლენის მოხდენის უამრავ ტექნოლოგიას ფლობენ. ისინი სახელს იხვეჭენ რელიგიური კანონიკის მკაცრი შესრულებით, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უუნარობაში მხილებით და მათ მიმართ რადიკალური გამოსვლებით (რისი საფუძველიც ობიექტურადაც არის რეგიონში), სოციალური თანასწორობის მოთხოვნის დეკლარირებით, ასევე მათი დადანაშაულებით სხვადასხვა ანტიისლამურ ქმედებებში, არაბული ენის ზედმიწევნით კარგად ცოდნით (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით სენსეტიურია, რადგან არაბული ენის ცოდნა, ამ ენაზე ყურანის კითხვის უნარი მოიაზრება ადამიანური სიბრძნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ახალი თაობისთვის) და ა.შ.

ბ) არაბული ქვეყნებიდან დაბრუნებული ახალგაზრდები, რომლებიც მიდიან ,,იატაქვეშეთში'' და იწყებენ სამხედრო გზით ბრძოლას. ისინი უფრო აგრესიული რიტორიკით ხასიათდებიან. ზემოთ აღნიშნული ჯგუფისგან განსხვავებით მათი რაოდენობა შედარებით მცირეა, თუმცა საქმიანობის რეზონანსულობიდან გამომდინარე მეტად ცნობილები არიან.

4) ადგილობრივი (ნაწილობრივ ცენტრალური) ხელისუფლების კორუფციული გარიგებები და <u>სახელმწიფოებრივი აზროვნების არარსებობა</u>. ორივე მათგანს რადიკალური ისლამის პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის (ამასთან საუბარია როგორც განზრახ ქმედებებზე, ასევე არაპროფესიონალიზმით გამოწვეულ პრობლემებზე)[111]. ეს უკანასკნელი დ. მედვედევმა დაღესტანში ვიზიტის დროს განაცხადა 2009 წელს. განცხადება იმითაც

[111] Маркедонов Сергей. 15.06.2009. Внешний фактор кавказской нестабильности. http://polit.ru/article/2009/06/15/cau/ (06.10.2014).

არის საყურადღებო, რომ მედვედევი იყო ერთ-ერთი პირველი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელმაც რადიკალური ისლამის, ამ შემთხვევაში ტერორიზმის საფუძველი, გარე ფაქტორებთან ერთად რეგიონის სისტემურ პრობლემებში დაინახა. ქვეყნის

იმდროინდელი პირველი პირის განცხადება სერიოზული სიგნალი იყო იმ ჩინოვნიკების მიმართ, რომელთა კორუფციული გარიგებების საშუალებითაც რადიკალური ისლამის მიმდევრების საქმიანობა ხშირ შემთხვევებში ,,წარმატებული'' იყო. საუბარია, როგორც ჩავარდნილ ანტიტერორისტულ ოპერაციებსა და მეამბოხეებისთვის იარაღის უკანონო მიყიდვაზე, ასევე მოსამართლეების მიერ დამნაშავე რადიკალების მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანაზე და აკრძალული ლიტერატურის გავრცელების ხელშეწყობაზე (ამ საქმით დაკავებული არიან ის ახალგაზრდები, რომლებსაც სურთ თავიანთი ერთგულებით ხელმძღვანელებს დაუმტკიცონ, რომ რადიკალური ისლამის ჭეშმარიტი მიმდევრები არიან, ამასთანავე ელოდებიან არაბულ ქვეყნებში გამგზავრების შანსს) და სხვაზე[112].

5) <u>მოცემულობა ,,სხვა ხარ''.</u> არაერთი ფაქტი მეტყველებს, რომ რუსული საზოგადოების ნაწილისთვის (საუბარია მათზე, ვინც ღიად გამოხატავს აღნიშნულ პოზიციას და სავარაუდოდ მხარდაჭერილია ხელისუფლების გარკვეული წრეების მიერ) აბსოლუტურად ბუნებრივია იმის ხაზგასმა, რომ ერთ სახელმწიფოში მცხოვრები სხვა ეთნიკური და/ან რელიგიური წარმომავლობის მოქალაქე მისი თანასწორი თუნდაც კანონის წინაშე არ არის (მათი აგრესია კავკასიელებს, მათ შორის ჩეჩნებს, განსაკუთრებულად ეხებათ). აქ საუბარია არა მარტო ორგანიზებულ დაჯგუფებებზე ე.წ. სკინჰედებსა და მოძრაობაზე ,,რუსეთი რუსებს'', არამედ საზოგადოების ცალკეულ წევრებზე, რომლებიც სხვადასხვა ფორმით მხარს უჭერენ აღნიშნულს. ბოლო 5 წელიწადში (პერიოდი აღებულია იმის გამო, რომ ამ პერიოდში 90-იანებთან შედარებით სტაბილური ვითარებაა მთელ რუსეთში) ათეულობით კავკასიელი ახალგაზრდა გახდა აგრესიის მსხვერპლი. ეს განსაკუთრებით ეხება

---

112 Попов Эдуард. Северный Кавказ: императив системных преобразований. ***Электронный журнал «Перспективы.*** *Фонд исторической перспективы. Центр исследований и аналитики.* http://www.perspektivy.info/book/severnyj-kavkaz_imperativ_sistemnyh_preobrazovanij_2009-12-09.htm. (06.10.2014).

ჩეჩნებს, ინგუშებსა და დაღესტნელებს. ზემოხსენებული კიდევ დამატებითი საბაბია იმისთვის, რომ ჩრდილოკავკასიელმა თავი ზედმეტად იგრძნოს რუსეთის ფედერაციაში. ამას ისიც ემატება, რომ აღნიშნულს თავის სასიკეთოდ იყენებენ რადიკალი აგიტატორები და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ახალგაზრდას უპირისპირებენ არა მარტო სახელმწიფოს, არამედ რუსულ საზოგადოებასაც.

3.2.1.3. რადიკალ ისლამისტთა დემოგრაფიული მდგომარეობა ჩეჩნეთსა და ზოგადად რეგიონში

ამჟამად რადიკალთა ყველაზე დიდი აქტივობა შეიმჩნევა დაღესტანში (ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. წინააღმდეგობის ძალების ყველაზე გავლენიანი ფიგურები უმაროვი, ვადალოვი და გაკაევი, რომელთა უმეტესობა ჩეჩენი იყო, „მოღვაწეობდნენ“ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. მათი აქტივობები შედარებით იშვიათი, მაგრამ საკმაოდ რეზონანსული, იყო), თუმცა ისინი სრულად მოიცავენ ჩრდილოეთ კავკასიას. დაღესტანში მათ განსაკუთრებულ აქტიურობას თავისი სუბიექტურ-ობიექტური საფუძვლები აქვს, თუმცა უპირველეს ყოვლისა შესაძლოა დავასახელოთ ორი მიზეზი: 1) რესპუბლიკის ეთნიკური, რელიგიური და კულტურული სიჭრელე. ამ შემთხვევაში რადიკალური ისლამი ახალგაზრდებისთვის არის მაკონსოლიდირებელი ელემენტი. 2) ღია ტერმინალი ,,სხვა'' სამყაროსთან. საუბარია კასპიის ზღვასა და დაღესტნის გეოგრაფიულ საზღვარზე აზერბაიჯანთან. რადიკალებს როგორც სამხედრო, ასევე სოციალურ-ჰუმანიტარული აქტივობის ნაკლები საშუალება აქვთ ჩეჩნეთში. კადიროვის დესპოტური მმართველობის პირობებში, მიუხედავად არაერთი შეიარაღებული დაპირისპირებისა და ბრძოლისა, მათი საქმიანობა შედარებით, როგორც აღვნიშნეთ, მოკრძალებულია.

რუსული მასმედიის მონაცემებით, რეგიონში ათასობით ახალგაზრდა რადიკალია. მათი მეტ-ნაკლებად ზუსტი რაოდენობის შესახებ ციფრები განსხვავებულია. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, მათი კლასიფიცირება რთულია და გავრცელებული მონაცემები შესაძლოა ობიექტურად არ ასახავდეს რეალურს. ამასთანავე მორწმუნეთა რადიკალური ისლამისადმი მიკუთვნება სალაფიტების და ვაჰაბიტების სტატუსით

საკმაოდ რთულია, რადგან, მათი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, თავად თვლის თავს სალაფიტებად, ხოლო სხვა ნაწილი ვაჰაბიზმის მიმდევრებს სალაფიტებად არ მიიჩნევს.

სხვა რელიგიის წარმომადგენლებსა და რადიკალური ისლამის მიმდევართა შორის დაპირისპირებას ადგილი აქვს როგორც ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში, ასევე თათრეთში[113] (სადაც ინტენსიურად ავიწროებენ ტრადიციული ისლამის აღმსარებელ მუფთებსა და მოლებს და ზოგ შემთხვევებში მიმართავენ მათ ლიკვიდაციას), ბაშკირეთსა და ნაწილობრივ ცენტრალური რუსეთის რიგ რაიონებში. რადიკალური ისლამის გავრცელების გეოგრაფიის ზრდა და ექსპორტი ფედერაციის სიღრმეში სერიოზული საფრთხის შემცვლელი უნდა იყოს რუსეთის საზოგადოებისთვის, ამიტომ გამორიცხული არ არის, უახლოეს მომავალში რელიგიური პოლიტიკის გამკაცრება დაიწყოს რუსეთის ფედერაციამ, რასაც, სავარაუდოდ, სერიოზული გართულებები და წინააღმდეგობები მოჰყვება.

მოსკოვის მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში (მათ შორის უშუალოდ კადიროვის ორგანიზებითაც ჩეჩნეთში) როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე შექმნილია არაერთი დეპარტამენტი, სამინისტრო, სპეციალური ჯგუფი და ა.შ., რომლებსაც ევალება რეგიონში ახალგაზრდობასთან მუშაობა. იხარჯება ათეულობით მილიონი რუბლი, დრო და ადამიანური რესურსი, თუმცა კონკრეტული შედეგები მათ აქტივობას ამ ეტაპზე არ გამოუღია, რასაც თავის მიზეზები აქვს. პირველ რიგში ამის მიზეზი არის თავად ის პოლიტიკური სისტემა, სადაც უწევს თანამედროვე ჩრდილოეთ კავკასიას ცხოვრება.

---

113 Tatarstan mufti wounded, another cleric killed in Kazan. 19.07.2012. http://sputniknews.com/voiceofrussia/2012_07_19/Tatarstan-mufti-wounded-another-cleric-killed-in-Kazan/ (10.12.2014).

3.3.1. კავკასიის საემირო

ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის შემდეგ ეთნიკური სეპარატიზმის ბრძოლა ფაქტობრივად ტრანსფორმირდა რელიგიური ნიშნით სეცესიის მოთხოვნაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ჩეჩნეთის საზღვრებს გასცდა და მოიცვა სრულიად ჩრდილოეთ კავკასია[114]. აღნიშნული იდეის რეალიზებას ახორციელებდა ე.წ. ვირტუალური სახელმწიფო კავკასიის საემირო. მისი შექმნის დეკლარირება 2007 წლის ოქტომბერში საკუთარ თავზე აიღო არაღიარებული იჩქერიის რესპუბლიკის ბოლო მეთაურმა დოკუ უმაროვმა. ეს თარიღი მოიაზრება ჩეჩნური ეთნიკური სეცესიის მიზნით ბრძოლის დასასრულად და რელიგიური სეცესიის საწყისად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი რომელსაც ვუწოდეთ ტრანსფორმაცია დიდი ეთნიკური იდენტობიდან დიდ რელიგიურ იდენტობაში არ დაწყებულა 2007 წელს. მას ფესვები გაცილებით ღრმა წარსულში აქვს, თუმცა ფაქტობრივი გამოვლინებები ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის წინა პერიოდსა და უშუალოდ მიმდინარეობისას დაიწყო. ორგანიზაცია წარმოადგენს ვირტუალურ სახელმწიფოს, რომლის უმთვრესი მიზანი იყო ალაჰის ხელით შეექმნათ ერთიანი, შარიათულ წესებზე დამყარებული კავკასიური, ისლამური სახელმწიფო. ,,კავკასიის საემირომ'' განვლო რამდენიმე წლიანი ისტორია, რომელსაც მოჰყვა დიდი ტრაგედია, თუმცა მისი არცერთი სტრატეგიული მიზანი არ იქნა მიღწეული, განსხვავებით ტაქტიკური მიზნებისა, რომელიც სხვადასხვა დროს იყო განსხვავებული. მათ საქმიანობას ასეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა ყოველწლიურად. მაგალითად, 2007 წლიდან დღემდე მათ მიერ განხორციელებულ და მათ წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ათასობით მოქალაქის სიკვდილი მოჰყვა.

---

[114] იხ. დანართი 3.

საკმაოდ საინტერესოა კავკასიის საემიროს შექმნის პრეისტორია. ჩეჩნეთის მესამე პრეზიდენტს ასლან მასხადოვსა და იმდროინდელი ჩეჩნეთის ერთ-ერთი ლიდერის, შამილ ბასაევს შორის არსებული დაპირისპირებიდან გააქტიურდა ისლამის მთავარ იდეოლოგიურ იარაღად ქცევის საკითხი. 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამარცხების შემდეგ, შამილ ბასაევმა აქტიურად დაიწყო საკუთარი ნიშის ძებნა ჩეჩნეთის პოლიტიკურ სივრცეში. არაბ საველე მეთაურთან ამირ ხათაბთან ერთად შამილ ბასაევმა ჩამოაყალიბა „ისლამის მშვიდობისმყოფელთა ბრიგადა“[115]. (მიუხედავად იმისა, რომ იგი პრემიერად იყო დანიშნული) აგრეთვე სოფელ სერჟენ-იურთში ჩამოყალიბდა საწვრთნელი ბანაკი, რომელშიც მთელი კავკასიიდან ჩასული მოხალისეები გადიოდნენ წვრთნებსა და იდეოლოგიურ მომზადებას. ბასაევ-ხათაბის შეიარაღებულ რაზმებზე მასხადოვის ხელისუფლების კონტროლი ვერ ხორციელდებოდა.

მას შემდეგ, რაც ბასაევი სალაფიზმის მიმდევარი გახდა, მისი პოლიტიკური მიზნები გასცდა ჩეჩნეთს და მას კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე ერთიანი ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეა გაუჩნდა. გეგმის გასახორციელებლად იგი აქტიურად მუშაობდა დაღესტანში, კერძოდ ბუინაქსკის რაიონში შემავალ ყადარის ზონაში, სოფელ ჩაბანმაჰისა და ყარამაჰიში, სადაც საკმაოდ ძლიერი სალაფიტური ჯამაათი შეიქმნა. ყველა ეს პროცესი 1999 წელს დაღესტანში ბასაევის რაზმის შესვლით დაგვირგვინდა, რაც რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის ერთ-ერთი ძირითადი საბაბი იყო. ომის დაწყების შემდეგ, გარკვეული პერიოდი მასხადოვის და ბასაევ-ხათაბის დაქვემდებარებაში მყოფი რაზმები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. თუკი ასლან მასხადოვს ექვემდებარებოდა სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტი, ბასაევ-ხათაბი განაგებდა კავკასიის მუჯაჰედთა გაერთიანებული

[115] ამირი ჰატაბი – სამერ სალეხ ას-სუვეილ. ეთნიკურად არაბი საველე მეთაური საუდის არაბეთიდან, ჩეჩნური წინააღმდეგობის ერთ-ერთი ლიდერი 1995-2002 წლებში. ჩეჩნეთის ისლამური სახელმწიფოს (სალაფიზმის იდეოლოგიით) შექმნის მხარდამჭერი, ჩრდილოკავკასიამდე ტერორისტული საქმიანობით დაკავებული იყო ავღანეთში და მოგვიანებით ტაჯიკეთში.

ძალების უმაღლეს სამხედრო მეჯლის ულ-შურას. საბოლოოდ ეს ორი ჯგუფი 2002 წელს გაერთიანდა.

აღსანიშნავია, რომ უკვე ამ დროიდან მოყოლებული, შამილ ბასაევი ცდილობდა ჩეჩნეთის ფარგლებს გარეთ მყოფი სალაფიტური ჯამაათების გაძლიერებას და მათი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვას. 2000-იანი წლების დასაწყისში ასპარეზზე გამოჩნდენენ ისეთი ლიდერები, როგორც ინგუში ალი ტაზიევი (ამირ მაგასი), ჩერქეზი ანზორ ასტემიროვი (ამირ სეიფულა), დაღესტნელი (ლაკი) რაპპანი ჰალილოვი (ამირ რაბანი) და სხვები. მათი გავლენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. შამილ ბასაევისა და ასლან მასხადოვის სიკვდილის შემდეგ, არაჩეჩენი მეთაურებისგან სულ უფრო აქტიურად ჩნდებოდა ერთიანი ისლამური კავკასიური სახელმწიფოს გამოცხადების იდეა. მართალია, ფორმალურად ყველა მათგანი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტს ექვემდებარებოდა, თუმცა მათი მოტივაცია ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას სცდებოდა. აგრეთვე, მათთვის მიუღებელი იყო საერო სახელმწიფოსთვის ბრძოლა და ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ ისლამური თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნას. საბოლოოდ, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით კავკასიის საემიროს შექმნა მოვლენათა ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ორგანიზაცია იყოფა შემდეგნაირად:

1) სასამართლო (ფუნქციას ასრულებს საემიროს ყადი);
2) აღმასრულებელი ხელისუფლება;
3) საკანონმდებლო (ფუნქციას ასრულებს მეჯლისი ალ-შურა);
4) სპეციფიკური სტრუქტურა მუხაბარატი;

ორგანიზაციის დაყოფა ერთი შეხედვით პირობითია, თუმცა მისი მესვეურები მის შტოებს იყენებდნენ (მოყავდათ მზადყოფნაში) იმ დროს როდესაც ჭირდებოდათ განსაკუთრებული ცვლილებები, მაგალითად - ვინმეს გასამართლება და/ან დანიშვნა

მორიგ თანამდებობაზე.

აღნიშნულ სტურქტურებში ახალგაზრდები საკმაოდ მრავლად იყვნენ/არიან წარმოდგენილები (18-28), თუმცა საყურადღებოა, რომ ისინი უმაღლეს პოსტებს ვერ იკავებენ. სოლიდური თანამდებობები უკავიათ შედარებით ასაკოვან (35 – 50 წლის) მებრძოლებს, რომლებმაც გამოცდილება და ბრძოლის უნარ-ჩვევები ძირითადად ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების დროს დააგროვეს.

„კავკასიური საამიროის“ უმაღლესი მეთაურია ემირთ ემირი (ჯიჰადის წინამძღოლი). მას ჰყავს რამდენიმე მოადგილე, რომლებიც ჯიჰადის უსაფრთხოების, საინფორმაციო, იდეოლოგიურ და სხვა კომიტეტებს მეთაურობენ. ემირთ ემირს ექვემდებარება შარიათის ნორმათა მიხედვით შექმნილი ისლამური საბჭო მეჯლის ალ-შურა, რომელშიც ჩრდილოკავკასიურ ჯამაათთა საერო ხელმძღვანელები ემირები ერთიანდებიან. 2013 წელს რეგიონში 20-მდე ჯამაათი არსებობდა.[116]

საემიროს ცალკეულ სტრუქტურებს შეადგენს ასევე შარიათის სასამართლო, რომელსაც ყადი მეთაურობს და „ვექიალეთი“, ანუ საზღვარგარეთის წარმომადგენლობა. როგორც წესი მათ მეთაურებს ისლამური საბჭოს წევრთაგან ირჩევენ. ვექიალეთის შემადგენლობაში შედიან ე.წ „ვექილები“, ის პირები, რომელთაც სხვა ორგანიზაციებთან ან საზღვარგარეთ მყოფ თანამემამულე მუსლიმებთან კავშირის დამყარება ევალებათ.
ჩრდილო კავკასიის საემიროს ყველა წევრი ვალდებულია მხოლოდ ისლამური სახელი ატაროს როგორც წესი იმ ფორმით, როგორც ყურანითაა დაშვებული. ჩვეულებრივ, ესაა არაბული სახელები, რომლებიც სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: საკუთარი, მამის და უფროსი შვილის სახელელებით, ხოლო მეტსახელითა და განსაკუთრებით გვარებით მიმართვა „ას-სალაფიას“ მოძღვრების თანახმად

[116] არდაზიშვილი გიორგი. კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანოტომია. *ჟურნალი ტაბულა.* http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia 10.08.2012

მუსლიმანებისთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელია[117].

საემიროს უმაღლეს, მეთაურს შარიათის ნორმების სრული დაცვით, მუდმივად ირჩევს ისლამური საბჭო. 2007 წლიდან ემირთა ემირის სტატუსს ჩეჩენი დოკა, იგივე დოკუ უმაროვი ითავსებდა. იგი ითვლებოდა საამიროის რელიგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო მეთაურად. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი 2010 წლის ივნისში ტერორისტთა სიაში შეიყვანა. 2011 წლის მარტში გაეროს უსაფრთხოების საბჭომ ის საერთაშორისო ტერორისტულ ქსელ „ალ-ქაიდასთან“ კავშირში მყოფ პირთა რიცხვს მიაკუთვნა. ამავე წლის მაისში აშშ-მა უმაროვის ადგილსამყოფელზე ინფორმაციის მიწოდებისათვის ჯილდოდ 5 000 000 დოლარი დააწესა. ცნობა მისი ლიკვიდაციის შესახებ 2014 წლის მარტში გავრცელდა (ოფიციალურად დადასტურდა თავად წინააღმდეგობის ძალების მიერ. მანამდე მისი სიკვდილის შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელდა თუმცა არ დადასტურდა). რის შემდეგაც „სახელმწიფოს“ მეთაური ალი აბუ მუჰამედი გახდა, რომელიც ერთ წლიანი მართვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა[118]. მისი პიროვნებიდან განსაკუთრებით ის მომენტია საინტერესო რომ წინააღმდეგობის ძალებს ეთნიკურად არა ჩეჩენი არამედ დაღესტნელი ავარი ხელმძღვანელობდა, რაც როგორც რუსული მედია წერს, მიუღებელი იყო ჩეჩნებისთვის.

კავკასიის საემიროს სამოქმედო (გეოგრაფიული) სივრცე მოიცავს/მოიცავდა კრასნოდარიდან დაღესტანამდე ტერიტორიას, სტავროპოლის ჩათვლით. მისი დედაქალაქი არის გროზნო, რომელსაც საამიროის წარმომადგენლები უწოდებენ ჯოხარს – ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის პატივსაცემად, რომელიც იყო არა ვაჰაბიტი, არამედ კუნტა ჰაჯი მოძღვრების მიმდევარი. პირობითი „სახელმწიფო“ დაყოფილია ეთნიკური გაერთიანებების ნიშნით 6 ვილაიეთად[119].

- ვილაიეთი ღალღაი – იგივე ინგუშეთის ვილაილეთი. მის შემადგენლობაში ასევე შედის ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორია.

---

[117] იქვე;

[118] Кебеков Алиасхаб Алибулатович. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/239677/ (28.06.2015).

[119] Imarat Kavkaz (Caucasus Emirate). http://eng.kavkaz-uzel.ru/articles/30497/ (19.03.2015).

- ჩერქეზეთის ვილაიეთი;
- ვილაიეთი ნოხჩიჩო – იგივე ჩეჩნეთის ვილაიეთი;
- ნოღაის ვილაიეთი;
- ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაის ვილაიეთი;
- დაღესტანის ვილაიეთი;

საამიროის მესვეურებს სურდათ მისი გაფართოება მუსლიმებით დასახლებულ თათარსტანსა და ბაშკირეთში. აღსანიშნავია, რომ არცერთი ზემოხსენებული მიმართულების ხელმძღვანელი არ არის/იყო ახალგაზრდა, რის გამოც მედიაში არაერთი ექსპერტი წერდა, რომ მოსკოვისთვის ახალგაზრდა რადიკალი მებრძოლები გაცილებით უკონტროლო ნაწილს წარმოადგენენ, ვიდრე ძველი საველე მეთაურები, რომლებთანაც საერთო ენას გაცილებით მარტივად პოულობდნენ და ,,საერთო საქმიანობასაც'' ეწეოდნენ. სწორედ ამიტომ მოიაზრება, რომ ახალგაზრდების ჩართვა/დანიშვნა წინააღმდეგობის ძალების მაღალ თანამდებობაზე გაცილებით მეტი ნეგატივის მომტანი იქნება მოსოვისთვის ვიდრე ამჟამად არის.

კავკასიის საემიროს არსებობის ძირითად მიზანს წარმოადგენს (და წარმო-ადგენდა ადრეც) ერთიანი, კავკასიური ისლამური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც წარიმართება შარიათის კანონებით. ორგანიზაციის შექმნით ფაქტობრივად დასრულდა ეთნიკური და დაიწყო რელიგიური სეპარატიზმი ჩრდილოეთ კავკასიაში, თუმცა ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა შემდეგი: პირველი – რელიგიური სეპარატიზმი ვერ გახდა არსებული ძალების მაკონსოლიდირებელი ფაქტორი, მეორე – ზემოაღნიშნული წინააღმდეგობრივი ელემენტები დაიქსასა და დაემსგავსა ტერორისტულ-კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომლებისგანაც საკმაოდ შორს დგას რელიგიური და/ან ეთნიკური მოტივით ბრძოლა. ძველი თაობის საველე მეთაურები და რადიკალი ისლამისტები აღნიშნული ტენდენციის გაჩენას სწორედ ახალგაზრდებს აბრალებენ, რადგან მათ შემოიტანეს ახალი, უფროსი თაობისთვის მიუღებელი ცხოვრების წესი. ვფიქრობთ, ეს კრიტიკა უფრო იმითაა გამოწვეული, რომ ახალგაზრდები ან არ, ან

რთულად, ემორჩილებიან ასკოვან რადიკალებს (სავარაუდოდ, თანხისა და იარაღის გადანაწილების გამო) და სწორედ ეს გარემოება უფრო მეტადაა მათი დაპირისპირების მიზეზი, ვიდრე დოგმატური რელიგიის ცოდნა და/ან საერთო მიზნისთვის ბრძოლის ტაქტიკა.[120]

ცალკე განხილვის თემაა ორგანიზაციის დაფინანსების საკითხი, რომელსაც უამრავ შეთქმულების თეორისა და გადაუმოწმებელ ინფორმაციამდე მივყავართ[121]. დაფინანსების წყაროდ ძირითადად სახელდება ევროპაში მცხოვრები კავკასიელები და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული სხვადასხვა ლეგალური თუ არალეგალური ფონდები. ძირითად დონორად საუდის არაბეთი გვევლინება[122]. კავკასიის საემირო მიმართავს ფინანსების მოძიების სხვადასხვა სქემას. აქტუალურია რეკეტი ანუ ფულის გამოძალვა, რომელიც, როგორც ცნობილია, კორუფციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. რეკეტის მსხვერპლი ძირითადად ადგილობრივი მაღალჩინოსნები ან მათთან დაახლოებული ბიზნესმენები არიან. კავკასიის საემიროს მხრიდან ხელშეუხებლობის სანაცვლოდ ისინი მებრძოლებს გარკვეულ თანხას აძლევენ.

ჩრდილო კავკასიის საემიროს ინტერნეტის მეშვეობით საინფორმაციო მხარდაჭერას შვედეთში დარეგისტრირებული ვებგვერდი „კავკაზცენტრი“ უწევდა. იგი შეიქმნა 1999 წელს ქ. გროზნოში იმ დროს, როდესაც ქალაქი მოსკოვის მიერ არ კონტროლდებოდა. სხვადასხვა დროს მისი სერვერი განთავსებული იყო არაერთ ქვეყანაში. 2003 წელს ესტონეთის პოლიციამ აღნიშნული ვებგვერდი ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით გათიშა, ხოლო 2004 წლის სექტემბერში ლიტვის

---

120 ამ შემთხვევაში, ისევე როგორც წარმოდგენილ ნაშრომში სრულად, ახალგაზრდა რადიკალებში მოიაზრება ახალგაზრდა ისლამისტების სამივე ჯგუფი.

121 Hahn Gordon M. (August. 2011) Getting the Caucasus Emirate Right. A Report of the CSIS Russia and Eurasia Program. http://csis.org/files/publication/110930_Hahn_GettingCaucasusEmirateRt_Web.pdf (17.06.2014).

122 *არდაზიშვილი გიორგი. კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანოტომია. ჟურნალი ტაბულა. http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia. 04.07.2014*

ხელისუფლების მიერ აკრძალულ იქნა მისი მაუწყებლობა იმავე მოტივით. შემდეგ მისი ფუნქციონირება გაგრძელდა ფინეთიდან და ბოლოს განთავსდა შვედეთში[123]. საიტის ერთ-ერთი ავტორი პაველ ლუზაკოვი (მოგვიანებით, ბორის სტომახინიც) დაკავებულ იქნა სხვადასხვა ბრალდებებით, თუმცა საიტი ამჟამადაც აგრძელებს ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ, არაბულ და თურქულ ენებზე ფუნქციონირებას.

კავკასიის საემიროს მიერ გაწეული დესტრუქციული ,,საქმიანობის'' ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია იგი მივიჩნიოთ ისეთივე ტიპის გაერთიანებად როგორებიცაა: ალ-ქაიდა, ჰეზბოლა, მუსლიმი ძმები და ა.შ. ანუ მისთვის დამახასიათებელია გადაწყვეტილების ცენტრალიზაცია და აღსრულების დეცენტრალიზაცია. ოფიციალურად, ვაჰაბიზმი არ არის დაფიქსირებული როგორც თალიბანის იდეოლოგია, თუმცა რეალობაში ასეთი ტენდენცია აშკარად სახეზეა. მათი საბრძოლო ტაქტიკა წმინდა პარტიზანულია. მებრძოლები ძირითადად ღამით, მცირერიცხოვან ჯგუფებად მოქმედებენ, თუმცა ზოგჯერ მოწინააღმდეგეებთან მასშტაბურ დაპირისპირებასაც არ ერიდებიან (რაც უკვე აღინიშნა). საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ როგორც ტყის, ასევე ურბანულ პირობებშიც. ისინი დახელოვნებულნი არიან პარტიზანული ომის სპეციფიკაში, რომელსაც „რელსების ომი“ ჰქვია და მოწინააღმდეგის ინფრასტრუქტურის განადგურებას გულისხმობს. თანამედროვე ინფრასტრუქტურას „ას-სალაფიას“ მოძღვრებაც „ეშმაკის მანქანებად“ მიიჩნევს და „შოსეების ომი“ რადიკალებისათვის ალაჰის სადიდებელ საქმიანობად ითვლება. პარტიზანული ომის ხსენებული სახეობა სწორედ ერთ-ერთ რადიკალურ ისლამურ ქვეყანაში, ავღანეთში, წარმოიშვა. ყველაზე ეფექტური და აპრობირებული ოპერაცია არის ისთიშაჰადი, რომლის დროსაც თვითმკვლელი დივერსანტი სხეულზე მიმაგრებული ასაფეთქებელი ნივთიერებით იფეთქებს თვს და იწვევს დიდი რაოდენობით მსხვერპლს[124]

---

[123] "Кавказ-Центр" снова признали экстремистским, но на его работе это не отразилось. 12.09.2011. სააგენტო www.newsru.com. http://www.newsru.com/russia/12sep2011/kavkazcenter.html (20.12.2014).

[124] არდაზიშვილი გიორგი. კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანოტომია. *ჟურნალი ტაბულა.* http://www.tabula.ge/ge/tablog/65731-kavkasiuri-vahabizmi-da-misi-taviseburebebis-mokle-anatomia 10.08.2012

3.3.1.1. წინააღმდეგობის ძალების ამჟამინდელი მდგომარეობა რეგიონში (ზოგადი ვითარება)

,,კავკასიის საემიროს'' ლიდერის აბუ მუჰამადის (სამოქალაქო გვარი ალიასხაბ კებეკოვი) სიკვდილის შემდეგ (2015 წლის აპრილი) მნიშვნელოვანი ძვრები/ცვლილებები მოხდა ,,კავკასიის საემიროში''. კერძოდ, 2015 ორგანიზაციაში შემავალი ვილაიეთის მებრძოლები/ბოევიკები (დაღესტანი, ნოხჩიჩო (იჩქერია), გალჩაიჩე (ინგუშეთი), ყაბრადო-ბალყარეთი და ყარაჩაი) შეურთდნენ ისლამურ სახელმწიფოს (IS) და ერთგულება შეჰფიცეს აბუ-ბაკარ ალ ბაღდადს[125].

რთულია იმის თქმა, ,,კავკასიის საემირო'', როგორც მოცემულობა, გაქრა თუ არა ასპარეზიდან, თუმცა ფაქტია, რომ მასში მოქმედი გავლენიანი მეთაურები ისლამური სახელმწიფოს რიგებში ,,ჩაირიცხნენ'', მაგალითად, აბუ მუჰამადი (სამოქალაქო გვარით –რუსტამ ასილდეროვი), რომელიც ,,**ის**-ს“ შეურთდა და ერთგულება ალ-ბაღდადს ჯერ კიდევ 2014 წლის 19 დეკემბერს შეჰფიცა. იგი ამჟამად წარმოადგენს ისლამური სახელმწიფოს კავკასიის ვილაიეთის ხელმძღვანელს. ამირ ჰამზატი (სამოქალაქო გვარით – ასლან ბ(ი)უტუკაევი. ხელმძღვანელობდა თვითმკვლელთა ბატალიონს – ,,რიად ალ სალიხინს''. იყო კავკასიის საემიროს ერთ-ერთ ლიდერი.

---

125 ИГ объявило о присяге всех боевиков Северного Кавказа аль Багдади. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264409/ (25.06.2015)

რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით 2011 წელს მოსკოვის დომოდედოვის აეროპორტში მომხდარი ტერაქტი მისი ორგანიზებით განხორციელდა. ჩეჩნური სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციაზე დაყრდნობით კი მის კისერზეა 2014 წლის გროზნოს ტერაქტი საგამომცემლო სახლზე, რომლის დროსაც არაერთი სამართლადამცავი დაიღუპა[126]), რომელიც მიმდინარე წლის ივნისში შეუერთდა ისლამურ სახელმწიფოს, ვიდეომიმართვაში საუბრობს ე.წ. ჩეჩნური წინააღმდეგობის ძალების სახელით, რაც მის უფლებებსა და ავტორიტეტს წარმოაჩენს მებრძოლთა რიგებში. 2015 წლის მაისში გარცელდა ვიდეომიმართვა, რომელიც გვამცნობს, რომ სალაფიტური იდეოლოგიის ცნობილი მქადაგებელი ნადირ აბუ ხალიდი შეუერთდა ისლამურ სახელმწიფოს და დაექვემდებარა ალ-ბაღდადს. ეს ჟესტი, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სალაფიტური წრეების ზოგიერთ წარმომადგენელს გაუჩენს დამატებით სტიმულს, რომ შეუერთდეს ისლამურ სახელმწიფოს.

რუსეთის (მოსკოვი) ეთნოპოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის სამეცნიერო ცენტრში კავკასიის საემიროს ფაქტობრივ დაშლასა და ისლამური სახელმწიფოს რიგებში მებრძოლების/ტერორისტების გაწევრიანებას ერთ-ერთ საშიშ ტენდენციად მიიჩნევენ და დაუყოვნებლივ ითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის გატარებას[127]. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრის ექსპერტთა შეფასებით, თავად ,,ისლამურ სახელმწიფოს'' ამ ეტაპზე ჩრდილოეთ კავკასიისთვის არ სცალია ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესების გამო, მისი წევრების კონტროლი და ,,მართვა'' სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს რეგიონში. ამის მიზეზად აღნიშნული ორი

---

[126] საყურდღებოა, რომ საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ისლამურ სახელმწიფოს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა კავკასიის საემიროსთან, ჯერ კიდევ 2014 წლის დასაწყისში დაიწყო. ამას დაემატა 2014 წლის ბოლოს გროზნოში განხორციელებული ტერაქტი, რომლის მოწყობაშიც IS-ის კვალზე მიუთითებდნენ. თუმცა იმ პერიოდში ტერაქტზე პასუხისმგებლობა კავკასიის საემირომ თავის თავზე აიღო და საუბრები IS-ის მონაწილეობაზე შენელდა.

კანაშვილი თეი. 05.12.2014. გროზნოში არეულობაზე პასუხისმგებელი „იმარატ კავკაზია“ – რა კავშირშია ჩეჩნეთი ISIS-თან. ჟურნალი ლიბერალი. http://www.liberali.ge/ge/liberali/news/122100/05.04.2015.

[127] Эксперты сочли присягу Аслана Бютукаева. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264018/.

ორგანიზაციის ბრძოლის ფორმებს ასახელებენ. კავკასიის საემირო იბრძოდა ფედერალური და ადგილობრივი ხელისუფლებების წინააღმდეგ და მშვიდობიან მოქალაქეებს ბრძოლის საშუალებად (ერთ-ერთ ინსტრუმენტად) იყენებდა (ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მის სამიზნეს ძირითადად ძალოვანი და სახელისუფლებო შტოების წარმომადგენლები, ასევე რელიგიური პირები წარმოადგენდნენ, განსაკუთრებით, 2012-2014 წლებში). მიუხედავად იმისა, რომ მისმა საქმიანობამ უდიდესი ადამიანური დანაკარგი (როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო) მოუტანა რუსეთს, „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ბოლო თვეების განმავლობაში განხორციელებული ქმედებები გაცილებით მასშტაბურია და დიდ მასას მოიცავს. „ისლამური სახელმწიფოს“ საქმიანობა ფაქტობრივად ყველას წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად, ბრძოლის ტაქტიკა და მანერა მის წევრებს ბევრად უფრო სასტიკი და დაუნდობელი აქვთ.

3.3.1.2. რადიკალ ისლამისტთა რიგების შევსება მოქალაქეთა ჩართვა-ჩათრევით და სამხედრო კამპანიის ტაქტიკის ცვლილება დროში

რადიკალი ისლამისტების (საუბარია როგორც მებრძოლებზე, ასევე პროპაგანდისტ-მქადაგებლებზე) რიგები ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდებით ივსება. ეს კი ხორციელდება როგორც მათი გადაბირებით წინასწარ არსებული გეგმის მიხედვით, ასევე ახალგაზრების სურვილით, როდესაც თავად ახალგაზრდები იჩენენ ინტერესს ვაჰაბიტთა და სალაფიტთა რიგებში გასაწევრიანებლად (თუ სად გაწევრიანდება ახალგაზრდა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ პირველ ეტაპზე ბრძოლის რა საშუალებას ანიჭებს იგი უპირატესობას, ანუ სურს თავი შესწიროს ალაჰს ე.წ. საღვთო ომში, თუ სურს ეცადოს დაამკვიდროს მკაცრი რელიგიური ნორმები და საქმიანობაში ჩართოს მოსახლეობის ნაწილი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალგაზრდები დაბადებიდან არიან ფსიქოლოგიური (გარემოდან გამომდინარე) წნეხის ქვეშ, მათი გონება მოცულია აგრესიული ელემეტებით, რაც ხელს უშლის მათ ნორმალურ განვითარებას, პატარა ასაკიდან ცხოვრობენ მხოლოდ ომში (მედიით თუ პირადად მათ სოფელში, რაიონში, ქალაქში), აფეთქებებში, მათ ირგვლივ ყოველდღიურად ბევრი გარდაცვლილი და სადამსჯელო რაზმებია, ესმით მოწოდებები ალაჰისთვის ბრძოლისთვის... ამას ემატება არსებული შეუსაბამობა – ერთი მხრივ, მატერიალური პრობლემები, უმუშევრობა, შიმშილი, ხოლო, მეორე

მხრივ, საზოგადოების გარკვეული მცირე ნაწილი, რომელიც არის მატერიალურად ძლიერი, პერსპექტიული და უფრო „ბედნიერი“. პარალელურად ასპარეზზე ჩანან ადამიანები, რომლებიც პოპულარულები არიან თავიანთი რელიგიური განათლებით, ,,სწორი ცხოვრების გზით'', აქვთ კარგი მატერიალური რესურსი და იარაღი (რაც კავკასიელი ადამიანის ფსიქოლოგიაში დივიდენდია). აღნიშნული კატეგორია მისაბაძია ახალგაზრდებისთვის, ამას ემატება მათდამი რომანტიკულ-ემოციური განწყობები. კერძოდ, 18-22 წლის ასაკში ტყეში გასვლა, წვრთნა, საზღვარგარეთ წასვლის შესაძლებლობა, რეკეტი, ნარკოტიკის მოხმარების საშუალება და ა.შ. დიდი ადრენალის შემცვლელია და ახალგაზრდების დიდი ნაწილი ამ მოტივითაც ერთვება არალეგალურ საქმიანობაში.

ზემოხსენებულს დამატებით ფონს უქმნის თავად რუსულენოვანი (კონკრეტულად, რუსული წარმოშობის) მოსახლეობის აგრესიული და დისკრიმინაციული დამოკიდებულება სხვა რჯულის, ეთნოსისა და კულტურის ხალხებისადმი[128]. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში აღნიშნული კრიტერიუმებით ადამიანების დიფერენცირება მინიმუმამდე იყო დასული, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას კარგად ახსოვს მეფის რუსეთისდროინდელი და 90-იანი წლების პერიოდის მოსკოვის ქმედებანი. პირველ რიგში საუბარია სამხედრო მანევრებზე, რასაც მოჰყვა უდიდესი მსხვერპლი, ხოლო, მეორე მხრივ, ბოლო 20 წელიწადში განვითარებულ რუსულ სუბკულტურაზე, ე.წ. სკინჰედებისა და მოძრაობის ,,რუსეთი რუსებს'' საქმიანობაზე.

ცალკე უნდა აღინიშნოს იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც კამიკაძეებად ამზადებენ. მათი საქმიანობაში ჩათრევა მეტად სპეციფიკურია, ხოლო მომზადება – გაცილებით რთული, ვიდრე ჩვეულებრივი აგიტატორის ან მებრძოლისა. ამ ჯგუფისათვის ადამიანებს არჩევენ იმ ოჯახებიდან, რომელთა წევრიც ფედერალურ ცენტრთან ბრძოლას, ან მათ აგრესიულ ქმედებას, ან ადგილობრივთათვის

[128] Подосенов Сергей. Две трети россиян поддержали лозунг «Россия для русских». ვებგვერდი кавказская политика. http://kavpolit.com/levada-centr-signaliziruet-o-roste-nacionalizma-v-rossii/. (20.09.2014).

მიუღებელ სხვა ფაქტორს შეეწირა. მათ ამზადებენ დიდი ფსიქოლოგიური წნეხისა და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენებით. კამიკაძე-ტერორისტების გაერთიანება პოტენციურ სუბკულტურაში, სავარაუდოდ, არასწორია.

იკვეთება ე.წ. ,,სუფთა ისლამის'' მიმდევართა დაპირისპირებული მდგომარეობა საზოგადოების თითქმის ყველა ჯგუფთან. მათ მოიხსენიებენ, როგორც მურტადებს (ადამიანები, რომელთაც შეიცვალეს „ჭეშმარიტი რელიგია“ და გახდნენ ისლამის სხვა მიმდინარეობის ან სხვა რელიგიის წევრი) და კაფირებს (ნებისმიერი სხვა რელიგიის აღმსარებელი). ისინი ფაქტობრივად ყველას წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას (განსხვავებული ინტენსივობით).
რადიკალური ისლამის მიმდევართა ბრძოლის ხერხები მუდმივად ვითარდებოდა და ვლინდებოდა სხვადასხვა ფორმითა და ტექნიკით. მათი კლასიფიცირება საკმაოდ პირობითია და წარმოადგენს ავტორის სუბიექტურ ხედვას, რომელიც ემყარება სხვადასხვა სტატიაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს[129]. საუბარია შემდეგზე:

1) მასობრივი და ორგანიზებული შეტევები ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების წინააღმდეგ (ფაქტობრივად, პარტიზანული ომები). ასეთ შეტევებში ფაქტობრივად არ მონაწილეობს ე.წ. ახალგაზრდა რადიკალების თაობა. იბრძვიან საბჭოთა კავშირის პერიოდში ,,გამოზრდილი'' ყოფილი სამხედროები და ავღანეთში ,,გაწვრთნილი'' ნაწილების წარმომადგენლები.

2) ე.წ. რეზონანსული ტერაქტები, რომლის მიზანიც იყო დიდი რაოდენობის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში (ბესლანის ტერაქტი, ვლადიკავკაზის ტერაქტი[130], თვითმფრინავებისა და მატარებლების გატაცების რამდენიმე ფაქტი).

---

[129] СОЛДАТОВ АНДРЕЙ. ФСБ празднует победу, боевики меняют тактику. Ежедневный Журнал. http://www.ej.ru/?a=note&id=7654 (17.10.2014).

[130] საყურადღებო, რომ აღნიშნული ტერაქტი, რომელიც განორციელდა 2010 წლის სექტემბერში, არა მარტო იმით არის საინტერესო, რომ რეზოზნანსული შედგებიდან გამომდინარე გახდა, არამედ იმითაც, რომ შეიცავს ეთნიკური კონფლიქტის განახლების რისკებს ეთნიკურად ოსებსა და ინგუშებს შორის, რადგან ტერაქტი ინგუშეთის ჯამაათის მიერ იყო განხორციელებული. ამ უკანასკნელზე საინტერესო სტატიას აქვეყნებს ჯეიმსთაუნის ფონდის ექსპერტ-ანალიტიკოსი ვალერი ძუცევი,

მათ მოსაწყობად გამოყენებული იყო შედარებით მცირე ზომის, 20-40-კაციანი, დაჯგუფებები[131].

3) ახალი, ე.წ. საშუალო დონის საველე მეთაურების, რომელთა შორის უკვე ნათლად ჩანან ახალგაზრდები (რომელთაც გარკვეული დრო გაატარეს არაბულ ქვეყნებში ,,სასწავლებლად''), საბრძოლო ტაქტიკა. ასეთმა ახალგაზრდებმა წინააღმდეგობის შესუსტებისა და გავლენიან საველე მეთაურებთან, ასევე თავიანთ რიგებში დაწყებული განხეთქილების შემდეგ აირჩიეს შედარებით ფრთხილი ტაქტიკა. მათ დაიწყეს კარგად მომზადებული ტერორისტი კამიკაძეების გამოყენება კონკრეტული ტერორისტული აქტების განსახორციელებლად, ასევე ასაფეთქებელი მოწყობილობების დამონტაჟება და ამოქმედება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (დომოდედოვოს, მოსკოვის მეტროსადგურების ტერაქტი, ვლადიკავკაზის, გროზნოს და სხვა)[132]. საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა რადიკალები შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად: ე.წ. დამგეგმავი მენეჯერები და შემსრულებლები, ანუ კამიკაძეები. ამ უკანასკნელთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმს აღწევს და შესაბამისად მოიმატა თვითმკვლელი ტერორისტების მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტების რაოდენობამ. აღსანიშნავია, რომ მათი საშუალო ასაკი არ აღემატებოდა 23-26 წელს.

4) ე.წ. წერტილოვანი დარტყმების სერია, რომელიც გრძელდებოდა 2012 წლამდე. ასეთი დარტყმების სამიზნეს წარმოადგენდა ძალოვანი სტრუქტურის, რელიგიური წრეების მაღალი რანგის წარმომადგენლები და საჯარო მოხელეები. ზემოაღნიშნულის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ინგუშეთის მეთაურზე, ევკუროვზე, თავდასხმა (2009 წელი), 2013 წელს ინგუშეთის უშიშროების მდივნის

რომელიც ხსენებულ რისკს რეალურად აფასებს, თუმცა დასძენს, რომ ეს დამოკიდებულია რამდენად აქტიურად ჩაერევა მოსკოვი გამოძიებისა და შესაძლო დაძაბულობის პრევენციის საქმეში. Dzutsev Valery. Threat of Renewed Ethnic Clashes Reemerges Following North Ossetia Suicide Attack. ჟურნალი Eurasia Daily Monitor Volume: 7 Issue: 168.

131 The Editors of Encyclopædia Britannica. Beslan school attack. http://www.britannica.com/event/Beslan-school-attack (20.12.2014).

132 Moscow bombing: Carnage at Russia's Domodedovo airport. 24.01.2011. http://www.bbc.com/news/world-europe-12268662 (20.12.2014).

ლიკვიდაცია[133], დაღესტნის შსს-ის მინისტრის მკვლელობა 2009 წელს[134], ბაქსანისა და ელბრუსის ტერაქტები[135], შეიხების შეკვეთილი მკვლელობები დაღესტანში[136], ე.წ. შეცდომითი ტერაქტი, როდესაც ლიკვიდირებულ იქნა ახალგაზრდა ტურისტთა ჯგუფი იმ მოტივით, რომ ტერორისტებისთვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ ჯგუფში იყო უშიშროების საბჭოს მდივნის, პატრუშევის, შვილი (რეალურად ჯგუფის წევრი ნამდვილად იყო იმავე გვარის, თუმცა აბსოლუტურად სხვა, პირი, რომელსაც ჩინოვნიკთან საერთო არაფერი ჰქონდა)[137]. უკანასკნელი ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ ტერორისტთა ახალგაზრდა თაობას, რომელთა ასაკი არ აღემატებოდა 26 წელს, ინფორმაცია აქტიურად მიეწოდებოდა ადგილობრივი ტურისტული კომპანიებისგან, რაც მიუთიებს ორ გარემოებაზე: ა) ახალგაზრდა რადიკალებს საკმაო ქარიზმა აქვთ მოსახლეობისგან სიმპატიების მოსაპოვებლად; ბ) ისინი მოსახლეობას რეკეტით აშინებენ.

ზემოაღნიშნულ მასალებში გადმოცემულია დროის სხვადასხვა პერიოდში წინააღმდეგობის ძალების საბრძოლო ტაქტიკაში გამოყენებული როგორც ერთნაირი, ასევე შერეული საშუალებები ე.წ. გარდამავალ პერიოდში.

---

133 Gunmen kill Ingushetia security chief Ahmed Kotiev. 27.08.2013. http://www.bbc.com/news/world-europe-23846677 (20.12.2014).

134 В Махачкале застрелен министр внутренних дел Дагестана Адильгерей Магомедтагиров. 05.06.2009. http://www.1tv.ru/news/crime/10255 ((20.12.2014).)

135 Vatchagaev Mairbek. 30.07.2010. Caucasus Emirate Leader Chooses a Successor. http://www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=36693&tx_ttnews%5BbackPid%5D=484&no_cache=1#.VZkx9_mqoSU (20.12.2014).

136 Who Was Really Behind the Death of Dagestan's Sheikh? Publication: Eurasia Daily Monitor Volume: 9 Issue: 161. 06.09.2012. http://www.jamestown.org/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=39807&no_cache=1#.VZkwY_mqoSU (15.12.2013).

137 The dangerous situation in Russian ski resort. 22.02.2011. http://russia-ic.com/business_law/in_depth/1291/#.VZkvIPmqoSU (20.12.2014).

თავი 4

კადიროვის ნაციონალური და რელიგიური პოლიტიკა

4.1.1. შესავალი

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, გელნერის თეორიული დაშვება (რომელიც დეტალურად უკვე განვიხილეთ), რომლის მიხედვითაც ნაციონალიზმი არის შედეგი ე.წ. უნივერსალური მაღალი კულტურის. კერძოდ, ადამიანთა უმრავლესობის შემოსავალი, სტატუსი, უშიშროება/უსაფრთხოება და თავმოყვარეობა, მათსავე განათლებაზეა დამოკიდებული. თანამედროვე ადამიანი არის არის არა მეფის, მიწის თუ რწმენის ერთგული, არამედ კულტურის. ეგზოსოციალიზაცია, ანუ განათლება, დღეს უნივერსალური სოციალური ნორმაა. ადამიანი დღეს ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იძენს, რომელიც მას საზოგადოებაში ადგილის დაკავების საშუალებას აძლევს, და რომელიც მას იმად ხდის, «რაც ის არის».

ზემოხსენებულის კვალდაკვალ აღნიშვნის ღირსია პროფესორ გ.თევზაძის შეფასებები ნაციონალიზმისა და ე.წ. დიდი იდენტობების კავშირზე. მართალია

დიდი იდენტობა შედარებით ფართო ცნებაა და ჩეჩნური თემატიკისთვის მისი ,,მორგება'' შესაძლოა მცირეოდენ კრიტიკას იმსახურებს, თუმცა მასში ვხვდებით მეტად საყურადღებო საკითხებს, რაც გარკვეულწილად ხსნის კადიროვის პოლიტიკას უკანასკნელი წლების განმავლობაში, რაზეც ქვემოთ მოცემულ თავებში გვექნება საუბარი. საუბარია ორ საკითხზე[138]:

1) გ.თევზაძის შეფასებით, თუკი მოხდება გარკვეული იდეების ტრანსლირება სასკოლო სისტემით (ანუ, დაიწყება ამ იდეების ჩანერგვა ადამიანების თავებში სკოლაში შესვლის მომენტიდან ანდა უფრო ადრე) და შემდეგ გამყარდება მასმედიით (გაზეთები, რადიო, ტელევიზი, ინტერნეტი) მიიღება იდეათა სისტემა, სპეციფიკური იდენტობა, რომელიც ნაციონალიზმის მაგალითია.
2) დიდ იდენტობას მთავრობები ან დიდი გავლენის მქონე ადამიანთა ჯგუფები ქმნიან და ავრცელებენ. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მთავრობაში ან დიდი გავლენის მქონე ჯგუფებში განსაკუთრებულად ჭკვიანი ადამიანები შედიან, არამედ იმიტომ, რომ დიდი იდენტობის შესაქმნელად აუცილებელი ორივე სისტემა – განათლებისა და მასმედიის ინსტიტუციონალური ფორმები – მათ ხელშია.

კადიროვის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს ზემოხსენებული დაშვებების უტყუარობას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმის ტალღა ჩეჩნეთში არ დაწყებულა მხოლოდ რ.კადიროვის მიერ, მაგრამ მისმა განხორციელებულმა ქმედებებმა შექმნა ჩეჩნური კულტურული იდენტობის XXI საუკუნის ტრენდი. თუმცა იგი გამოხატულია ნაციონალიზმისა და რელიგიურობის კომბინირებულ ვარიანტში. მართალია, კულტურულ იდენტობაში რელიგიურის აღრევა კრიტიკას იმსახურებს, თუმცა კადიროვის პოლიტიკა ორივე მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს და რელიგიურ საკითხებს იყენებს ნაციონალური ინტერესების შესაბამისად (თუმცა მისი ძირითადი მიზანია ვიწრო პოლიტიკური ინეტრესების დაცვა და მისი სტატუსისა და გავლენის შენარჩუნება). ამასთან მის მიერ

138 თევზაძე გიგი. "დიდი იდენტობა. https://burusi.wordpress.com/2010/09/16/gigi-tevzadze-8/ (15.06.2015).

დამკვიდრებული/განახლებული სუფიტური რელიგიის კუნტა-ჰაჯი კიშიევის მოძღვრება მთელ რიგ საკითხებში ეყრდნობა ადგილობრივ ადათ-წესებს (ჩეჩნურ ეთნიკურ ელემენტებს), რაც კიდევ უფრო მისაღებია საზოგადოებისთვის. სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს იმას, რომ მისი ნაციონალური პოლიტიკა გაჯერებულია რელიგიური ფაქტორებით.

კადიროვი აკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ჩეჩნეთში ნაციონალიზმის განცდა იკვებებოდეს კულტურული ფაქტორებით, მაგრამ არა კლასიკური გაგებით, რადგან რესპუბლიკაში არსებული ობიექტური ვითარება მოითხოვს კულტურულ მომენტებთან ერთად გამოყენებულ იყოს რელიგიური თემატიკაც (საზოგადოების მეტი კონსოლიდირებისა და კონტროლის მიზნით). ფაქტობრივად იგი გვთავაზობს კომბინირებულ ვარიანტს, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მაღალი ალბათობით ერთი მეორეს გარეშე და/ან რომელიმე მათგანის გაძლიერება მეორეს ხარჯზე დამატებით გაურკვევლობებს შექმნის. ...,,ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვიყვიროთ და ვიამაყოთ მთელს მსოფლიოში, რომ ვართ მუსლიმები და ვართ ჩეჩნები“ - კადიროვის ცნობილი ემოციურად გაკეთებული განცხადება გროზნოში გამართულ ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესზე 2010წელს[139].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კადიროვი საკმაოდ დიდი ქარიზმის მატარებელი პიროვნებაა. მის მიმართ პატივისცემა განპირობებულია არამარტო მისდამი შიშით, არამედ პატივისცემითაც. როგორც ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, ჩეჩნეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, გროზნოშიც კი, სოფლად ცხოვრების წესით ცხოვრობს და მათთვის აბსულუტურად მისაღები და მოსაწონია კადიროვის ემოციური, მათთვის გასაგები ენით გადმოცემული შინაარსი და ასევე მათსავე კილოთი (აქცენტით) გაკეთებული თუნდაც საჯარო განცხადებები.

ზემოხსენებული მოსაზრებების გამყარების მიზნით ნაშრომის შემდეგ ნაწილში

---

139 გროზნოში ჩატარებული ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესი "გამარჯვებულთა ყრილობად" გამოაცხადეს. 10.14.2010. http://ghn.ge/com/news/view/24552 (22.11.2014).

განხილულია კადიროვის მიერ გატარებული პოლიტის ზოგიერთი ასპექტები:

- კადიროვის პოლიტიკა ჩეჩნური კულტურული იდენტობის გასაძლიერებლად (მათ შორის მისი ქმედებები ჩეჩნური ეთნოსის განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად);
- კადიროვის რელიგიური პოლიტიკა;

ზემოხსენებული იდეების, გეგმების და უფლებების რეალიზების საშუალება მას არ ექნებოდა, რომ არა სრული კარტბლანში მოსკოვიდან[140]. კადიროვს უდიდესი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა აქვს მოსკოვიდან (პირადად პუტინის მხრიდან) მიუხედავად მისი და მისი ოჯახის წევრების წარსულისა (ჩეჩნეთ-რუსეთის ომში მამა-შვილი კადიროვი მოსკოვის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ). ჩეჩნეთის მეთაურის განუსაზღვრელი უფლებები ხშირ შემთხვევაში ზღვარს სცდება და იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ გროზნო გასულია მოსკოვის იურისდიქციიდან და ხშირად ექსპერტები ჩეჩნეთს შიდა საზღვარგარეთსაც უწოდებენ (ამ საკითხის შესახებ უკვე ვისაუბრეთ). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მისი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა არ მცირდება (ცალკეული შემთხვევების გარდა, რაც როგორც წესი გარდაუვალი აუცილებლობითა და ობიექტური მიზეზებით არის ხოლმე გამოწვეული). მაგალითად 2015 წლის მარტში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კადიროვი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ბრძანებულების თანახმად, ჩეჩნეთის პრეზიდენტს ჯილდო შრომითი მიღწევებისთვის და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მიენიჭა[141].

---

140 მოდებაძე ვალერი. *ჩეჩენი ერის ბრძოლა თავისუფლებისთვის.* გამომცემლობა ,,გრიფონი''. გვ. 83. თბილისი 2015.

141 პუტინმა კადიროვი და მკვლელობაში ბრალდებული დეპუტატი ორდენებით დააჯილდოვა. *ჟურნალი ტაბულა. 09.03.2015.*

4.1.2. კადიროვის პოლიტიკა ჩეჩნური კულტურული იდენტობის შექმნა/გასაძლიერებლად (მათ შორის მისი ქმედებები ჩეჩნური ეთნოსის განსაკუთრებულობის ხაზგასასმელად);

კადიროვი საჯარო გამოსვლებში საკმაოდ ხშირად აპელირებს ,,ჩეჩნური ტრადიციების'' თემატიკით (რომელსაც ბუნებრივია ფუთავს მის პირად ინტერესებთან ერთად). მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ჩეჩნური კულტურული ნაციონალიზმის იდეის პედალირებით, ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს თანამედროვე ჩეჩნეთი საკუთარ საზოგადოებას სთავაზობს გაცილებით დიდ ავტონომიასა და თვითგამორკვევას ვიდრე ეს შეეძლო მიეღო (სთავაზობდნენ) სეპარატისტების მთავრობების მხრიდან. კადიროვი ცდილობს მაქსიმალურად ფართო გამოყენების საგნად აქციოს ჩეჩნური ენა (გახადოს იგი პოპულარული ე.წ.

ჩეჩნურ ელიტაში), ცდილობს განაახლოს/შექმნას ჩეჩნური ეთნოგრაფიული[142] და ლიტერატურული მუზეუმები, შექმნას ე.წ. ,,ჩეჩნურობის'' სიმბოლოები[143]. გახადოს მოდური ტრადიციული ჩეჩნური ტანსაცმელი, სახელმწიფო სტრუქტურებში სავალდებულო გახადა თანამშრომლებს ეცვათ ე.წ. სუფიტური ისლამის შესაფერისი, სახასიათო ტანისამოსი (ამ შემთხვევაში მას რელიგიური მოტივით). აკრძალა ყველა თავშესაფარი ბავშვებისთვისა და მოხუცებისთვის, რადგან მისი თქმით მათი არსებობა ეწინააღმდეგება ჩეჩნურ ტრადიციებს, ვინაიდან არცერთი მათგანის ჩაბარება თავშესაფარში არ შეიძლება[144]. აშკარაა, რომ კადიროვი ცდილობს შეცვალოს ჩეჩნეთის საერთაშორისო იმიჯი, რომელიც ომთან და უბედურებასთან იყო ასოცირებული, გამოაცხადოს თანამედროვე, დინამიურად განვითარებად რესპუბლიკად. მისი პირადი დაფინანსებითა და ორგანიზებით არაერთი მსოფლიო დონის ვარსკვლავი ეწვია ჩეჩნეთს, რაც გააშუქა მსოფლიოს წამყვანმა ტელეარხმა.[145] გროზნოს ტურისტული და რელიგიური ღირშესანიშნეობების რეკლამირება მიმდინარეობს არაერთ არაბულ და ისლამური სახელმწიფოში. გროზნოში შესასვლელში გაკეთებულია წარწერა ,,გროზნო-მსოფლიოს ცენტრი''[146].

.....

კადიროვის პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი ერთ-ერთი მთავარია მიზანია მსოფლიო მასშტაბით ჩეჩენი ხალხის თვალში მისი პიროვნული ავტორიტეტის გაზრდა და ამასთან მათი დარაზმა ერთიანი და ძლიერი ჩეჩნეთის იდეის გარშემო, რაც პირველ რიგში გულისხმობს ჩეჩნური ეთნოსის კულტურულ იდენტობად

---

142 В Чечне открыт архитектурно-этнографический музей "Шира-Юрт". 18.08.2014. საინფორმაციო პორტალი ''regnum''. http://www.regnum.ru/news/1837063.html (02.07.2015).

143 Чечня: внутреннее зарубежье. Доклад Международной кризисной группы. 30.06.2015 საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი ''kavkaz-uzel'',http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264772/#Nacionalizm (02.07.2015).

144 В Чечне нет сирот? 24.01.2007. საინფორმაციოა სააგენტო. http://sirotinka.ru/ravnovesie/2794.html (02.07.2015).

145 კადიროვი არაბული სამყაროს საკმაოდ აქტიური სტუმარია. მის ვიზიტებს სხვადასხვა დანიშნულება აქვს, დაწყებული პირადი ბიზნეს საქმიანობითა და დამთავრებული რელიგიური საკითხებით და პოლიტიკური ჟესტებით. მას ახლო კავშირები აქვს არაერთ მაღალი რანგის პირთან(იორდანიიდან, ყატარიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და ა.შ.). მაგალითად იორდანიაში არსებობს მისი და მისი მამის ახმედ კადიროვის სახელობის ქუჩა, ხოლო გროზნოში აბდულა II სახელობის პროსპექტი.

146 Грозный - центр мира. 16.10.3013. http://checheninfo.ru/18712-groznyy-centr-mira.html (03.07.2015).

ჩამოყალიბებაში (მოსაზრებას ხსნის გელნერის თეორიული დაშვება).

2010 წელს კადიროვის ორგანიზებით გროზნოში გაიმართა ჩეჩენთა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც დაესწრო 25 ქვეყნის დელეგატები, სულ ღონისძიებაში ათასზე მეტი პირი იყო ჩართული. კონგრესზე აირჩიეს პრეზიდიუმი, რომლის ხელმძღვანელად ჩეჩნეთის მეთაური რამზან კადიროვი დაასახელეს.

თავის მიმართვაში კადიროვმა აღნიშნა, რომ ჩეჩენმა ხალხმა მიაღწია ყველაფერს რაზეც ოცნებობდა. „ჩვენ გვსურდა ჩვენი რესპუბლიკის პატრიოტები და მეპატრონეები გამხდარვიყავით, ჩვენ მშვიდობა და თავისუფლება გვსურდა, ჩვენ ჩეჩნობა გვსურდა. დღეს ჩვენ რესპუბლიკას ვმართავთ. ისლამის კანონების შესასრულებლად ჩვენ სრული თავისუფლება და ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია განვუცხადოთ მთელს მსოფლიოს, რომ ჩვენ მუსლიმანები და ჩეჩნები ვართ," აღნიშნა კადიროვმა[147]. იდეოლოგიური კუთხით, სწორედ ეს უკანასკნელი ორი ფაქტორი არის კადიროვის პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. საუბარია ეთნიკური და რელიგიური ფაქტორების კომბინირებულ გამოყენებაზე.

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა აგრეთვე განაცხადა, რომ „ისინი ვინც ომის გაჩაღებას ცდილობენ, ევროპაში იმალებიან და იქედან ჩეჩენი ხალხის გაყოფას ცდილობენ." კადიროვის თქმით, იგი არ დაუშვებს „ჩეჩენი ხალხით მანიპულირებას" იმ პირების მიერ ვისაც „რუსეთის დაშლა სურს."

გამოსვლისას მან ახმედ ზაკაევი, რომელიც ლონდონში ცხოვრობს (იჩქერიის მინისტრთა კაბინეტის ყოფილი ხელმძღვანელი) ღიად დაადანაშაულა მის

[147] რამზან კადიროვი და ახმედ ზაკაევი ჩეჩნეთისთვის იბრძვიან. 14.10.2010. http://www.amerikiskhma.com/content/ramzan-kadyrov-akhmed-zakaev-chechnya-104873174/532712.html (22.11.2014).

მშობლიურ სოფელ ცენტეროიზე თავდასხმაში.[148] …,,ეს იყო ზაკაევის სცენარი," აღნიშნა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა. მისი თქმით, ლონდონში მყოფ ახმედ ზაკაევს კადიროვის სოფელზე თავდასხმით იმ დროს პოლონეთში მიმდინარე ჩეჩნების ყრილობისთვის ყურადღების მიპყრობა სურდა. კადიროვი აღნიშნავს, რომ ხსენებული „შეკვეთის" შესრულებისთვის ზაკაევმა გაკაევს მისცა დაპირება, რომ იგი მას „დარჩენილი ბანდ-ფორმირებების მეთაურად" აღიარებს[149].

ინფორმაცია გადასახლებაში მყოფი იჩქერიის მთავრობის დაშლის შესახებ ზაკაევის კონტროლის ქვეშ მყოფმა საინფორმაციო საშუალებებმა ჯერ კიდევ ორშაბათს საღამოს გაავრცელეს. გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ იჩქერიის მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ახმედ ზაკაევი ხელმძღვანელობს, მხარს უჭერს ჩეჩნეთში მოქმედი საველე მეთაურების კოლექტიურ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც ხუსეინ გაკაევი „იჩქერიის სამხედრო ძალების მთავარსარდლად და მეჯლის შურის ლიდერად" დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ მეჯლის შურა იჩქერიის თავდაცვის კომიტეტის ფუნქციებს არსულებს.

„ჩეჩნეთში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ჩეჩნური სახელმწიფოებრიობის სამართლებრივ სფეროს დაუბრუნდა," აღნიშნავს ახმედ ზაკაევი თავის განცხადებაში. ამით იგი იმას გულისხმობს, რომ ჩეჩნეთის ლეგიტიმურ ლიდერს გაკაევი წარმოადგენს და არა კადიროვი. ამას გარდა, ზაკაევი ფაქტობრივად რელიგიური ომის ანუ ჯიხადის წარმართვაზე უარს ამბობს და ამის ნაცვლად უპირატესობას ეროვნული თავისუფლების იდეას ანიჭებს. როგორც იტყობინებიან, იჩქერიის ახალი მთავრობის შემადგენლობას სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტი ანუ მეჯლის შურა ჩამოაყალიბებს[150].

---

[148] Malashenko Alexey. 30.08.2010. მოსკოვის კარნეგის ცენტრის ვებპორტალი. http://carnegie.ru/2010/08/30/militant-attack-on-tsentoroi-village (10.12.2014).

[149] რამზან კადიროვი და ახმედ ზაკაევი ჩეჩნეთისთვის იბრძვიან. 14.10.2010. ამერიკის ხმის ქართულენოვანი ვებპორტალი. http://www.amerikiskhma.com/content/ramzan-kadyrov-akhmed-zakaev-chechnya-104873174/532712.html (22.11.2014).

[150] Ibid.

ამერიკელ ექსპერტ პოლ გობლს მიაჩნდა, რომ ზაკაევის გააქტიურებით იგი დაიმორჩილებდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მეამბოხეებს და ხელს შეუწყობდა მათი მოძრაობის კონსოლიდაციას ეთნიკური სეპარატიზმის იდეის ირგვლივ და ამავდროულად მოხდებოდა რეგიონის რადიკალიზაციის პროცესის ხელის შეშლა (წინააღმდეგობის ძალების ჩეჩნური, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ფრთა იყო, ელემენტი ჩამოშორდებოდა კავკასიის საემიროს). ამავდროულად. კონგრესის მეორე და საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგად კი ექსპერტს მიაჩნდა ის გარემოება, რომ კადიროვის მიერ ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესის გამართვა იმის მანიშნებელია, რომ ჩეჩნეთში მისი როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა[151]. ისტორიული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ გობლის პირველმა ვარაუდმა არ გაამართლა, ჩეჩნური ელემენტი კვლავ რადიკალიზაციის მომხრედ დარჩა და მიუხედავად სერიოზული დაპირისპირების დოკუ უმაროვსა და ჰუსეინ გაკავეს, ასევე ასლანბეკ ვადალოვს შორის, ძალთა კონსოლიდირება მაინც რელიგიური თემატიკის გარშემო დარჩა[152].

რუსული მედია წერს, რომ აღნიშნული კონგრესი გროზნოში არა მხოლოდ იმიტომ ჩატარდა, რომ რამდენიმე ხნის წინ ვარშავაში ჩეჩნეთის დევნილობაში მყოფი მთავრობის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ახმედ ზაკაევის მიერ ორგანიზებული ჩეჩენი ხალხის მსოფლო კონგრესის საპირწონე ყოფილიყო, არამედ იმიტომაც, რომ იგი აღქმულიყო 1990 წელს ჩატარებული ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესის გაგრძელებად, რომლის მეთაურიც 1991-დან 1996 წლამდე ჩეჩნეთის პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი იყო[153]. 1991 წლის 8 ივნის ჩეჩენი ხალხის ეროვნულმა კონგრესმა დუდაევის მეთაურობით ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1 ოქტომბერს

---

151 Goble Paul: "Two New Moves on the Chechen Chess Board". 13.10.2010. საინფორმაციო სააგენტო. http://chechencenter.info/n/events/857-1.html (22.11.2014).

152 Доку Умаров остался без чеченского крыла. Дело своих бывших подчиненных лидер боевиков направил в шариатский суд. *ჟურნალი "კომერსანტი"*. 22.09.2010. http://www.kommersant.ru/doc/1508074 (22.11.2014).

153 გროზნოში ჩატარებული ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესი "გამარჯვებულთა ყრილობად" გამოაცხადეს. 10.14.2010. საინფორმციო სააგენტო. http://ghn.ge/com/news/view/24552 (22.11.2014).

გამოცხადდა დამოუკიდებელი ჩეჩნეთის რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილი ინგუშეთისგან გაყოფა. 1991 წლის 27 ოქტომბერს დუდაევმა მიაღწია ლეგიტიმური და დემოკრატიული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რომელშიც თავადვე გაიმარჯვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კადიროვის საქმიანობის კიდევ ერთი დეტალი. მას პირადი პროპაგანდისა და მეორე მხრივ ე.წ. ჩეჩნური იდეის (გელნერის როგორც აღნიშნავს კულტურული იდეის) რეკლამირებისთვის შექმნილი აქვს ორი ორგანიზაცია, რომელსაც იყენებს სხვადასვხა იდეების თუ მიზნების განხორციელების მიზნით. მისი უშუალო ძალისხმევით რესპუბლიკაში შექმნილია კადიროველების დაჯგუფებები (Кадыровцы) და ახალგაზრდული (სკოლის ასაკის) პატრიოტული მოძრაობა ,,ახმატი''(Ахмат).

კადიროველები – კადიროვის პირადი გვარდიის წევრები (თავდაპირველად ერქვა პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახური), ფორმალურად შედის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში. შეადგენს 700-დან 4000 მებრძოლამდე გაერთიანებას. 2006-ში შეიქმნა ბატალიონები ,,ჩრდილოეთი'' და ,,სამხრეთი'', რომელშიც გაერთიადნენ სწორედ ეს მებრძოლები, რომელთა უმეტესობა რფ-ს წინააღმდეგ იბრძოდა ჩეჩნეთის მეორე ომში. 2010 წლიდან ,,ჩრდილოეთი'' გადაკეთდა რუსეთის ფედერაციის გმირის ახმედ კადიროვის სახელობის 141-ე სპეციალიზებულ მოტომსროლელ პოლკად, რომელსაც ხელმძღვანელობს ალიბეკ დელიმხანოვი (დუმის დეპუტატ ადამ დელიმხანოვის ძმა), ხოლო ,,სამხრეთს'' ანზორ მაგომადოვი. ბუნებრივია, კადიროველების (ამგვარად მოიხსენიებენ როგორც ზემოხსენებულ მებრძოლებს, ასევე კადიროვის უშუალო დავალებების შემსრულებლებს როგორც ჩეჩნეთში, ასევე რუსეთის ფედერაციისა და მის საზღვრებს გარეთაც) უმეტესობა მეთაურის მიცემულ სამხედრო ტიპის დავალებებს უფრო ასრულებენ (მათ კისერზეა კადიროვისთვის ყველა მიუღებელი პირის ლიკვიდაცია, ტერორი, შანტაჟი თუ ბიზნეს საქმიანობის რეკეტი). მათ ქმედებებს კადიროვი მიმართავს, როგორც ტაქტიკური მანევრებისთვის, ასევე სტრატეგიული

მიზნებისთვისაც. მათი სახით, გარდა იმისა, რომ ქმნის მისთვის მისაღებ უსაფრთხოების გარანტიებს (ეს უკანასკნელი საკამთო არაა, რადგან სწორედ მათი საშუალებით კადიროვი ინარჩუნებს, როგორც პირად ასევე რესპუბლიკის მასშტაბით სიმშვიდეს), ასევე აყალიბებს ახალ ,,ელიტას'' (უფრო სწორად ფენას), რომლის წევრთათვის ფინანსური, მორალური და პატრიოტული მოტივიდან გამომდინარე საამაყოა იქ მსახური. გამორიცხული არ არის, მომავალში, მოსკოვთან კონფლიქტის გაჩაღების შემთხვევაში, წინააღმდეგობის ფრონტს სწორედ ,,კადიროველების'' ბანაკ გამოტარებული პიროვნება ჩაუდგეს სათავეში.

ახალგაზრდული (სკოლის ასაკის) პატრიოტული მოძრაობა ,,ახმატი''. გააჩნია დაჯგუფებები რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში. სკოლის აღსაზრდელებს მოიხსენიებენ, როგორც ახალგაზრდა კადიროველები (შედარება არაშესაბამისია, თუმცა ზოგიერთი ექსპერტის აზრით ორგანიზაციის საქმიანობა გარკვეულწილად წააგავს ჰიტლერიუნგების ქმედებებს) და მათ ზრდიან პატრიოტულ მოტივებზე[154]. ასწავლიან, როგორც ჩეჩნური ეთნოსის განსაკუთრებულობას ასევე ტრადიციული ისლამის მნიშვნელობას.

.....

კადიროვის ცდილობს ხაზი გაუსვას არამარტო მისი პიროვნების განუსაზღვრელ უფლებებს, არამედ ჩეჩენი ეთნოსის განსაკუთრებულ ფუნქციას, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში ასევე სრულიად რუსეთში (მისი განცხადებების ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი იქცევა, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მეთაური და არა ავტონომიური რესპუბლიკის). ზემოაღნიშნულის გასამყარებლად შესაძლოა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. კერძოდ:

1) 2015 წლის გაზაფხულზე კადიროვმა ადგილობრივ სამართალდამცველებს

[154] Чечня: внутреннее зарубежье. Доклад Международной кризисной группы. 30.06.2015. საინფორმაციო-ანალიტიკური ვებგვერდი. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264772/#Kratkoe (02.07.2015).

დაავალა, სხვა რეგიონებიდან დაუკითხავად შესულ რუს (ან სხვა) ძალოვნებს ცეცხლი გაუხსნან. როგორც მან საგანგებო თათბირზე განაცხადა, რუსეთის სხვა რეგიონების სამართალდამცველების ოპერაციები ჩეჩნეთში უკანონოა. მისი აღშფოთება 19 აპრილს გროზნოში სტავროპოლის პოლიციის მირ ჩატარებულმა სპეცოპერაციამ გამოიწვია, რომლის დროსაც პოლიციელებმა ძებნილი მოკლეს. "ყველამ უნდა იცოდეს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონი უზენაესია და ოფიციალურად ვაცხადებ, თუ ვინმე თქვენი ნებართვის გარეშე თქვენს ტერიტორიაზე გამოჩნდება, არ აქვს მნიშვნელობა, მოსკოველი იქნება თუ სტავროპოლელი, გახსენით ცეცხლი განადგურებაზე. ჩვენ ანგარიში უნდა გაგვიწიონ", - განაცხადა კადიროვმა[155]. როგორც აღვნიშნეთ კადიროვის ეს განცხადება პირველ რიგში გათვლილი იყო ჩეჩნეთის მოსახლეობაზე იმის ხაზგასასმელად, რომ ერთი მხრივ იგი ყველაფერს აკეთებს მოსახლეობის დასაცავად და რაც მთავარია, ამ განცხადებით მოსახლეობას გადასცა მესიჯი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჩეჩენი ეთნოსის ექსკლუზიურ იფლებებზე ჩაატაროს ესა თუ ის ქმედება. თუმცა ზემოთქმულის პარაელელურად განცხადება შესაძლოა წავიკითხოთ ნაშრომის მეორე პიპოთეზის (H2) კონტექსტშიც. საუბარია იმ ფაქტზე, რომ კადიროვის მესიჯი შესაძლოა მიზანმიმართული ყოფილიყო მოსკოვის მიმართ იმის აღსანიშნავად, რომ მიუხედავად ჩეჩნეთის ფედერაციაში ყოფნისა იგი განკარგავს ვითრებას რესპუბლიკაში. მსგავსმა ქმედებებმა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა შექმნან პრეცენდნეტი დამოუკიდებლობის მეტი ხარისხის მოთხოვნისა.

2) 2013 წელს ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მოსაზღვრე ორ რაიონის (სუნჟენისა და მალგობეკის) ტერიტორიული პრეტენზიების გამო მოხდა ინგუშ და ჩეჩენ სამართალდამცავ ორგანოებს შორის შეჯახება, რომელიც მართალია არ გადაზრდილია მასიურ კონფლიქტში, თუმცა თავისთავად საყურადღებო პრეცენდენტი იყო კრემლისთვის. მან მთავრობის წევრებთან თათბირზე მოითხოვა

[155] კადიროვმა დაუკითხავად შესული ძალოვნებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა. *ჟურნალი ტაბულა. 23.04.2015.*

მომხდარიყო საზღვრების სხვა მონაკვეთების დადგენა/დაზუსტება და საზღვრის უმკაცრესი კონტროლი. როგორც მას თათბირზე განუმარტეს ინგუშები ითვისებენ არა მარტო იმ ტერიტორიებს, რომლებიც რესპუბლიკათაშორის ზონებადაა აღიარებული, არამედ ჩეჩნეთის სიღრმეშიც იჭრებიან. ამასთან, თათბირზე ითქვა, რომ ინგუშები, ამ შემთხვევაში, ჯოხარ დუდაევის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს ეყრდნობიან[156]. ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტორი, რომ დოკუმენტი, რომელსაც ინგუშური მხარე ეყრდნობა არის დუდაევის მიერ ხელმწერილი, ხოლო ეს უკანაკსნელი არალეგალურ და არასახელმწიფოებრივ ელემეტად არის მოხსენიებული მოსკოვის მიერ, შესაბამისად მაგასის მოთხოვნა თავისთავად ეწინააღმდეგება კრემლის პოლიტიკას.

ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის საზღვრების დაწესების თემა კადიროვამდე არავის გაუჟღერებია. მან ეს მას შემდეგ გააკეთა, რაც ევკუროვს, ბოევიკებთან ბრძოლაში უსუსური უწოდა და ფაქტობრივად განუცხადა, რომ თუ თავის რესპუბლიკაში სიტუაციას ვერ აკონტროლებს, ამას, საკუთარ თავზე, კადიროვის მეთაურობით, ჩეჩნეთი გააკეთებს. იმდენად, რადენადაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჩეჩნეთი და ინგუშეთი ერთიან ჩეჩენ-ინგუშეთის რესპუბლიკაში შედიოდნენ, მათი გაყოფის შემდეგ საზღვრები არ გამიჯნულა. ამ საკითხზე გარდამავალი პერიოდი გამოცხადდა, რომელიც დღემდე გრძელდება.

კადიროვის ზემოაღნიშნული ავანტურული ქმედება, სავარაუდოდ, მიმართული იყო შემდეგი მიზნებისთვის:

ა) მან ჩეჩნურ მოსახლეობას დაანახა, რომ შეწევს ძალა და საშუალება რესპუბლიკის ინტერესებისთვის დაუპირისპირდეს ნებისმიერს და მათ შორის ტერიტორიების დაბრუნების კუთხით მეზობელ რესპუბლიკას. ამ უკანასკნელმა საზოგადოების თვალში კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა კადიროვის ,,პროჩეჩნურ'' პოლიტიკას და

[156] Евкуров: Сунженский район Ингушетии – неотъемлемая часть территории республики. 13.03.2013. საინფორმაციო-ანალიტიკური ვებგვერდი. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/221325/ (05.11.2014).

ძლიერი ჩეჩნეთის იდეას.

ბ) კადიროვმა კრემლს გაუგზავნა მესიჯი, რომ რეგიონში მას შეუძლია იყოს როგორც სტაბილურობის გარანტი ასევე მოსკოვისთვის მიუღებელი ვითარების შექმის გენერატორი. ზემოხსენებული ავანტურა კი დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც ფედერალურ მთავრობაში განიხილებოდა რეგიონების დოტაციის შემცირების საკითხი.

3) 2014 წლის დეკემბერში კადიროვმა გააჟღერა სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელი მოსაზრება, რომელიც როგორც წესი მოსკოვის შესაბამისი სტრუქტურების პრეროგატივაა. ამასთან ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის დონეზე მსგავსი ინიციატივის გახმოვანება მიუთითებს მისი დამოუკიდებლობის მაღალ დონეზე. კერძოდ, ჩეჩნეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოს მიმართულებით როგორც საავტომობილო, ისე სარკინიგზო მაგისტრალების აშენებას გეგმავს[157]. თუმცა კონკრეტული დრო არ დაუსახელებია. მისი განცხადებით, საქართველოსთან ურთიერთობა ჯერ არ არის დარეგულირებული, ამიტომ ჩეჩნეთის რესპუბლიკისთვის საქართველოსთან ურთიერთობა პრობლემურია. მაგრამ იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში ქართველი ხალხი მათთან კეთილ და ძმურ ურთიერთობას დაამყარება და მაშინ დაიწყება გზების მშენებლობა და ინტესიური კულტურული ურთიერთობები. აღნიშულთან დაკავშირებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კადიროვმა უბრალოდ გააჟღერა ის ინიციატივა რაც კრემლიდან დაავალეს, თუმცა ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ნაკლებად ლოგიკურია, რადგან ამის აუცილებლობა დღეს არ დგას.

4) მიმდინარე წლის ივნისში ტელეკომპანია ,,Россия 24''- ის პირდაპირ ეთერში კდიროვმა გააკეთა საკმაოდ საინტერესო განცხადება. ბუნებრივია იგი ყოველგვარ ლოგიკურ აზრს მოკლებულია, თუმცა თავად განცხადება საკმაოდ საყურადღებოა. მისი თქმით 5 წლის შემდეგ ჩეჩნეთის რესპუბლიკა თავად შეძლებს საკუთარი თავის

[157] Кадыров: новая железная дорога из РФ в Грузию может быть построена через Чечню 26.12. 2014. http://www.mk.ru/politics/2014/12/26/kadyrov-novaya-zheleznaya-doroga-iz-rf-v-gruziyu-mozhet-byt-postroena-cherez-chechnyu.html (28.12.2014).

ეკონომიკურ უზრუნველყოფს ძირითადად სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის ხარჯზე158. რეალურად კი ჩეჩნეთს მოსკოვიდან გადმორიცხული ტრანშეს გარეშე ელემენტარული არსებობაც შესაძლოა გაუჭირდეს. იგი სუბსიდირებულია კრემლის მიერ და ყოველგვარი განცხადებები დამოუკიდებელი ეკონომიკის შესახებ წარმოადგენს ტყუილს. მაგალითისთვის, დანართ 2-ში ასახულია ფედერალური ბიუჯეტის დანახარჯები ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომლის დამოუკიდებლად შევსების ალბათობა გროზნოს, არსებული სუბიექტური პირობების გათვალისიწნებით, არა აქვს. მოსკოვის კარნეგის ცენტრის წარმომადგენელი ა.მალაშენკოს აზრით მიუხედავად იმისა, რომ კადიროვს კარგად ააქვს გაცნობიერებული ზემოხსენებული იგი მაინც აგრძელებს ,,ვაჭრობას'' ფედერალურ ცენტრთან, რადგან იცის, რომ მოსკოვისთვის სამხრეთის მიმართულებით (საზღვარზე) სტაბილურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა ამ ,,ვაჭრობის'' გადამლაშებას იგი არ გააკეთებს, რადგან მისთვისაც (ხელისუფლებაში ყოფნის შესანარჩუნებლად) დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობასა და არსებული ვითარების შენარჩუნებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში რუსეთის სამხრეთ საზღვარზე მშვიდობას ორმაგი ფასი აქვს[159].

მიუხედავად კადიროვის განცხადების არარეალურობისა დამოუკიდებელი ეკონომიკის შესაძლო არსებობის შესახებ, მის გამოსვლაში იკითხება კადირვის მესიჯი, რომელიც გათვლილია შიდა აუდიტორიაზე ჩეჩნეთის შესაძლო დამოუკიდებელ მოთამაშედ ქცევასთან დაკავშირებით (თავად კადიროვსაც არაერთგზის აღუნიშნავს, რომ იგი არის უშუალოდ პუტინის მორჩილი და არა კრემლის).

ზემოხსენებულის პარალელურად საყურადღებოა ერთი დეტალის გათვალისწინება.

---

158 Кадыров: Чечня через 5 лет сама будет обеспечивать себя экономически. 20.06.2014. საინფორმაციო სააგენტო.http://kmv.gorodskoitelegraf.ru/biznes/4965-kadyrov-chechnya-cherez-5-let-sama-budet-obespechivat-sebya-ekonomicheski.html (23.06.2015).

159 АЛЕКСЕЙ МАЛАШЕНКО. Северный Кавказ:.когда закончилась война. Вооруженный конфликт между Россией и Грузией неизбежно отзывается дестабилизацией на окрестных территориях. გამომცემლობა *"Pro et Contra".* http://uisrussia.msu.ru/docs/nov/pec/2008/5-6/ProEtContra_2008_5-6_07.pdf (20.05.2015).

ლევადა-ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხულ რუსეთის მოქალაქეთა ნახევარზე მეტი რუსეთისგან ჩეჩნეთის გამოყოფის წინააღმდეგი არ არის. ეს მოვლენა რესპონდენტთა 24 პროცენტს "გაახარებდა", 27 პროცენტზე ჩეჩნეთის გამოყოფა "განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა", კიდევ 13 პროცენტი "მზადაა შეეგუოს" ჩეჩნეთის გასვლას რუსეთის შემადგენლობიდან. 12 პროცენტი კი დარწმუნებულია, რომ ფაქტობრივად ეს უკვე განხორციელდა. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რესპონდენტთა 23 პროცენტი გამოდის, 10 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ რუსეთმა ამას ხელი ნებისმიერი გზით, მათ შორის, სამხედრო მეთოდებით უნდა შეუშალოს[160].

გამოკითხვის თანახმად, რუსეთის მოქალაქეთა 28 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოსკოვის მიერ ჩრდილოეთ კავკასიისთვის გამოყოფილი თანხები "ძირითადად იძარცვება", 21 პროცენტი კი თვლის, რომ ეს თანხები ნაკლებად ეფექტიანად გამოიყენება, ვიდრე სხვა რეგიონებში. ზემოხსენებული გამოკითხვა წარმოადგენს საზოგადოების გარკვეული ნაწილის განწყობას, თუმცა თუ ამას დავამატებთ რუსი ნაციონალისტების მიერ აგორებულ კამპანიას მოსკოვში მოწოდებით ,,კმარა კავკასიის გამოკვება'' (хватит кормить Кавказ161) შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ჩეჩნეთის არამარტო სოციალურ-მენტალურად არის გასული ფედერაციის სივრციდან, გამორიცხული არ არის მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაც (როგორც უკვე აღვნიშნეთ საუბარი არ არის უახლოეს მომავალზე, საუბარია საშუალო და გრძელვადიან პერსპქტივაზე, ანუ იმ პერიოდზე, როდესაც მოხდება მოსკოვში პოლიტიკურ ძალთა ახალ გადანაწილება). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსი ნაციონალისტების გამოსვლა ზემოაღნიშნული ლოზუნგებით, ამ ეტაპზე, შეჩერებულია[162].

---

160 რუსების ნახევარზე მეტი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ არის. *ჟურნალი ტაბულა. 02.07.2013.*

161 Навальный Алексей, Варфоломеев Владимир. 22.10.2011. Актуален ли лозунг "Хватит кормить Кавказ". საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო ''эхо москвы'', http://echo.msk.ru/programs/razvorot-morning/822833-echo/ (28.12.2014).

162 Кузнецов Лев. 19.06.2015. В Минкавказа рассказали о потере актуальности лозунга «хватит кормить Кавказ». საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო. http://lenta.ru/news/2015/06/19/kavkaz/ (23.06.2015).

6) კადიროვი ხშირად ერევა ისეთ საკითხებში, რომელიც როგორც წესი რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით სისხლის სამართლებრივი დევნის საგანია და არა პირადად რესპუბლიკის მეთაურის გადასაწყვეტი, მითუმეტეს როდესაც არგუმენტებად მას მოჰყავს ჩეჩნური ტრადიციები და რელიგიური დაშვებები. საუბარია შემდეგ საკითხზე: ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა ე.წ. ,,ღირსების მკვლელობებს'' ღიად დაუჭირა მხარი. დღეს მსოფლიოში დაახლოებით 20 ათასი ქალი ხდება ამ დანაშაულის მსხვერპლი – ვინც ოჯახის სახელს შებღალავს, ახლო ნათესავები (ძირითადად მამაკაცები), სიკვდილით სჯიან. „ღირსების მკვლელობები", უმეტესად, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაშია გავრცელებული[163].

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, გროზნოსა და მახლობელი სოფლების ტყეებში უამრავი გარდაცვლილი ქალის მიტოვებული სხეული აღმოაჩინეს. ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი საჯაროდ აცხადებს, რომ გარდაცვლილებს „მორალი ჰქონდათ დაკარგული" და ნათესავების მიერ სამართლიანად იყვნენ მოკლულები. გარდა ამისა, მან გათხოვილ ქალს ქმრის საკუთრება უწოდა და დაამატა, რომ ქალის მთავარი მოვალეობა მხოლოდ ბავშვის აღზრდაა.

„თუ ქალი მართავს ყველაფერს, ხოლო კაცი მის დაკრულზე ცეკვავს, ორივე უნდა მოკლა", თქვა კადიროვმა, რომელიც ხშირად აცხადებს, რომ მისი მთავარი მიზანი ჩეჩნებისა და ჩეჩნეთის „ისლამისტებზე მეტად გაისლამებაა". „ვერავინ გვეტყვის, რომ არ ვიყოთ მუსლიმები. თუ ვინმე მეტყვის – მე არ შემიძლია ვიყო მუსლიმი – ის ჩემი მტერია", დაამატა კადიროვმა[164].

---

[163] ,,ღირსების მკვლელობები'' და ისლამური ფუნდამენტალიზმი. *ჟურნალი ტაბულა. 09.05.2012.*
[164] Ibid.

4.1.3. კადიროვის რელიგიური პოლიტიკა

კადიროვის რელიგიური პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ უპირველეს ყოვლისა მას სურს ტრადიციული ისლამის გაძლიერებით სრული კონტროლი დაამყაროს რელიგიურ სფეროზე (ეს უკანასკნელი ცალსახად შედის მოსკოვის ინტერესშიც. სავარაუდოდ, აღნიშნული თემატიკით საზოგადოების კონტროლი/კონსლიდირება

ახმედ კადიროვსა და კრემლს შორის შეთანხმების ერთ-ერთი საგანიც იყო).

სუფიტური ისლამი არის კადიროვის პოლიტიკის საკვანძო (შესაძლოა ვუწოდოთ ნაციონალური პოლიტიკის, რადგან რელიგიურ საკითხებს იგი ხშირ შემთხვევაში ნაციონალური იდენტობის შექმნა/განვიატრებისთვის იყენებს) ელემენტი. კადიროვი საკუთარ თავს მსოფლიოს ჩეჩენთა ემირად წარმოადგენს. ადგილობრივი მოსახლეობის 75% სუფიტური ისლამის (შესაძლოა ვუწოდოთ ტრადიციული ისლამი) აღმსარებელია და გაერთიანებული არიან კუნტა-ხაჯი კიშიევის რელიგიურ-ფილოსოფიურ ტარიყათში[165]. კადიროვი არის პირველი ჩეჩენი ხელმძღვანელი, რომელმაც კუნტა-ხაჯი კიშიევის მოძღვრება, როგორც სუფიური იდეოლოგიის ერთ-ერთი მიმდინარეობა, დომინანტ რელიგიად გახადა სახელმწიფო დონეზე (სავარაუდოდ ერთ-ერთი მოტივი რის გამოც მან არჩევანი კიშიევის მოძღვრებაზე

---

[165] კუნტა ჰაჯი კიშიევი დაიბადა 1830 წელს გუდერმესის რაიონის სოფელ მელჩ-ხი-ში,მეორე ვერსიით კიშიევი დაიბადა დაღესტანში, 18 წლის ასაკში მოილოცა ჰაჯი მექაში და იქვე გაწევრიანდა კადირიელების სუფიურ ორდენში. სამშობლოში დაბრუნებულმა კუნტა ჰაჯი კიშიევმა თავისი მოძღვრების ქადაგება დაიწყო კავკასიის ომის მძვინვარე წლებში. იგი ეთნიკურად ჩეჩენი არ ყოფილა. მისი ნამდვილი სახელია აჰმადი, ხოლო „ქუნტა“ ანდიურ ენაზე ნიშნავს „ვაჟკაცს“.
იმამ შამილის მიერ გამოცხადებული ჰაზავათის საღვთო ომის საპირისპიროდ, რომელიც ურწმუნოებთან უკანასკნელ მუსულმანამდე ომისკენ მოუწოდებდა კავკასიელებს, იგი ქადაგებდა სულიერ თავისუფლებაზე და ბოროტებაზე ბოროტებით პასუხის გაცემაზე უარის თქმას, გმობდა ომსა და ყოველგვარ ძალადობას.
ფიზიკური არსებობის შენარჩუნების მიზნით ჩეჩნებმა უნდა შეწყვიტონ შეიარაღებული ბრძოლა რუსეთთან, მიიღონ დაზავების ყველა პირობა მანამ, სანამ მოძალადე არ შეეხება მათ ოჯახს, ენას, ტრადიციას და სარწმუნოებას. თუ ეს მოხდება უნდა იბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე _ აცხადებდა კუნტა ჰაჯი კიშიევი. 1864 წლის 3 იანვარს კუნტა ჰაჯი კიშიევი თავის თანამოაზრეებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა რელიგიური მოღვაწეობისათვის პირადად მიხეილი რომანოვის ბრძანებით და გადაასახლეს ნოვგოროდის ოლქში. მასთან ერთად გადაასახლეს კიშიევის ძმა მოვსარი და ახმად კადიროვის დიდი ბაბუა ილუსი. სულიერი წინამძღოლის დაპატიმრებამ აღღშფოთება გამოიწვია მის მრევლში. ქალაქ შალში შეიკრიბა ათასობით მიურიდი და მოითხოვეს კუნტა ჰაჯის განთავისუფლება, რასაც რუსულმა არმიამ საზარბაზნე ცეცხლით უპასუხა. დაიღუპა 400 და დაიჭრა ათას კაცზე მეტი.
ჩეჩენმა ხალხმა კუნტა ჰაჯი კიშიევი თავის წმინდანად შერაცხა. მისი მიმდევრები თვლიან, რომ კუნტა ჰაჯი არ ეწინააღმდეგებოდა შარიათს, მაგრამ ქრისტეს მსგავსად, რომელმაც უარი თქვა ძველი აღთქმის მოძველებულ პრინციპებზე, ისიც ხალხს მოუწოდებდა სამართლიანობისა და ერთმანეთის უანგარო სიყვარულისკენ. კიშიევის მოძღვრების არსი მოძალადის სულიერი სიძლიერით დამარცხებაში მდგომარეობდა. კიშიევის სულიერი მემკვიდრეები აცხადებენ, რომ სამყაროს დასასრულის წინ იგი იესო ქრისტესთან ერთად მოევლინება დედამიწას, გაანადგურებს სატანურ ძალებს და დაამყარებს სიმშვიდეს, ზნეობრიობის ზეობას და კანონიერებას. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ცნობილი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი განიცდიდა კუნტა ჰაჯი კიშიევის პაციფისტური მოძღვრების გავლენას, რომელიც თითქოს შემდგომში მაჰათმა განდის მსოფმხედველობის საფუძველიც გახდა.

გააკეთა არის მისი ოჯახის კავშირები უშუალოდ სულიერ ლიდერთან. კერძოდ 1864 წლის 3 იანვარს კუნტა ჰაჯი კიშიევი თავის თანამოაზრეებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა რელიგიური მოღვაწეობისათვის პირადად მიხეილი რომანოვის ბრძანებით და გადაასახლეს. მასთან ერთად გადაასახლეს ახმად კადიროვის დიდი ბაბუა ილუსი. გარდა ამისა, კიშიევის რელიგიური მოძღვრება ეყრდნობოდა ადგილობრივ ადათ-წესებს (ჩეჩნურ ეთნიკურ ელემენტებს), რაც უფრო ახლოს იყო ჩეჩნებისთვის და ხიბლავდა მათ). ჩეჩენმა კლერიკალებმა აქტიური კავშირები გააბეს ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და მალაიზიის შესაბამისი წრეების წარმომადგენლებთან, რომელთა დახმარებითაც ცდილობენ კიდევ უფრო გაამყარონ მიმდინარეობის პოზიციები რესპუბლიკაში. კადიროვი აქტიურად აფინანსებს მეჩეთების, მედრესეებისა და სხვადასხვა რელიგიური შინაარსის შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რესტავრაციის პროექტებს ახმედ კადიროვის ფონდის საშუალებით (არამარტო ჩეჩნეთში, არამედ რუსეთის ფედერაციის სხვა ნაწილებშიც).

კადიროვს, ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევს ვაჰაბიზმისა და სალაფიზმის მიმდევართა ქმედებები, რაც გამოხატულია:

ა) სალაფიტები (ვაჰაბიტები[166]), რომლებიც უწევენ სამხედრო წინააღმდეგობას, რაც რესპუბლიკის უსაფრთხოებას და ფართოდ დეკლარირებულ მშვიდობას ეჭვქვეშ აყენებს;

ბ) სალაფიტების (ვაჰაბიტების) მიწისქვეშეთის ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ახალგაზრდების ჩართვას (რეკრუტს) როგორც სამხედრო, ასევე სხვა ტიპის არალეგალურ საქმიანობაში ახერხებენ საკმაოდ მარტივად აპელირებენ რა რელიგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკით;

მიუხედვად იმისა, რომ ჩეჩნეთის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც ვაჰაბიზმის ქადაგებას კრძალავს რესპუბლიკაში, მისი რეკლამირება/გავრცელება ბროშურების, ლიტერატურის თუ ინტერნეტის საშუალებით მაინც ხდება (ამ კუთხით ჩეჩნეთში

[166] როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სალაფიტები და ვაჰაბიტები ნამუშევარში გაერთიანებული არიან როგორც რადიკალური ისლამის მიმდევრები, თუმცა ერთსა და იმავე მიმდინარეობას არ წარმოადგენენ.

ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთ ჩრდილოკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით.).

თანამედროვე ჩეჩნეთში სპირტიანი სასმელები მიღება აკრძალულია, მრავალცოლიანობას კი პირადად კადიროვი უჭერს მხარს. ზოგიერთი დამკვირვებელი ამბობს, რომ ისლამის ამგვარი ინტერპრეტაცია არღვევს რუსეთის კონსტიტუციაში გაწერილ ღირებულებებს, რომელთა მიხედვით აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებები და ეკლესიისაგან (რელიგიური გაერთიანებებიდან) სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობა.

„ჩვენ ვართ ტრადიციული, კონსერვატიული საზოგადოება, მაგრამ მთავრობა ზღვარს გადადის, – ამბობს უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის, ქალთა ღირსების ცენტრის ხელმძღვანელი ლიპხან ბაზაევა, – ისინი ქალებზე წარმოუდგენელ შეზღუდვებს აკანონებენ. რუსულ კანონმდებლობაში ამგვარი დასჯის მეთოდის აკრძალვის მიუხედავად, ოჯახის მხრიდან ძალადობის შესაჩერებლად ქალებს არავითარი ბერკეტი აღარ რჩებათ”[167].

ჩეჩნეთში არსებულ პრობლემაზე დამკვირვებლები თანხმდებიან, რომ „ღირსების მკვლელობები” (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) უფრო და უფრო ხშირდება. ადგილობრივ მოსახლეობაში ეს საკითხი ტაბუდადებულია, რაც მონაცემთა მოპოვებას უშლის ხელს. ჩეჩნეთის ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ასტემიროვას (ადამიანის უფლებების დამცველი აქტივისტი) გატაცებებისა და არაადამიანურ ქცევებთან დაკავშირებული სხვა ფაქტების გამოაშკარავების გამო არაერთი პრობლემები ჰქონდა. ის 2009 წელს, ინგუშეთის მეზობელ რაიონში, ტყეში

---

[167] ,,ღირსების მკვლელობები'' და ისლამური ფუნდამენტალიზმი. *ჟურნალი ტაბულა. 09.05.2012.* http://www.tabula.ge/ge/story/59421-ghirsebis-mkvlelobebi-da-islamuri-fundame ntalizmi (28.12.2014).

იპოვეს თავში და მკერდში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული სასიკვდილო ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი. ფაქტს სამართლებრივი გაგრძელება არ მოჰყოლია. ამიტომ ცოტა თუ ბედავს კადიროვის მმართველობასთან ღიად დაპირისპირებას[168].

რუსული კანონმდებლობის გვერდის ავლით, ჩეჩნური სკოლები პრაქტიკულად ვალდებულები არიან, რომ ისლამი გაავრცელონ. თითქმის ყველა სკოლაში არსებობს სალოცავი ოთახი და მოქმედებს მკაცრი დრეს კოდი, ყველა მოსწავლე გოგონა ჩადრით დადის. ამ განაწესით ბევრია უკმაყოფილო, ვინაიდან ეს მკვეთრი დაშორებაა ადგილობრივ ტრადიციებთან. ადრე გათხოვილ ჩეჩენ ქალებს თმას პატარა თავსაფრით უფარავდნენ, მაგრამ დღეს, ჩეჩნეთში, მუსლიმური წეს-ჩვეულებები მეტი პოპულარობით სარგებლობს – სპირტიანი სასმელები პრაქტიკულად აკრძალულია, მთავრობა მხარს უჭერს მრავალცოლიანობას, სქესთა სეგრეგაცია საპარიკმახეროებსა და სპორტულ დაწესებულებებშიც კი ჩვეულ ნორმად ყალიბდება[169].

კადიროვის რელიგიური პოლიტიკის ზოგიერთი გამოვლინება:

1) კადიროვის რელიგიური პოლიტიკის ნაწილია მისი სურვილი გროზნოს მიენიჭოს ერთ-ერთი ცნობილი ისლამური ქალაქის სტატუსი. კერძოდ მოხდეს არამარტო რეგიონში არსებული კლერიკალების თავმოყრა გროზნოში, არამედ რუსეთის ფედერაციიდან და სუნიტური ისლამის დანარჩენი ნაწილიდან მსოფლიო მასშტაბით. მისი თქმით ეს უკანასკნელი არამარტო რელიგიური კუთხით არის სასურველი ჩეჩნეთისთვის, არამედ იგი აამაღლებს რესპუბლიკის ტურისტულ პოტენციალს.

გროზნოს ცენტრში პირდად კადიროვის ძალისხმევით აშენდა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეჩეთი („ჩეჩნეთის გული'', როგორც მას მოიხსენიებენ, განლაგებულია 14 ჰექტარზე ეზოიანად. თავად ტაძრის ტევადობა 10 000 კაცი დაახლოებით 5000

[168] Ibid.
[169] Ibid.

კვადრატულ მეტრზე). იგი გაიხსნა 2008 წლის 17 ოქტომბერს და ატარებს ახმატ-ხაჯი კადიროვის სახელს. იგი აშენებულია კლასიკურ ოსმალურ სტილში. მეჩეთს რელიგიურ მნიშვნელობასთან ერთად აქვს დიდი პოლიტიკური დატვირთვაც. კადიროვი თავის გამოსვლებში არაერთგზის აღნიშნავს, რომ გროზნო უნდა გახდეს მსოფლიოს რელიგიური ცენტრი.

2011 წლის სექტემბერში, დიდი ბრიტანეთიდან (ლონდონი) გროზნოში, მუჰამედის ბარძიმის მფლობელების გადაწყვეტილებით მოხდა, ამ უკანასკნელის ტრანსპორტირება მის შესანახად და დასაცავად. წინასწარმეტყველი მუჰამედის ბარძიმის მოხვედრა გროზნოში, რომელიც დაახლოებით 1400 წლისაა და გააჩნია დიდი რელიგიური ღირებულება სუნიტურ სამყაროში, წარმოადგენს პირადად კადიროვის ძალისმხევის შედეგს[170].

2012 წლის ივლისში, ასევე კადიროვის პირადი ძალისხმევით, აჰმადი ჰაჯი კადიროვის სახელობის გროზნოს მეჩეთში არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან მოხდა მუჰამედის წმინდა ნაწილების (თმა, სამოსელი და ა.შ.) ჩატანა. მის სანახავად მთელი ფედერაციის სხვადასხვა ჯამაათიდან ათიათასობით მორწმუნე (და რელიგიური ლიდერი) იყო ჩასული 4 დღის განმავლობაში[171].

2) კადიროვს სურს რეგიონში მოირგოს ისლამის უპირველესი დამცველის მანტია, რაც დაადასტურა მისი ხელშეწყობით გროზნოს ცენტრში 2015 წლის იანვარში გამართულმა მრავალათასიანი საპროტესტო აქციამ, რომელიც მიმართული იყო წინასწარმეტყველი მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნების წინააღმდეგ. მიტინგზე, ლოზუნგით "ჩვენ გვიყვარს წინასწარმეტყველი მუჰამედი", BBC-ის ცნობით, 300 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. კადიროვმა განაცხადა, რომ ჩეჩნები, ისევე

---

170 Чашу пророка Мухаммеда доставили из Лондона в чеченскую столицу. 22.09.2011. საინფორმაციო სააგენტო. http://www.ntv.ru/novosti/239936/ (14.11.2014).

171 В Чечню привезли реликвии, связанные с жизнью пророка Мухаммеда 12.07.2012. საინფორმაციო სააგენტო ''Вести''. http://www.vesti.ru/doc.html?id=848082 (14.11.2014).

როგორც რუსეთის სხვა მუსლიმები, ისლამის შეურაცხყოფის უფლებას არავის მისცემენ. ცოტათი ადრე ჩეჩნეთის პრეზიდენტმა თავისი პირადი მტრები უწოდა ყველას, ვინც მხარს უჭერს Charlie Hebdo-ს და სხვა გამოცემების უფლებას, მუსლიმები შეურაცხყოს. "ჩვენ ვხედავთ, რომ სიტყვის თავისუფლების ყალბი ლოზუნგის ქვეშ ევროპელი ჟურნალისტები და პოლიტიკოსები უზრდელობის, უკულტურობის, ასეულობით მილიონი მორწმუნის გრძნობების შეურაცხყოფის თავისუფლებას ქადაგებენ. რა სიტყვის თავისუფლებაზეა საუბარი? რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ ვლადიმირის-ძე პუტინის ძლიერი ნების წყალობით რუსეთი წარმატებით უმკლავდება იმ ნეგატიურ მოვლენებს, რომლებმაც მოიცვა ევროპა და პლანეტის სხვა რეგიონები. ჩვენ ყოველთვის ვიყავით რუსეთის საიმედო დამცველები",- აღნიშნა კადიროვმა[172]. ბუნებრივია, მის სიტყვებში რელიგიური თემატიკის გარდა პუტინისადმი პირადი მორჩილებაც იკითხებოდა, თუმცა მსგავსი რაოდენობის ხალხი და პომპეზური საპროტესტო ღონისძიებები ჩრდილოეთ კავკასიის (ისევე როგორც რუსეთის) არცერთი რესპუბლიკის თუ ოლქის ხელმძღვანელობას არ გაუმართავს.

3) მისი ინიციატივები ხშირად კლერიკალურ სივრცეში ჩარევას გულისმობს. სავარაუდოდ, ამ ეტაპზე, იგი არ გეგმავს ჩეჩნეთის მუფთად დაინიშნოს თავი, თუმცა მომავალში გამორიცხული არ არის. ამის პრეცენდეტი, იმ განსხვავებით, რომ ჯერ მუფთი და მერე პოლიტიკური ხელმძღვანელი, უახლოეს წარსულში მისი მამის სახით იყო), თუმცა ერევა მთელ რიგ საკითხებში. მაგალითად მან საჯარო ტრიბუნიდან მოსკოვს მიმართა და ინტერნეტის გათიშვისკენ მოუწოდა. მისი თქმით, ინტერნეტი ახალგაზრდობის სწორ აღზრდას უშლის ხელს. "ადრე უფრო იოლად ვცხოვრობდით, როდესაც ადამიანი ქადაგებას კითხულობდა. ახლა ყველგან ინტერნეტია და ახალგაზრდობას ქადაგების მოსმენა ინტერნეტიდან შეუძლია. იყო დრო, როდესაც ვოცნებობდი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ინტერნეტი ამუშავებულიყო, მაგრამ ახლა იმის მომხრე ვარ, რომ ინტერნეტი გათიშონ" - განაცხადა ჩეჩნეთის

---

172 რამზან კადიროვმა დასავლეთი ისლამის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. *ჟურნალი ტაბულა. 19.01.2015.*

ლიდერმა. კადიროვი აანალიზებს, რომ ინტერნეტის გათიშვას შესაძლოა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები მოჰყვეს, თუმცა მისივე განმარტებით გათიშვა მაინც უკეთესია, რადგან "ერთმანეთს მაინც აღარ დავხოცავთ". ყველა სახლში არის ინტერნეტი. ნებისმიერს შეუძლია რომელიღაც ვაჰაბიტის ქადაგების ინტერნეტით მოსმენა. ჩემს სახლშიც კი ჩემი შვილიც შეიძლება გადააწყდეს რაიმე ქადაგებას. ამიტომაც მუშაობენ ჩვენი იმამები, მათ შორის სოციალურ ქსელშიც" - აღნიშნა კადიროვმა. კადიროვის თქმით, ისლამური სახელმწიფო ასრულებს ევროპისა და დასავლეთის დავალებებს და მიზანმიმართულად ხოცავს მუსლიმებს. მან ასევე პირობა დადო, რომ ის, ვინც ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან ისლამური სახელმწიფოს დროშის ქვეშ იბრძოლებს, უკან ვეღარასდროს დაბრუნდება. "ჩვენ მას გავანადგურებთ, სადაც არ უნდა იყოს" - განაცხადა ჩეჩნეთის ლიდერმა[173].

ზემოხსენებული ფაქტები და მათი ანალიზი ტოვებს იმის თქმის საშუალებას, რომ გამორიცხული არ არის თავად კადიროვმა თუ ამის საშუალება გაუჩნდება მოსკოვში პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილების შემდეგ (სავარაუდოდ პუტინის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ) ან მისმა მემკვიდრემ (მომავალმა მმართველმა) დაიწყოს ჩეჩნური ნაციონალიზმის ტალღის შემდეგი ეტაპი, რაც გამოიხატოს სეცესიის მოთხოვნაში. ზემოხსენებულისთვის მას (კადიროვის მემკვიდრეს) გაცილებით კარგი სასტარტო მდგომარეობა ექნება ვიდრე ჰქონდა ჯოხარ დუდაევს და/ან თუნდაც რამზან კადიროვს. კადიროვის ,,ზედმეტად დამოუკიდებელი'' პოლიტიკის ჩეჩნეთში გატარების მოსალოდნელ შედეგებზე ირიბად მიუთითებს საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის დასკვნა, რომელიც გამოქვეყნდა ბრიუსელში მიმდინარე წლის ივნისში[174].

თავი 5

ჩეჩნური წინააღმდეგობების ისტორიის მოკლე მიმოხილვა და მისი

---

[173] ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი რუსეთს ინტერნეტის გათიშვისკენ მოუწოდებს. *ჟურნალი ტაბულა. 21.10.2014.*

[174] Chechnya: The Inner Abroad. 30.06.2015. Europe Report N°236. International Crisis Group. http://www.crisisgroup.org/~/media/Files/europe/caucasus/236-chechnya-the-inner-abroad.pdf (02.07.2015).

შედარება თანამედროვე პერიოდთან

ქვემოთ მოცემულ თავში ერთმანეთს შედარებულია ჩეჩნური აქტივობები XVIII და XIX საუკუნეებში. ანუ ე.წ. უნივერსალურად მაღალი კულტურის ეპოქის წინა პერიოდში მეფის რუსეთის წინააღმდეგ წარმოშობილი გამათავისუფლებელი მოძრაობები და შემდეგი პერიოდის ანუ თანამედროვე ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებები.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ჩეჩნური აქტივობა ნაციონალური იდეებით პირველად XX საუკუნის ბოლოს დაიწყო. მოძრაობას სათავეში ედგა განათლება მიღებული, ერუდირებული პიროვნება - ჯ.დუდაევი. იგი ცდილობდა ეთნიკური ნიშნით საზოგადოების დარაზმვას და მტრის ხატად ასახელებდა არა ,,ურჯულოებს'' (როგორც ეს შამილისა და შეიხ მანსურის დრო ხდებოდა), არამედ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ჩეჩნეთის ეთნოსის დამოუკიდებელ სახელმწიფოს არსებობა არ სურდა. ანუ პედალირებდა ჩეჩნური კულტურული იდენტობის შექმნა/გაძლიერების თემატიკას და არა ზოგადად რეგიონის გათავისუფლებას დამპყრობელისგან[175]. ხოლო კადიროვის პოლიტიკა შესაძლოა განვმარტოთ, როგორც ჩეჩნური ნაციონალიზმის მორიგი ფაზა (XXI საუკუნეში), მხოლოდ წინა შემთხვევისგან განსხვავებით, გამოხატული არა სეცესიის მოთხოვნაში, არამედ კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება/გაძლიერებაში. რაც შეეხება წინა პერიოდს, ისტორიაში ცნობილი ჩეჩნური აქტივობები არ ყოფილა მიმართული პოლიტიკურ-კულტურული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად. შამილის, შეიხმანსურისა და ა.შ. ბრძოლები მეფის რუსეთის წინააღმდეგ იყო მოტივირებული რელიგიური ფაქტორებით და მიმართული იყო დამპყრობელისგან გათავისუფლებისკენ. ბრძოლებს სათავეში ედგა ჩეჩნეთში მცხოვრები ფეოდალების მსგავსი ,,გავლენიანი''

---

175 დუდაევა ალა. *მილიონ მეერთე.* წიგნი 1. თარგ. ა.ლეკიაშვილი, თბილისი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, გვ 236. 2010

ფიგურები, რომელთაც ამოძრავებდათ საკუთარი მიწისა და რელიგიის (ისევე როგორც საკუთარი სტატუსის შენარჩუნების) სიყვარული და მათი წინააღმდეგობა არ იყო მოტივირებული ეთნიკური და/ან კულტურული მოტივებით.

შეიხ მანსური საკმაოდ საინტერესო პიროვნება იყო. ფაქტიურად იგი იყო პირველი ლიდერი ვინც მსგავსი მასშტაბის გაერთიანება მოახდინა ჩრდილოკავკასიაში. კერძოდ, მან შეძლო გაერთიანებინა ვაინახთა და კავკასიელთა სხვა ტომები რუსეთან წინამღდეგ საბრძოლველად, იგი იყო რეგიონის პირველი თითქმის ყველასგან აღიარებული იმამი და საფუძველი ჩაუყარა ორგანიზებულ მოძრაობას მეფის რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა ეს არ იყო ეროვნული მოძრაობა, ეს იყო აქტივობა დიდი ბატონის წინააღმდეგ, რომელშიც გაერთიანდა ყველა ვისაც ,,ბატონი'' არ სურდა. ანუ მის კოალიციაში გაერთიანება ეთნიკური და კულტურული ნიშნით არ მომხდარა.

უნდა აღინიშნოს, რომ მანსურს არავითარი განათლება არ ჰქონია, იგი იყო მწყემსი, თუმცა, იყო კარგი ორგანიზატორი/მენეჯერი და ჰქონდა დიდი ქარიზმა. პირველი აქტივობები 1783 წლიდან დაიწყო, როდესაც მოსახლეობაში ქადაგებდა ისლამის დემოკრატიულ პრინციპებს. სულ მოკლე ხანში დიდ წარმატებას მიაღწია არა მარტო ჩეჩნეთში, არამედ თანამოაზრეები გაიჩინა დაღესტანში, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, ინგუშებში, ყაბარდოელებში, ოსებში, ნოღაელებში და ყუბანს გაღმა ჩერქეზებში. იგი იქცევდა მეფის რუსეთის ყურადღებას, თუმცა თავიდანვე მისი ნეიტრალიზებაზე უარი ითქვა. იგი იყო პირველი რეგიონში, რომელსაც სურდა არა მარტო ვაინახების, არამედ მთელი ჩრდილოკავკასიელი ერების ერთ მუსულმანურ სახელმწიფოდ გაერთიანება (ამ კონტექსტშიც მისი აქტივობის ჩართვა ჩეჩნურ ნაციონალიზმში არასწორია, რადგან ფაქტიურად მისი იდეა იყო შემდგომდროინდელი ,,კავკასიის საემიროს'' პირველი ფაზა), 1785 წლიდან შეიხ მანსურის მოღვაწეობაში გაიჟღერა პოლიტიკურმა პრინციპებმა, წინა პლანზე წამოიწია არა ,,ბატონის'', არამედ რუსების, როგორც არა მუსულმანების წინამღდეგ ბრძოლის იდეამ. ამ ფაქტორმა მოახდინა ძალთა კონსოლიდირება მტრის წინააღმდეგ რეგიონში. თუმცა მეფის რუსეთმა

მოახერხა და განხეთქილება ჩამოაგდო წინააღმდეგობის ძალებში, რის გამოც მანსური დამარცხდა. როგორც აღვნიშნეთ, იგი იყო პირველი, რომელმაც სცადა ახალი ტიპის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება, ხოლო მის მიერ დამკვიდრებული პრინციპები განავითარა იმამ შამილმა ნახევარი საუკუნის შემდეგ თავის იმამატში, ხოლო შემდეგ დროინდელი ყველაზე ცნობილი და ამასთან ძლიერი წინააღმდეგობები მსგავსი იდეით განახლდა ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომისა და ორგანიზაცია ,,კავკასიის საემიროს'' საქმიანობის პერიოდში.

ასევე საინტერესოა იმამ შამილის მოღვაწეობა[176]. იგი იყო კავკასიელი მუსულმანების პოლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი, როდესაც XIX საუკუნეში რუსეთის წინაღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა. ქართულენოვან ლიტერატურაში ხშირად იგი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ლიდერად სახელდება, თუმცა ამ სემთხვევაში სიტყვა ,,ეროვნული'' არასწორად არის გამოყენებული. იგი იბრძოდა კავკასიის გათვასიუფლების მოტივით და თანამოაზრეთა კონსოლიდაციას არა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით ახერხებდა, არამედ საერთო რელიგიური თემატიკით. იმამ შამილმა, რომელიც წარმოშობით დაღესტნელი იყო (ზოგიერთი წყარო მას ებრაელ ტატად მოიხსენიებს) დაარსა მოძრაობა – მიურადიზმი, რომლის გარშემო დაირაზმა დაღესტნური და ჩეჩნური გავლენიანი ფიგურების (ფეოდალების მსგავსი სტატუსის მქონე პიროვნებები) ქვეშ მყოფი რაზმები.

საინტერესოა ის გარემოება, რომ შამილმა თავისი მოღვაწეობა ტყვედ ჩაბარებით დაასრულა ოჯახის წევრების ხელშეუხებლობის გარანტიის მიღების შემდეგ. თუმცა მისი დარჩენილი ცხოვრება შედარებით მშვიდად გაატარა რუსეთის სხვადასხვა ქალაწებში. მექაში სალოცავად წასვლის წინ კი (სადაც გარდაიცვალა კიდეც) კიევში საკმაოდ მდიდრულ გარემოში ცხოვრობდა. მოგვიანებით, მისმა ორმა შვილმა მეფის რუსეთის არმიაში გააგრძელა მოღვაწეობა და კარიერა. ვითარება, რა თქმა უნდა, განსხვავებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წააგავს ახმატ კადიროვის

[176] მისი წინამორმედები მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იყვნენ გაზი მუჰამედი, მოლა და ჰამზათ ბეგი და სხვ.

ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რადგან იგი იბრძოდა მოსკოვის წინააღმდეგ და შემდგომ ჩადგა ფედერალური ცენტრის სამსახურში, ხოლო მისი ვაჟი ჩეჩნეთის აბსულუტური მმართველი და პრეზიდენტ პუტინის ერთგული გახდა.

შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ერნესტ გელნერის თეორიული დაშვებების გადამოწმების საფუძველზე მომხდარიყო ჩეჩნური ნაციონალიზმის ნიშნების, თავისებურებების, მათი გამოვლინებებისა და მათ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა-გაანალიზება. მიმდინარე თავი წარმოადგენს კვლევის დასკვნით ეტაპს, სადაც გადმოცემულია, ამ უკანასკნელის შედეგად მიღებული დასკვნები. თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოცემულ ნაწილში გადმოცემულია ერთიანი სურათი ნაშრომის თეორიული დაშვებების, პიპოთეზებისა და ემპირიული ნაწილის შესახებ, რათა უფრო მარტივად იყოს აღსაქმელი მათი ურთიერთკავშირი.

<u>**გელნერის თეორიული დაშვებები**</u>**,** რომელზეც გვქონდა საუბარი შემდეგნაირად გამოიყურება:

1) ნაციონალიზმი დიდ იმპერიებში წარმოიშობა პერიფერიაზე, როგორც რეაქცია სახელმწიფო ნარატივზე, ამის გავლენით ნაციონალიზმი წარმოიშობა ხოლმე ცენტრში, რომელსაც შემდგომში მოზდევს ძალაუფლების მატარებელი ცენტრის რეაქცია პერიფერიაში ნაციონალისტური განწყობების ლოკალიზების მიზნით.

2) ნაციონალისტური განწყობა, როგორც წესი, მაშინ არ წარმოიშობოდა ხოლმე, როდესაც სახელმწიფო საერთოდ არ არსებობს, ან, როდესაც მისი რეალობა ეჭვქვეშ არის დაყენებული. ისინი, ჩვეულებრივ, მაშინ წარმოიშობოდნენ, როდესაც სახელმწიფო, ზედმეტად თვალშისაცემად არის წარმოდგენილი. ამასთან უკმაყოფილებას სწორედ მისი საზღვრები და/ან ძალაუფლების განაწილება, ან სხვა შესაძლო გარემოებები იწვევს.

3) ნაციონალიზმი არის შედეგი ე.წ. უნივერსალური მაღალი კულტურის. კერძოდ,

ადამიანთა უმრავლესობის შემოსავალი, სტატუსი, უშიშროება/უსაფრთხოება და თავმოყვარეობა, მათსავე განათლებაზეა დამოკიდებული. იმ კულტურის საზღვრები, რომელშიც მათ განათლება მიიღეს, იმ სამყაროს საზღვრებს ემთხვევა, რომელშიც მათ საკუთარი თავის პროფესიონალური თუ მორალური თვალსაზრისით დაკმაყოფილება ძალუძთ. ეგზოსოციალიზაცია, ანუ განათლება, დღეს უნივერსალური სოციალური ნორმაა. ადამიანი დღეს ისეთ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იძენს, რომელიც მას საზოგადოებაში ადგილის დაკავების საშუალებას აძლევს, და რომელიც მას იმად ხდის, «რაც ის არის».

<u>საკვლევი პიპოთეზები:</u>

H1. - ფედერალური ცენტრის მიერ პერიფერიული ნაციონალიზმის (სეპარატისტული მისწრაფებები) სამხედრო ძალით დათრგუნვა და პრობლემის ლოკალიზება დივიდენდების გაცემის გარეშე იძლევა მისი გაძლიერების იმპულს და ვლინდება სხვა, არანაკლებ აგრესიული ფორმით.

H2. - ფედერალური ცენტრისთვის მიუღებელი ნაციონალისტური განწყობების ჩახშობა/კონტროლი ყოფილი ნაციონალისტის/სეპარატისტის ხელით ზრდის მისი დამოუკიდებელი თამაშის ალბათობას, რაც დროის გარკვეულ პერიოდში შესაძლოა გამოიხატოს ნაციონალიზმის ახალ, უფრო ძლიერ ტალღაში.

<u>ნაშრომის შედეგები</u>:

კვლევის შედეგად, პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით დადასტურდა, როგორც გელნერის თეორიული დაშვებები, ასევე ჩამოყალიბებული პიპოთეზები. კერძოდ:

1) ჩეჩნეთ-რუსეთის ორივე ომის გაანალიზების შედეგად გამოაშკარავდა, რომ ე.წ. ჩეჩნური აქტივობა (როგორც ნაციონალიზმის ერთგვარი გამოვლინება

ფედერაციიდან სეცესიის მოთხოვნით) იყო რეაქცია არსებულ მდგომარეობაზე, ანუ სახელმწიფო ნარატივზე (რაზეც გელნერის თორიულ დაშვებებში გვქონდა საუბრობდა). ხოლო ომების შემდეგი პერიოდი ანუ რელიგიური იდენტობის (როგორც მაკონსლოდირებელი ფაქტორის) წინა პლანზე წამოწევა და ეთნიკური სეპარატიზმის მოთხოვნის ტრანსფორმაცია რელიგიურ სეცესიაში, მხოლოდ უკვე გაზრდილი გეოგრაფიით, არის H1 პრაქტიკული დადასტურება.[177] საუბარია იმაზე, რომ ფედერალურმა ცენტრმა ნაციონალიზმის ლოკალიზება მოახდინა არა კომპრომისეული ვარიანტითა და გარკვეული დივიდენდების გაცემით, არამედ სამხედრო ძალითა და რეპრესიით.

2) კვლევის შედეგად ასევე დასტურდება H2-ში გადმოცემული ვარაუდები იმის შესახებ, რომ ნაციონალისტური განწყობების ჩახშობა ყოფილი ნაციონალისტის/სეპარატისტის ხელით ზრდის მისი დამოუკიდებელი თამაშის ალბათობას, რაც დროის გარკვეულ პერიოდში შესაძლოა გამოიხატოს ნაციონალიზმის ახალ, უფრო ძლიერ ტალღაში. კერძოდ, რამზან კადიროვის ნაციონალური პოლიტიკის ანალიზი ცხადყოფს ზემოხსენებულის უტყუარობას. საუბარია იმაზე, რომ მიუხედავად მისი უყოყმანო მორჩილებისა კრემლის მიმართ (ამ შემთხვევაში პუტინის პერსონის მიმართ) საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩეჩნური ნაციონალიზმის მძლავრი ტალღა გამორიცხული არ არის (საყურადღებოა, რომ საუბარია აგრესიულ ფორმაზე, რადგან როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მშვიდობიანი გამოვლინებით ე.წ. კულტურული იდენტობის ჩამოყალიბების კონტექსტში იგი ამჟამადაც მიმდინარეობს). ასევე აღსანიშნავია, რამდენად შეძლებდა კადიროვისგან განსხვავებით სხვა არასეპარატისტი იმავე პოლიტიკის გატარებას, რაც განახორციელა კადიროვმა, როცა ერთი მხრივ შეუქმნა

[177] აღნიშნულ მოსაზრებას შესაძლოა გამოუჩნდეს კრიტიკოსები, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიუხედვად იმისა, რომ ეთნიკური ნიშნით სეცესია ეხებოდა მხოლოდ ჩეჩნეთს, ხოლო რელიგიური ნიშნით სრულიად ჩრდილოეთ კავკასიას, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებული იდეოლოგიური უზრუნველყოფითა და დამთავრებული ცოცხალი ძალით, წამყვან რგოლს ძირითადად ეთნიკურად ჩეჩნები წარმოადგენდნენ ფაქტობრივად 2014 წლამდე, ანუ დ.უმაროვის გაცხადებულ სიკვდილამდე, რის შემდეგაც თავად წინააღმდეგობრივ ძალებში დღემდე ქაოსი და არაცენტრალიზებული მმართველობაა.

მოსკოვს ის პირობები რაც ჭირდებოდა, მეორე მხრივ შექმნა/გააძლიერა ჩეჩნური კულტურული იდენტობა? მაღალი ალბათობით, ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან კადიროვმა საზოგადოებას განუმარტა, რომ მიუხედვად იმისა, რომ ადრე ებრძოდა მოსკოვს, ამ ეტაპზე, ჩეჩნების გადარჩენის ერთადერთი შანსი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ყოფნაა, ხოლო მეორე მხრივ ისევ მოსკოვიდან მიღებული კარტ-ბლანშით შეეძლო ემოქმედა გაცილებით თავისუფლად ვიდრე ამას შეძლებდა სხვა არასეპარატისტი, რადგან მოსკოვისთვის მიუღებელი ძალების აქტივობა ჩეჩნეთში არის პირადად კადიროვის ხელისუფლების საფრთხე და მათ წინააღმდეგ იგი იყენებდა ბრძოლის ნებისმიერ ხერხს ისე, რომ არ იღებდა ,,შენიშვნებს'' ფედერალური ცენტრიდან.

3) კადიროვის პოლიტიკის ანალიზი, ასევე ადასტურებს გელნერის მეორე თეორიულ დაშვებას. საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც ნაციონალიზმი ვლინდება არა იმ დროს როდესაც სახელმწიფო საერთოდ არ არის წარმოდგენილი, არამედ იმ დროს როდესაც ზედმეტად თვალშისაცემად არის წარმოდგენილი. ფაქტია, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა არათუ საერთოდ არ არის, არამედ საკმაოდ კარგად არის წარმოჩენილი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ელემენტებით. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად ეხება რამზან კადიროვის მმართველობის პერიოდს.

4) კვლევის შედეგად ასევევ დადასტურდა გელნერის თეორიული დაშვება, განათლებულ, ე.წ. უნივერსალური მაღალი კულტურის ხანაში წარმოქმნილ ნაციონალური განწყობების შესახებ, ჩვენს შემთხვევაში (ჩეჩნურ მაგალითზე) გამოვლინდა რამდენჯერმე (მოიცავს ორივე პიპოთეზაში გადმოცემულ დროის მონაკვეთებს):

ა) დუდაევის მოღვაწეობა და შემდეგი პერიოდი (თუმცა დუდაევის შემდგომი პერიოდი არის მის მიერვე პედალირებული ნაციონალური ტალღის გაგრძელება და არა განყენებული მოცემულობა, მხოლოდ უკვე მეტ-ნაკლებად შეცვილი შინაარსიით).

ბ) რამზან კადიროვის ნაციონალური პოლიტიკა.

ორივე შემთხვევაში საქმე გვქონდა ე.წ. ახალი ეპოქის, განათლება მიღებულ პიროვნებებთან, რომელთაც შექმნეს განსხვავებული ფორმის ჩეჩნური ნაციონალიზმი (ერთი მათგანი გამოხატული სეცესიის მოთხოვნით, ხოლო მეორე უფრო მშვიდობიანი და მიზანმიმართული ჩეჩნური თვითშეგნების კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება/განვითარების მიზნით). ამ უკანასკნელს კი, მათი თაოსნობით, წარმათავდნენ ახალი, განათლება მიღებული ე.წ. ელიტარული ფენა, როგორც ზოგადი, ასევე სპეციალიზებული სამხედრო განათლებით. კერძოდ:

ა) გენერალი დუდაევი და მისი მთავრობა. თავად დუდაევი იყო პირველი ჩეჩენი გენერალი რუსულ (საბჭოთა და მეფის რუსეთის დროინდელ) რეალობაში (იგი იყო საბჭოთა არმიის ავიაციის გენერალ-მაიორი). ამ შემთხვევაში, იგი წარმოადგენს გელნერის თეორიული დაშვების პრაქტიკულ მაგალითს. საუბარია იმ ელიტაზე, რომელთაც უნივერსალური კულტურის ხანაში მიიღეს განათლება და მიაღწიეს უმაღლეს სამხედრო კატეგორიებს. მიუხედავად იმისა, რომ XVIII, XIX და XX საუკუნეებში მოსკოვს დაპყრობილი ჰქონდა სრულიად კავკასია და ჩეჩნები მსახურობდნენ მის არმიაში, მათ არცერთი გენერალი არ ჰყოლიათ და ამავდროულად არც რესპუბლიკის (ტერიტორიის, სამთავროს) მმართველობა არასოდეს ეთნიკურ ჩეჩენს არ ებარა. განსხვავებით სხვა კავკასიური ეთნოსებისა, მაგალითად ქართველებისა, რომელთაც რამდენიმე თაობის გენერლები ჰყავდათ მეფის რუსეთის არმიაში (დაწყებული გ.ორბელიანი, ა.ჭავჭავაძითა და გაგრძელებული კ.აფხაზი, გ.მაზნიშვილი და გ.კვინიტაძით)[178]. ამ უკანასკნელის მიზეზები საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ნაშრომში მასზე საუბარი ვერ იქნებოდა.

ბ) რამზან კადიროვი და მისი გუნდი. კადიროვი, მისი პოლიტიკური ხედვების იმპლემენტაციისთვის იყენებს ,,კადიროველებისა'' და ახალგაზრდული გაერთიანება ,,ახმადის'' დაჯგუფებებს. მათი სახით, იგი ქმნის, საზოგადოების გარკვეულ, ახალ

178

ფენას, რომელიც თავისმხრივ ცდილობს ჩამოაყალიბოს ე.წ. ჩეჩნური კულტურული იდენტობა. მხოლოდ მასში შემავალ მოქალაქეებს (ანუ მათ ვინც გაიარეს აღნიშნული ,,სკოლები'') აქვთ ცხოვრებისეული შანსი მოხვდნენ ე.წ. ახალი დროის ჩეჩნურ ელიტაში, სადაც ჩეჩნურ ენაზე საუბარი, ჩეჩნური ნაციონალური ტანსაცმლის ტარება, ჩეჩნეთის ისტორიისა და თვითმყოფადი კულტურის ცოდნა ითვლება ღირსეულად და არის პოპულარული. განსხვავებით შეიხ მანსურისა და/ან შამილის მოღვაწეობისა მეფის რუსეთის წინააღმდეგ, რომელთა ქმედებებს არა ნაციონალისტური, არამედ რელიგიური ხასიათი ჰქონდა და გამოწვეული იყო მიწის, მეფის და რწმენის ერთგულებით და არა კულტურის (სწორედ ამ უკანასკნელზე საუბრობს გელნერი, რომელიც უკვე აღვნიშნეთ).

აღსანიშნავია, რომ ჯ.დუდაევისა და რ.კადიროვის მაგალითები არ წარმოადგენენ გელნერის უნივერსალური მაღალი კულტურის ხანის თეორიის კლასიკურ შემთხვევებს, რადგან მათ (და არც მათი გუნდის დიდ ნაწილს) არ გაუვლიათ სეკულარული განათლების კლასიკური და/ან უნივერსალური მოდელების გზა. თუმცა ვფიქრობ, რომ ამ კუთხით დანახული ჩეჩნური რეალობა საკმაოდ საინტერესო იყო.

საყურადღებოა, რომ კვლევის პერიოდში იყო გარკვეული ტიპის, თუმცა ობიექტური მიზეზით გამოწვეული, სირთულეები და შეზღუდვები. კერძოდ, ჩეჩნური ნაციონალიზმის გამოვლინებების კვლევისას არ ყოფილა პრაქტიკული შეხება/ინტერვიუები იმ ინტელექტუალებთან, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს (და/ან ადგილზე იკვლევენ ნაშრომში აღნიშნულ საკითხებს), როგორც ეთნიკური სეპარატიზმის პერიოდი და კავკასიის საემიროს მოღვაწეობა, ასევე რ.კადიროვის ნაციონალურ პოლიტიკასთან ჰქონიათ შეხება. მაღალი ალბათობით, მათი ცოდნა და გამოცდილება გაამდიდრებდა კვლევის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. თუმცა მისი შევსება მოხდა იმ ახალგაზრდა ჩეჩნებთან, ინგუშებთან და ჩერქეზებთან საუბრით, რომლებიც დროებით იმყოფებოდნენ საქართველოში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაშრომის **<u>პრაქტიკული შედეგების</u>** გამოყენება/გაზიარება საქართველოს სახელმწიფოსთვის. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს მოსაზღვრე რესპუბლიკაში (ისევე როგორც ზოგადად რუსეთის ფედერაციაში, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში) მიმდინარე პროცესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რადგან არაერთხელ დადასტურდა, რომ მათ როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გავლენა შესაძლოა ჰქონდეთ საქართველოზე.

საქართველოს სამეცნიერო და აკადემიური წრეებისთვის ნაშრომი წარმოადგენს ნაციონალიზმის გამოვლინებების (ჩეჩნეთის მაგალითზე) მოკრძალებულ, თუმცა შედარებით ახალ ხედვას, რომელიც ახსნილია გელნერის თეორიული დაშვებების საფუძველზე. ხოლო სხვა დაინტერესებული პირებისთვის მას ენიჭება პრაქტიკული მნიშვნელობაც. კერძოდ, ნაშრომზე დაყრდნობით შესაძლოა შეიქმნას ჩეჩნეთში არსებული ფაქტების, პოლიტიკური პროცესებისა და განვითარების ტენდენციების ერთიანი, საერთო სურათი, რაც მათ საშუალებას მისცემთ განსაზღვრონ, როგორც მოვლენათა განვითარების მოსალოდნელი სცენარები, ასევი მათი პოტენციური შედეგები. ხოლო სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეულწილად, მასზე დაყრდნობით, შესაძლოა მოხდეს, როგორც შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრა, ასევე მისი იმპლიმენტაცია. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჩეჩნეთი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის შემადგენელ ნაწილს და შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისას მაქსიმალურად უნდა მოხდეს აღნიშნული გარემოების გათვალისწინება.

დასკვნები

- მოსკოვის მხრიდან ჩეჩნური ნაციონალიზმის (გამოხატული ეთნიკური სეპარატიზმით) სამხედრო ძალით ჩახშობა, კომპრომისების გაცემის გარეშე, გახდა ერთ-ერთი მიზეზი მისი ტრანსფორმაციისა რელიგიური ნიშნით სეცესიის მოთხოვნაში (დიდ რელიგიურ იდენტობაში);

- მოსკოვის მიერ, ჩეჩნური ნაციონალიზმის აგრესიული გამოვლინებების ლოკალიზებამ სეპარატიზმის ყოფილი მხარდამჭერის - რ.კადიროვის ხელით, გაზარდა მისი დამოუკიდებელი თამაშის ალბათობა, რაც კადიროვის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ არაერთხელ დაადასტურა;

- ამჟამად მიმდინარეობს ჩეჩნური ნაციონალიზმის განვითარება მშვიდ რიტმში, თუმცა მისი აგრესიული გამოვლინების ახალი ტალღის აგორება დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ გამორიცხული არ არის.

- ჩეჩნურ ნაციონალიზმს პირველ ეტაპზე პედალირებდა მხოლოდ იატაქვეშეთი, ხოლო ჩეჩნეთ-რუსეთის მეორე ომის დასრულების შემდეგ მასთან ერთად ჩეჩნეთის აღიარებული ხელისუფლებაც (კადიროვების მმართველობისას);

- რ.კადიროვის პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა მიმართულია მოკლევადიან/ტაქტიკურ შედეგებზე - მისი პოლიტიკური სტატუსისა და გავლენის შესანარჩუნებლად, თუმცა საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩეჩნეთში მის ძალისხმევით შეიქმნება (ნაწილობრივ უკვე არსებობს) საზოგადოების ე.წ. ელიტარული ფენა (ახალი თაობის წარმომადგენლები), რომელთა მსოფლმხედველობა გაჯერებული იქნება,

როგორც კულტურული (ჩეჩნური იდენტობა), ასევე რელიგიური (ტრადიციული სუფიზმის მიმდევრები) ფაქტორებით.

- ჩეჩნური კულტურული იდენტობის ჩამოყალიბება-გაძლიერების პარალელურად (განსაკუთრებით კადიროვის მმართველობის პერიოდში) გაიზრდა მისი რუსული სოციალური, პოლიტიკური და ხშირად სამართლებრივი სივრციდან გასვლის შემთხვევები და მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ტენდენცია პროგრესირებადია;

- გამორიცხული არ არის, უახლოეს მომავალში ჩრდილოკავკასიური წინააღმდეგობის ორგანიზება მთლიანად ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ (IS) აიღოს თავის თავზე და კავკასიის საემიროს ფუნქციონირება საბოლოოდ შეწყდეს.

- საყურადღებოა, რომ ჩრდილოკავკასიური ფრონტის კიდევ უფრო ინტერნაციონალიზაცია მეტწილად არ შედის მოსკოვის ინტერესში, ამიტომ მოსალოდნელია ანტიტერისტული რეჟიმებისა და ოპერაციების კიდევ უფრო გამკაცრება და ინტესიფიცირება, რაც რეგიონის უსაფრთხოებას დამატებითი რისკების წინაშე დააყენებს.

რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია საქართველოში არსებულმა სამეცნიერო წრეებმა მეტი ყურდღება მიაქციონ ჩრდილოეთ კავკასიის შესწავლის საკითხს. ამასთან ეს ეხება არამარტო ჰუმანიტარული, არამედ პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების მკვლევარებს;

- ადგილობრივი მეცნიერების განვითარებისა და რეგიონში რეალურად არსებული ვითარების ანალიზისთვის, გაცილებით შედეგიანი იქნება თუ პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევარები მას შეისწავლიან არა როგორც ერთიან სივრცეს, არამედ მოხდება მისი დაყოფა სხვადასხვა კრიტერიუმებით. მაგალითად აღმოსავლეთ ჩრდილოკავკასია-ვაინახური მხარე და დასავლეთ ჩრდილოკავკასია ე.წ. ჩერქეზული ზონა. ან მოხდება მისი დაყოფა რესპუბლიკების მიხედვით, რადგან რეგიონში შემავალ თითოეულ სუბიექტში განსხვავებული პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური და ა.შ. ვითარებაა.

- გასათვალისწინებელია ის გამოცდილებაც, რაც არსებობს რეგიონის შესწავლის მიმართულებით საქართველოში (ძირითადად საბჭოთა და ადრეული 90-იანების პერიოდში), თუმცა უფრო ჰუმანიტარული მეცნიერებების და შედარებით ნაკლებად პოლიტიკური კვლევების მიმართულებით;

- სასურველია შესაბამისი დარგის სტუდენტებს (მაგისტრანტებს, დოქტორანტებს) მიეცეთ რეკომენდაცია/რჩევა დაიწყონ/გააქტიურონ ჩრდილოეთ კავკასიის მეცნიერული შესწავლა, რათა გაგრძელდეს აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოცდილების ტრადიცია;

- სავარაუდოდ, პროდუქტიული იქნება ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში მოღვაწე აკადემიური წრეების გაცნობა მომავალში დაახლოების მიზნით და რეგიონის მეცნიერული შესწავლა ერთობლივი ძალებით;

- მაღალი ალბათობით, შედეგიანი იქნება დასავლეთში მოქმედ საექსპერტო და ანალიტიკურ კოლექტივთან საქართველოში მოღვაწე შესაბამისი წრეების დაახლოება, რადგან ჩრდილოეთ კავკასიის შესწავლა ევროპაში საკმაოდ აქტიური ტემპებით მიმდინარეობს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით;

- რეკომენდირებულია შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ დაიწყოს ისლამური სახელმწიფოს მოქმედების, მიზნების, საშუალებების, ფინანსური და ადამიანური შესაძლებლობების, სამომავლო გეგმების (განსაკუთრებით კავკასიაში შესაძლო მოქმედების კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, რომ მათ უკვე შექმნეს ე.წ. კავკასიური ვილაიეთი) სიღრმისეული შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

ბიბლიოგრაფია

1. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. იხ. ''ნაციონალიზმი''.

2. არდაზიშვილი გიორგი. კავკასიური ვაჰაბიზმი და მისი თავისებურებების მოკლე ანოტომია. ჟურნალი ტაბულა. 10.08.2012

3. ბურჭულაძე ნინო. ჯიჰადი სკაიპით - იმისთვის რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მოჯახედი გახდე, სირიაში წასვლა საჭირო აღარ არის. გაზეთი კვირისპალიტრა. 01-07-2015.

4. გელნერი ერნესტ. *ერები და ნაციონალიზმი.* თბილისი. «ნეკერი», 2003.

5. გუნიავა გოჩა. ჩვენი მეზობლებ: ჩეჩნეთი. საქართველოს ექსპერტთა კლუბის ვებპორტალი.http://expertclub.ge/portal/cnid__4202/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

6. გროზნოში ჩატარებული ჩეჩენი ხალხის მსოფლიო კონგრესი "გამარჯვებულთა ყრილობად" გამოაცხადეს. http://ghn.ge/com/news/view/24552

7. დავითაშვილი ზურაბ. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა სერია. ,,მეცნიერება''. 2003

8. დუდაევა ალა. *მილიონ მეერთე.* წიგნი 1. თარგ. ა.ლეკიაშვილი, თბილისი, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, გვ 236. 2010.

9. თევზაძე გიგი. “დიდი იდენტობა”. https://burusi.wordpress.com/2010/09/16/gigi-tevzadze-8/

10. კანაშვილი თეი. გროზნოში არეულობაზე პასუხისმგებელი „იმარატ კავკაზია“ - რა კავშირშია ჩეჩნეთი ISIS-თან. ჟურნალი ლიბერალი 05.12.2014.

11. კობახიძე ბექა. ოლივერ უორდროპი ყველაზე ”ქართველი” ბრიტანელი. გაზეთი კვირისპალიტრა 17-05-2013.

12. ლაფაური მარიკა. ჩეჩნების დეპორტაციის 70 წლისთავი ბრიუსელში. ჟურნალი ლიბერალი 27.02.2014.

13. მოდებაძე ვალერი. *ჩეჩენი ერის ბრძოლა თავისუფლებისთვის.* გამომცემლობა ,,გრიფონი''. გვ. 83. თბილისი 2015.

14. პაპასქირი ზურაბი. რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთ ასპექტი კავკასიაში. 11.07.2012. საქართველოს ექსპერტთა კლუბის ვებპორტალი. http://expertclub.ge/portal/cnid__12208/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx (10.03.2014).

15. რამზან კადიროვი და მკვლელობაში ბრალდებული დეპუტატი პუტინმა ორდენებით დააჯილდოვა. *ჟურნალი ტაბულა. 09.03.2015.*

16. რამზან კადიროვი და ახმედ ზაკაევი ჩეჩნეთისთვის იბრძვიან. http://www.amerikiskhma.com/content/ramzan-kadyrov-akhmed-zakaev-chechnya-104873174/532712.html

17. რამზან კადიროვმა დაუკითხავად შესული ძალოვნებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა. *ჟურნალი ტაბულა. 23.04.2015.*

18. რამზან კადიროვმა დასავლეთი ისლამის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. *ჟურნალი ტაბულა. 19.01.2015.*

19. რუსების ნახევარზე მეტი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ არის. *ჟურნალი ტაბულა. 02.07.2013.*

20. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

21. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების განყოფილება. ერნესტ გელნერი.

22. სმითი ე. *ნაციონალური იდენტობა.* მთარგმ. ლ.პატარიძე. გამომცემლობა ,,ლოგოს პრესი'', თბილისი 2008.

23. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი.

24. ჩიქოვანი ნინო. *რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა სერია. 2006.

25. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საქართველოს სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ. *გაზეთი მაცნე. №661. 29.06.2012.*

26. ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი რუსეთს ინტერნეტის გათიშვისკენ მოუწოდებს. *ჟურნალი ტაბულა. 21.10.2014.*

27. ,,ღირსების მკვლელობები'' და ისლამური ფუნდამენტალიზმი. *ჟურნალი ტაბულა. 09.05.2012.*

28. ჰობსბაუმი ერიკ. *ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან. პროგრამა, მითი, რეალობა.* მთარგმ. ს.გაბისონია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცმელობა. 2012

29. A Gellner Biography. http://gellnerpage.tripod.com/Bio.html#TOP.

30. Attack on Chechen parliament in Grozny leaves six dead. http://www.bbc.com/news/world-europe-11571673

31. Barrington W. Lowell. 2006. *After Independence: Making and Protecting the Nation in Postcolonial and Postcommunist States*, Editor The University of Michigan Press.

32. Bernsand Niklas, Törnquist Plewa Barbara, Narvselius Eleonora. *BEYOND TRANSITION? MEMORY AND IDENTITY NARRATIVES IN EASTERN AND CENTRAL EUROPE.* The Centre for European Studies at Lund University. 2015.

33. Chechnya: The Inner Abroad. Europe Report N°236. International Crisis Group.

34. Connor Walker (1994). *Ethnonationalism: The Quest for Understanding.* Princeton University Press.

35. Conversi Daniele. "*Homogenisation, nationalism and war: Should we still read Ernest Gellner?".* Nations and Nationalism. Pp 371–394. July 2007.

36. Dzutsev Valery. Threat of Renewed Ethnic Clashes Reemerges Following North Ossetia Suicide Attack. ჟურნალი Eurasia Daily Monitor Volume: 7 Issue: 168.

37. Gans Chaim. *The Limits of Nationalism Cambridge.* University Press. 2004.

38. Gat Azar, Yakobson Alexander. *Nations. The Long History and Deep Roots of Political Ethnicity and Nationalism.* Cambridge University Press. 2012.

39. Goble Paul: *"Two New Moves on the Chechen Chess Board".* http://chechencenter.info/n/events/857-1.html

40. Gorski S. Philip. *The Mosaic Moment: An Early Modernist Critique of Modernist Theories of Nationalism.* Vol. 105, No. 5. The University of Chicago Press. 2000.

41. Gunmen kill Ingushetia security chief Ahmed Kotiev. http://www.bbc.com/news/world-europe-23846677

42. Hahn Gordon M. Getting the Caucasus Emirate Right. A Report of the CSIS Russia and Eurasia Program. August. 2011.

43. Hall A. John, Malešević Siniša. *Nationalism and War.* Cambridge University Press, 2013.

44. Hall A. John. *The State of the Nation Ernest Gellner and the Theory of Nationalism.* Cambridge University Press.1998.

45. Hobsbawm, E. J. *Nations and Nationalism since 1780,* Second edition. Cambridge University Press. 2012.

46. Hroch Miroslav. *From National Movement to the Fully-formed Nation: The Nation-building Process in Europe,* ed. Gopal Balakrishnan.

47. KRAMER ANDREW E. MacFARQUHAR NEIL. 04.12.2014. Fierce Attack by Islamist Militants in Chechen Capital Kills at Least 20.

http://www.nytimes.com/2014/12/05/world/europe/grozny-chechnya-attack.html?_r=0

48. Lawrence K. Adria. *Imperial Rule and the Politics of Nationalism Anti-Colonial Protest in the French Empire.* Cambridge University Press. 2013.

49. Lee E. Carol, Solomon Jay. Obama Addresses Islamic State Threat in United Nations Speech. http://www.wsj.com/articles/obama-to-address-threats-from-islamic-state-ebola-at-united-nations-1411556402

50. Malashenko Alexey. Militant Attack on Tsentoroi Village. http://carnegie.ru/2010/08/30/militant-attack-on-tsentoroi-village

51. McCrone David, Bechhofer Frank. *Understanding National Identity.* Cambridge University Press. 2015.

52. Minogue, Kenneth. *Gellner's Theory of Nationalism: A Critical Assessment*. In Athena S. Leoussi. Encyclopaedia of Nationalism. Transaction Publishers. pp.107–109. 1998.

53. Moscow bombing: Carnage at Russia's Domodedovo airport. http://www.bbc.com/news/world-europe-12268662

54. Mirovalev Mansur. Chechnya, Russia and 20 years of conflict. http://www.aljazeera.com/indepth/features/2014/12/chechnya-russia-20-years-conflict-2014121161310580523.html

55. North Caucasus: Views from within, People's perspectives on peace and security. SAFERWORLD. March 2012.

56. Said Edward W. 1989. *Representing the Colonized: Anthropology's Interlocutors Critical Inquiry*, Vol. 15, No. 3 The University of Chicago Press.

57. Smith, Anthony D. (1998). *Nationalism and Modernism: A Critical Survey of Recent Theories of Nations and Nationalism.* Routledge.

58. Stephens Angharad Closs. *The persistence of Nationalism – from Imagined communities to to urban encounter*. Abingdon, Routledge.

59. Stanford Encyclopedia of Philosophy.

60. Svante E.Cornell, *"Peace or War? The Prospects of Conflicts in the Caucasus"*, Iranian Journal of International Affairs, vol.7, no.2, Summer 1997.

61. Tambini Damian. *Explaining monoculturalism: Beyond Gellner's theory of nationalism Critical Review*. pp. 251–270. March 1996.

62. Tatarstan mufti wounded, another cleric killed in Kazan. http://sputniknews.com/voiceofrussia/2012_07_19/Tatarstan-mufti-wounded-another-cleric-killed-in-Kazan/

63. The dangerous situation in Russian ski resort. http://russia-ic.com/business_law/in_depth/1291/#.VZkvIPmqoSU

64. The Editors of Encyclopædia Britannica. Beslan school attack. http://www.britannica.com/event/Beslan-school-attack

65. The Ernest Gellner (RESOURCE SITE). http://www.lse.ac.uk/researchAndExpertise/-units/gellner/.

66. Vatchagaev Mairbek. Caucasus Emirate Leader Chooses a Successor.

http://www.jamestown.org/programs/edm/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=36693&tx_ttnews%5BbackPid%5D=484&no_cache=1#.VZkx9_mqoSU (20.12.2014).

67. Webster-dictionary.

68. Westberg Anja.Media Portrayals of the Russian-Chechen Conflict. *Representations of Political Violence and Identity a Discourse Analysis* . Peace and Conflict Studies. Malmö University. 2009.

69. Who Was Really Behind the Death of Dagestan's Sheikh? Publication: Eurasia Daily Monitor Volume: 9 Issue: 161. 06.08.2012.

70. Zedania Giga, The Rise of Religious Nationalism in Georgia", in: „Identity studies" #3, [Ilia State University, 2011], 120-127

71. Акаев Вахит. Особенности распространения ваххабизма на Северном Кавказе. http://evrazia.org. http://evrazia.org/article/2380

72. Боброва Ольга. Имарат Кавказ. Государство, которого нет. http://www.memo.ru/hr/hot-points/caucas1/msg/2010/03/m206198.htm

73. В Чечне открыт архитектурно-этнографический музей "Шира-Юрт". http://www.regnum.ru/news/1837063.html

74. В Чечню привезли реликвии, связанные с жизнью пророка Мухаммеда http://www.vesti.ru/doc.html?id=848082

75. Госсовет Чечни - "За две войны погибли 160 тысяч человек", ttp://grani.ru/War/Chechnya/m.93441.html

76. ДЕСЯТЬ ДНЕИ, КОТОРЫЕ ОТМЕНИЛИ МИР. В 1991 году усмирить Чечню можно было силами спецназа. http://versiasovsek.ru/material.php?1671

77. Доку Умаров остался без чеченского крыла. Дело своих бывших подчиненных лидер боевиков направил в шариатский суд. http://www.kommersant.ru/doc/1508074

78. Евкуров: Сунженский район Ингушетии – неотъемлемая часть территории республики. 13.03.2013. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/221325/

79. Жуков Сергей. Боевые действия в г. Грозный 31. 12. 1994. http://www.proza.ru/2010/01/04/1040.

80. Жуков Сергей. Человеческие потери в Чеченских войнах. http://www.proza.ru/2013/08/29/1564.

81. ИГ объявило о присяге всех боевиков Северного Кавказа аль Багдади. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264409/

82. Исламская энциклопедия, "Салафизм".

83. Катамадзе В. *Грузия в британских архивах и редких публикациях XIX-XX веков.* Лондон. Издательство Eurasia Popular Research, 2005.

84. Кадыров: Чечня через 5 лет сама будет обеспечивать себя экономически. http://kmv.gorodskoitelegraf.ru/biznes/4965-kadyrov-chechnya-cherez-5-let-sama-budet-obespechivat-sebya-ekonomicheski.html

85. Кадыров: новая железная дорога из РФ в Грузию может быть построена через Чечню

http://www.mk.ru/politics/2014/12/26/kadyrov-novaya-zheleznaya-doroga-iz-rf-v-gruziyu-mozhet-byt-postroena-cherez-chechnyu.html

86. Кебеков Алиасхаб Алибулатович. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/239677/

87. Кикилашвили владимер. "Роль и статус Женшины на кавказе", Кавказкий вестник №6, 2002.

88. Козаев Темур. ДЕСЯТЬ ДНЕИ, КОТОРЫЕ ОТМЕНИЛИ МИР. http://flb.ru/info/32789.html#start

89. Кузнецов Лев. В Минкавказа рассказали о потере актуальности лозунга «хватит кормить Кавказ». http://lenta.ru/news/2015/06/19/kavkaz/

90. Лукин Олег. Новейшая история: Российско-Чеченские войны

91. Масхадов Аслан. 2000. Причины второй Чеченской войны. http://golosichkerii.com/index.php/novosti/313-prichiny-vtoroj-chechenskoj-vojny.

92. МАЛАШЕНКО АЛЕКСЕЙ. *ИСЛАМСКИЕ ОРИЕНТИРЫ СЕВЕРНОГО КАВКАЗА.* Московский Центр Карнеги. Москва. «Гендальф» 2001.

93. Малашенко Алексей. *Кавказ, который мы теряем.* Московский Центр Карнеги. Том 11, выпуск 3, Август 2009.

94. Малашенко Алексей "Угрозы Центральной Азии исходят изнутри, а не от ИГИЛа", http://islamnews.tj/central-asia/981-aleksey-malashenko-ugrozy-centralnoy-azii-ishodyat-iznutri-a-ne-ot-igila.html

95. Малашенко Алексей. Северный Кавказ: когда закончилась война. Вооруженный конфликт между Россией и Грузией неизбежно отзывается дестабилизацией на окрестных территориях. Pro et Contra. 2008.

96. Марат Эрика. 2009. Россия теряет Северный Кавказ. («Русская служба „Голоса Америки“»). http://inosmi.ru/russia/20091217/157052196.html.

97. Маркедонов Сергей. Приватизированная республика: как Рамзан Кадыров заменил государство - России пора возвращаться на Кавказ не с помощью доверенных «агентов» и бизнесменов, а в роли справедливого арбитра и гаранта безопасности. http://m.forbes.ru/article.php?id=237166

98. Маркедонов Сергей. Чечня-1994: упущенный шанс на мир. http://www.forbes.ru/mneniya-column/siloviki/275481-chechnya-1994-upushchennyi-shans-na-mir

99. Маркедонов Сергей. Внешний фактор кавказской нестабильности. http://polit.ru/article/2009/06/15/cau/

100. Матвеевой А.Г, Скакова А.Ю и И.С. Савина. Северный Кавказ: Взгляд изнутри. Вызовы и проблемы социально-политического развития, Институт Востоковедения РАН, 2012.

101. Навальный Алексей, Варфоломеев Владимир. Актуален ли лозунг "Хватит кормить Кавказ". http://echo.msk.ru/programs/razvorot-morning/822833-echo/

102. Никонов Вячеслав - ''Исламский вызов и Россия''', *журнал «Стратегия России».*

103. Новицкий Игорь Яковлевич. Управление этнополитикой Северного Кавказа.

Краснодар. Научно-консультационный центр сознание. Здравствуйте. 2011.

104. Подосенов Сергей. Две трети россиян поддержали лозунг «Россия для русских». кавказская политика. http://kavpolit.com/levada-centr-signaliziruet-o-roste-nacionalizma-v-rossii/

105. Попов Эдуард. Северный Кавказ: императив системных преобразований. Электронный журнал «Перспективы. Фонд исторической перспективы. Центр исследований и аналитики.

106. Романов Александр. Последние откровения Грачева: Ельцин «всех кинул», а Белый дом «красиво горел». http://www.km.ru/v-rossii/2012/10/16/istoriya-khkh-veka/694998-poslednie-otkroveniya-gracheva-eltsin-vsekh-kinul-bely

107. Соколов Денис. 2013. Как-то все разбрелись. http://expert.ru/2013/02/27/kak-to-vse-razbrelis/

108. СОЛДАТОВ АНДРЕЙ. ФСБ празднует победу, боевики меняют тактику. *ჟურნალი "Ежедневный Журнал".* 14.12.2014.

109. Чашу пророка Мухаммеда доставили из Лондона в чеченскую столицу. http://www.ntv.ru/novosti/239936/

110. Чечня: внутреннее зарубежье. Доклад Международной кризисной группы. 30.06.2015 http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264772/#Nacionalizm

111. Эксперты сочли присягу Аслана Бютукаева. http://www.kavkaz-uzel.ru/articles/264018/.

ინტერვიუები

1. ინტერვიუ გიგი თევზაძესთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 25.03.2015, 24.04.2015, 27.05.2015.

2. ინტერვიუ ზურაბ დავითაშვილთან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 20.05.2014, 15.12.2014.

3. ინტერვიუ გია ნოდიასთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 17.07.2015

4. ინტერვიუ დავით აფრასიძესთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 16.07.2015

5. ინტერვიუ ირაკლი მენაღარიშვილთან. საქართველოს სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი. თბილისი. 10.04.2014.

6. ინტერვიუ პაატა ბუხრაშვილთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 10.10.2014.

7. ინტერვიუ ემზარ ჯგერენაიასთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თბილისი. 20.07.2015.

8. ინტერვიუ მიხეილ გოგატიშვილთან. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. 05.03.2014.

9. კვლევაში გამოყენებულია ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები რამდენიმე ახალგაზრდა ჩეჩენი, ინგუში და ჩერქეზი მკვლევარის შეფასებები, რომელთაც,

პოლიტიკური შეხედულებების გამო, მათი პიროვნებების დასახელებისგან თავის შეკავება გვთხოვეს. 22/10/2013, 15/11/2013, 08/12/2013, 22/01/2014.

დანართი 1.

კავკასიის ეთნიკური შემადგენლობის რუკა



Source: Berouchachvili N., Radvanie J., 1996, 1998. Georgian Soviet Thesaurus

დანართი 2.

რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის დანახარჯები ჩრდილოეთ კავკასიაში

წყარო: http://www.vse4x4.ru/forum/viewtopic.php?f=18&t=4182

М // РАСХОДЫ ИЗ ФЕДЕРАЛЬНОГО БЮДЖЕТА НА СЕВЕРО-КАВКАЗСКИЙ ФО В 2010 Г. (МЛРД РУБ.)

РЕСПУБЛИКА	МЕЖБЮДЖЕТНЫЕ ТРАНСФЕРТЫ	ФИНАНСИРОВАНИЕ ПО ФЦП*	НАСЕЛЕНИЕ (МЛН ЧЕЛ.)	ФИНАНСИРОВАНИЕ НА ОДНОГО ЖИТЕЛЯ (ТЫС. РУБ.)**
КАБАРДИНО-БАЛКАРИЯ	9,01	1,78	0,90	12,9
КАРАЧАЕВО-ЧЕРКЕСИЯ	4,62	0,97	0,44	13,6
ДАГЕСТАН	35,86	1,79	2,71	14,8
ИНГУШЕТИЯ	10,01	2,87	0,48	27,8
СЕВЕРНАЯ ОСЕТИЯ-АЛАНИЯ	5,55	2,30	0,71	12,0
СТАВРОПОЛЬСКИЙ КРАЙ	13,97	–	2,73	6,0
ЧЕЧНЯ	48,32	4,62	1,12	48,2
ВСЕГО	127,34	14,33	9,09	31,4*

158,4 МЛРД РУБ. – ОБЩИЕ ЗАТРАТЫ БЮДЖЕТА НА СКФО
5 ТЫС. РУБ. – МЕЖБЮДЖЕТНЫЕ ТРАНСФЕРТЫ В СРЕДНЕМ НА ОДНОГО ЖИТЕЛЯ РОССИИ

* ФЕДЕРАЛЬНЫЕ ЦЕЛЕВЫЕ ПРОГРАММЫ
** С УЧЕТОМ ПРОГРАММЫ ПО БОРЬБЕ С БЕЗРАБОТИЦЕЙ В РАЗМЕРЕ 8,5 МЛРД РУБ.
ИСТОЧНИК: БЮДЖЕТ НА 2010 Г., ТЕКСТЫ ФЦП

დანართი 3.

ვირტუალური სახელმწიფოს - კავკასიის საემიროს რუკა

დანართი 4

ჩეჩნეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა 1926-2010 წლებში.

წყარო:http://darussophile.com/2013/04/the-russian-imperialist-genocide-in-chechnya/